საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 სექტემბერი ოთხშაბათი 2013

№ 220 (14 136) ფასი 80 თეთრი




↳9

# ცეცხლი აინთო!

## ჩემპიონმა ჩემპიონურად დაიწყო, რონიმ სტამბოლი დაიპყრო, რუნი დაბრუნდა, იუვემ მიჰქარა...










# დღეს, ნეაპოლში...





↳8

## გადასარევი ფეხბურთი გადარეულების შესრულებით

„ნაპოლის“ პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა დორტმუნდის „ბორუსიას“ სამთავიანი გველეშაპი უწოდა, დორტმუნდელთა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ნაპოლის – გადარეულების გუნდი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ტორპედომ ლიდერობა შეინარჩუნა

↳2

დინამო მიუახლოვდა

## გაიტანით: ავთო ჟილ ვისენტედან



↳4-5



↳12

## შერმადინი სარაგოსაში წარადგინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიურპრიზების გარეშე

17.09. თბილისი. დინამო არენა. 700 მაყურებელი

დინამო (თბ) **2**
სპარტაკი **0**

1:0 გოგა (47. პაპავას პასით), 2:0 ხმალაძე (86. გოგას პასით)

| დინამო 4-3-3 | სპარტაკი 4-3-3 |
|---|---|
| ლორია | ნანიევი |
| ხურცილავა | ჯაფოძე |
| კვარაცხელია | ქურდაძე |
| უსტარიცი | კილასონია |
| გლიშიჩი | კ. ხიზანეიშვილი |
| ხმალაძე | ბურძენაძე |
| პაპავა | კაკაშვილი |
| ე. გრიგალაშვილი | მეტრეველი |
| გოგა | თუხარელი |
| მერებაშვილი | ჩაფიძე |
| დვალი | ფანცხავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. უჰრინი | ვ. ხაჩიძე |

**დინამო**

65. დვალი - **ვუო**
79. მერებაშვილი - **ჩისკო**
88. გლიშიჩი - **სეთურიძე**
*სათადარიგო: მიგინეიშვილი, მიქაბერიძე, გველესიანი, შაშიაშვილი*

**სპარტაკი**

70. თუხარელი - **მაქაცარია**
80. ჩაფიძე - **ნარიმანიძე**
88. ბურძენაძე - **თვალავაძე**
*სათადარიგო: ნადირაძე, ცერცვაძე, ხუბეჟოვი*
გაფრთხილება: **უსტარიცი (18), ე.გრიგალაშვილი (58)**
არბიტრი: *გ. კიკაჩეიშვილი*


დორინ გოგამ (მარჯვნივ) გოლი თავადაც გაიტანა და ხმალაძესაც გაატანინა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სიურპრიზები არ ყოფილა, „დინამომ" უფერულ პირველ ტაიმს უკეთესი 45 წუთი მიაყოლა და უპრობლემოდ დაამარცხდა მეტოქე, რომელსაც ამ ჩემპიონატში ჯერ ქულაც ვერ აუღია. მოედანზე „დინამო" კი ბატონობდა, თუმცა პირველ ტაიმში **დუშან უჰრინის** გუნდმა საინტერესო თამაში ვერ გვიჩვენა. **ვლადიმერ ხაჩიძის** „სპარტაკი" ყრუ დაცვაში როდი იდგა, კონტრშეტევაზე გადადიოდა ხოლმე და ბურთი „დინამოს" საჯარიმო მოედნამდე მიჰქონდა...

**ელგუჯა გრიგალაშვილის** პასით **გიორგი მერებაშვილი** შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან დაარტყა - **სოსლან ნანიევმა** ბურთი ხელებში მოიგდო.

აქტიურმა მერებაშვილმა ერთხელაც გაილალა მარცხენა ფლანგზე, კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც **გიორგი პაპავა** ორიგინალურად ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას - ხიფათი კვლავ ნანიევმა გააუვნებლა და „დინამოს" ოდენ კუთხური აკმარა.

ამასობაში, „სპარტაკმა" ორი მწვავე იერიში მიაყოლა, მაგრამ **ლაშა ჩაფიძეს** ხვეული დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა, **კახა კაკაშვილმა** კი მრავალსვლიანი კომბინაცია იმით დაასრულა, რომ ბურთი გარედან მოარტყა მეტოქის კარის ბადეს.

ამის მერე დინამოელთა იერიში ისევ მერებაშვილმა გაამწვავა, **ლევან ხმალაძეს** კარგად დაუგორა ბურთი, მაგრამ ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ დინამოელს „სპარტაკის" ერთ-ერთმა მცველმა შეუშალა ხელი.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, პაპავამ კარგად რომ ჩაჰკიდა „სპარტაკის" საჯარიმოში, სტუმართა მეკარე ოდნავ წინ იყო გამოსული და **დორინ გოგამაც** ისეთი თავური უთავაზა, რომ ნანიევი ბურთს ვერ შესწვდა - 1:0.

შეიძლება ითქვას, ყველაფერი აქ დამთავრდა. „სპარტაკს" ანგარიშის გათანაბრების შნო არ ეტყობოდა, „დინამო" კი პირველ ტაიმთან შედარებით უფრო სწრაფად ათამაშდა და სტუმართა დაცვაც არაერთხელ დაიბნა ბრინჯივით...

გოგას მიერ ჩაწოდებულ კუთხურზე ანგარიშის გაზრდა **გივი კვარაცხელიას** მართებდა - თავური არაზუსტი გამოდგა, მერებაშვილის გადაცემის შემდეგ კი ნანიევმა ხმალაძეს არ დაანება გოლის გატანა. საგოლე შანსი ჰქონდა **ჯაბა დვალსაც**, თუმცა ნანიევის დაჯაბვნა ვერ მოახერხა, ეპიზოდი კი იმით დასრულდა, რომ დვალმა **კონსტანტინე ხიზანეიშვილთან** ორთაბრძოლაში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ტაიმში „სპარტაკს" ერთი გამონათება ჰქონდა, როცა ფეხმალმა ჩაფიძემ სოლო-რეიდი განახორციელა, მარჯვნიდან შეიჭრა „დინამოს" საჯარიმოში და ამდენ ნაჯაფარს არაზუსტი დარტყმა მიაყოლა.

„დინამო" ზეწოლას აგრძელებდა და, როგორც იქნა, მეორე გოლიც გაიტანა - გოგამ ისეთი გადაცემით დააჯილდოვა ხმალაძე, რომ მასპინძელთა საყრდენ ნახევარმცველს ბურთის კარში შეგდება არ გასჭირვებია.

უჰრინის გუნდს დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება, მაგრამ **პატრიკ ვუოს** თავურს ნანიევი გადაელობა.

და ერთიც: „ტოტენჰემთან" თბილისური მატჩისას მიღებული ტრავმის მერე მოედანზე პირველად გამოჩნდა „დინამოს" ესპანელი მეგოლე **ჩისკო**...

**დავით თავართქილაძე**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 6 | 3 | 11 |
| 2 | დინამო (თბ) | 5 | 3 | 1 | 1 | 9 | 4 | 10 |
| 3 | ჩიხურა | 5 | 3 | 0 | 2 | 10 | 7 | 9 |
| 4 | მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 7 | 7 | 9 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 2 | 1 | 7 | 3 | 8 |
| 6 | დილა | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 4 | 8 |
| 7 | მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 | 6 | 8 |
| 8 | სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7 | 5 | 7 |
| 9 | გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 3 | 7 | 6 |
| 10 | ზესტაფონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5 | 6 | 4 |
| 11 | ზუგდიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 9 | 4 |
| 12 | სპარტაკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1 | 8 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გ. დოლიძე (დილა) | 3 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 3 |
| ლ. ახალაია (სიონი) | 3 |
| ი. ქობალია (ზესტაფონი) | 3 |

**VI ტური**
**21 სექტემბერი, შაბათი**

ჩიხურა-დილა
გურია-მეტალურგი
ზუგდიდი-ტორპედო
მერანი-სიონი
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ)

# ტორპედო ლიდერობას ინარჩუნებს

17.09. ქუთაისი. ტორპედო. 2 000 მაყურებელი

ტორპედო **0**
დილა **0**

| ტორპედო 4-4-2 | დილა 5-2-3 |
|---|---|
| მ. ქვილითაია | რევიშვილი |
| მთივლიშვილი | ლონდაძე |
| სანდოხაძე | კობახიძე |
| ხიდეშელი | კვახაძე |
| უბილავა | თომაშვილი |
| გიგაური | გურული |
| ჯიქია | მაისურაძე |
| კუხიანიძე | ბოლქვაძე |
| ცინცაძე | ალადაშვილი |
| კაპანაძე | მოდებაძე |
| საბანაძე | გორელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ჟ. სარაგოსა | გ. დევდარიანი |

**ტორპედო**

57. კაპანაძე - **ახვლედიანი**
69. ჯიქია - **გოროზია**
81. გიგაური - **მჭედლიშვილი**
*სათადარიგოები: მიქავა, მარკოზაშვილი, ჭანტურია, გაბაძე*

**დილა**

61. ბოლქვაძე - **გოგინაშვილი**
78. გორელიშვილი - **გ. ქვილითაია**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, აბურჯანია, გაბარაევი, გაგნიძე, გაბაშვილი*
გაფრთხილება: **თომაშვილი (77)**
არბიტრი: *დ. ხარიტონაშვილი*

გუნდები შეხვედრას დანაკლისით შეხვდნენ - ქუთაისელებს წამყვანი მცველი **ვაჟა ტაბატაძე** აკლდათ, რომელმაც „სპარტაკთან" მძიმე ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს. სხვათა შორის, ქუთაისელი გულშემატკივრები მატჩის განმავლობაში მის გვარს სკანდირებდნენ და ასე გამოხატავდნენ მხარდაჭერას...

რაც შეეხება გორელებს, მათ **გრიგოლ დოლიძე** აკლდათ, ხოლო მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** მატჩს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. მის ნაცვლად, გორელებს კვლავ **გიორგი ტულუში** გაუძღვა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა ამ გუნდების შესრულებით გაცილებით უკეთესი თამაშებიც გვინახავს. პირველმა ნახევარმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. სახიფათო მომენტი ჯერ ქუთაისელებმა შექმნეს - საჯარიმოს მისადგომებიდან **ნიკა საბანაძემ** არცთუ ისე ძლიერად, თუმც მეკარისთვის საკმაოდ უხერხულად დაარტყა - **ნუკრი რევიშვილმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ადგილობრივ გულშემატკივრებს რევიშვილის (რომელმაც კარიერა სწორედ „ტორპედოში" დაიწყო) მიმართ მთელი მატჩის განმავლობაში აპლოდისმენტები არ დაუშურებიათ და მის გვარსაც ხშირად სკანდირებდნენ...

ორივე გუნდს შემტევი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული, თუმცა განსაკუთრებულად მწვავე იერიშების განხორციელება ორივეს უჭირდა. ქუთაისელებმა ისევ შორეული დარტყმებით სცადეს ბედი - შეტევაში საყრდენი ნახევარმცველი **მერაბ გიგაური** ჩაერთო და და დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერადაც „დააქუხა", მაგრამ კარს მცირედით ააცილა. ამას **დავით ჯიქიას** შორეული დარტყმაც მოჰყვა, რომელიც რევიშვილმა მოიგერია.

უქმად არც სტუმრები ყოფილან, მათ სახიფათო შეტევას **გორელიშვილი** აგვირგვინებდა, თუმცა მის დარტყმულს მცველი გადაელობა. ქუთაისელებმა მოკლე პასებითა და კომბინაციური თამაშით სცადეს გორელთა ხუთკაციანი დაცვისთვის გასაღების მოძებნა, კარგი შეტევაც განახორციელეს და 5-6 სწრაფი გადაცემის შემდეგ თანაგუნდელებმა **გიორგი კუხიანიძე** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს - რევიშვილი ისევ უშეცდომო იყო.

ამის შემდეგ, უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ. გორელები მოედნის ცენტრშიც კარგად მოქმედებდნენ და ფლანგებსაც აქტიურად იყენებდნენ. სტუმართა სწრაფ შეტევას **ბოლქვაძე** აგვირგვინებდა, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებიდან კარს ოდნავ ააცილა. ტაიმის მიწურულს გორელებს გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მიეცათ - **ალადაშვილის** ჩაწოდების შემდეგ **მოდებაძე** ახლოდან თავით ურტყამდა, თუმცა ქუთაისელთა მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** საოცარი რეაქცია გამოავლინა და „ტორპედო" აშკარა გოლისგან იხსნა. მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევითა და **კაპანაძის** სახიფათო, თუმც არაზუსტი დარტყმით დასრულდა. მატჩის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. მეტოქეები დაცვის ხაზში სუსტი წერტილების ძიებაში იყვნენ. თითქოსდა, ორივე მხარის შეტევებს სიმწვავეც არ აკლდა, მაგრამ, როგორც ქუთაისელი, ისევე გორელი მცველები ყურადღებით და დამაჯერებლად მოქმედებდნენ.

სახიფათო მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. მაგალითად, ერთი ასეთი იყო - ალადაშვილის გამჭოლი გადაცემის შემდეგ მოდებაძე ცდილობდა კარში დარტყმას, მაგრამ ქვილითაიამ დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა.

რამდენიმე წუთში ქუთაისელთა კაპერმა **გიორგი გურულის** უძლიერესი დარტყმაც მოიგერია, ამ ეპიზოდებს შორის კი საბანაძეს შეეძლო სტუმრების დამწუხრება - გრძელი გადაცემის შემდეგ მკერდით კარგად შეიგდო ბურთი, მაგრამ ხეირიანი დარტყმა ალარ გამოუვიდა.

გორელები ცდილობდნენ მწვავე შეტევების განხორციელებას, მაგრამ ქუთაისელი მცველები უშეცდომოდ თამაშობდნენ, ერთ იერიშს კი მასპინძლებმა ძალიან მწვავე კონტრშეტევით უპასუხეს და **ნიკოლოზ ახვლედიანს** ხელსაყრელი პოზიციიდან უკეთ რომ დაერტყა, ანგარიში გაიხსნებოდა.

მატჩის ბოლოს უპირატესობა **ჟერარდ სარაგოსას** შეგირდებს ჰქონდათ. გიგაურის (ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა) წაქცევის გამო ქუთათურებმა ძალზე სახიფათო ჯარიმა მოინაგრეს, ორიგინალურადაც გაითამაშეს, მაგრამ საბოლოო დარტყმა ვერ განახორციელეს.

ქუთაისელთა უკანასკნელი შტურმიც ძალიან სახიფათო იყო - **დავით უბილავას** აქტიურობისა და ფლანგური ჩაწოდების შემდეგ საბანაძე ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ რევიშვილმა გამოსვლაზე კარგად ითამაშა, მდგომარეობა განმუხტა და მატჩიც ლოგიკური შედეგით დამთავრდა.

„ტორპედომ" მოგებათა სერია კი შეწყვიტა (ზედიზედ 3 მოგება ჩემპიონატში), მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა. რაც შეეხება „დილას" გორელთა „იმერული ტურნე" მომავალ უქმეებზე „ჩიხურასთან" მატჩით დასრულდება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## ჭაბუკთა ლიგა. II ტური

**1996/97 წლ.**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 |
| 35-ე სს-საბურთალო | 1:2 |
| ნ. დინამო-ჩიხურა | 3:1 |
| დილა-დინამო (ბთ) | 2:0 |
| მერანი-ზესტაფონი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 2:2 |
| გურია-დინამო (თბ) | 0:5 |
| მეტალურგი-სიონი | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| 2. მეტალურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 3. დილა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. მერანი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 5. საბურთალო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. ნ. დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 8. 35-ე სს | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 10. დინამო (ბთ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11. ზუგდიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12. ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 13. ზესტაფონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 14. ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 15. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 16. გურია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**1998/99 წლ**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ტორპედო | 1:3 |
| 35-ე სს-საბურთალო | 0:2 |
| ნ. დინამო-ჩიხურა | 1:0 |
| დილა-დინამო (ბთ) | 0:0 |
| მერანი-ზესტაფონი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 2:0 |
| გურია-დინამო (თბ) | 0:8 |
| მეტალურგი-სიონი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 2 | 2 | 0 | 0 | 12-0 | 6 |
| 2. საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3. მეტალურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 4. ნ. დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 5. დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. 35-ე სს | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 7. ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 8. ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 10. მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 11. დინამო (ბთ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 12. სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 13. გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-9 | 1 |
| 14. ზესტაფონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 15. სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 16. ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# ფრეც საკმარისი იყო...

17.09. გორი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

**გაგრა 1**

**მეტალურგი 1**

**პირველი მატჩი 0:2**

0:1 საჯაია (54. ლ. კაკუბავას პასით), 1:1 ოვონიკოკო (86-პენ)

| გაგრა 4-4-1-1 | მეტალურგი 4-5-1 |
|---|---|
| ბეგაშვილი | ბედიაშვილი |
| ხარაბაძე | ლ. კაკუბავა |
| გადრანი | მახვილაძე |
| კალანდაძე | მაისაშვილი |
| ჯაბუკიანი | საჯაია |
| ცანკრიალაშვილი | ქავთარაძე |
| ფალავანდიშვილი | კორღალიძე |
| ჯაჯასელი | გურეშიძე |
| ჯიმშარიანი | დობროვოლსკი |
| ოვონიკოკო | კირკიტაძე |
| ჯერემია | სიხარულიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ჯულაძე | გ. სანაია |

**გაგრა**

58. ცანკრიალაშვილი - **ჯულელი**
66. ჯაბუკიანი - **ქარდავა**

*სათადარიგოები: დობორჯგინიძე, რ. კაკუბავა, ზარნაძე, ფურცელაძე, მუსელიანი*

**მეტალურგი**

56. კორღალიძე - **ფიფია**
66. გურეშიძე - **რაზმაძე**
74. კირკიტაძე - **ხაბელაშვილი**

*სათადარიგოები: შერმადინი, ორბელაძე, გენაძე, ექვთიმიშვილი*

გაფრთხილება: მაისაშვილი (74)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

„მეტალურგს" მერვედფინალისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგმული ჰქონდა, „გაგრა" კი, ეტყობა, მაინცდამაინც იმედიანად განწყობილი არ იყო, თორემ დასაწყისიდანვე სხვა შემართებით შეუტევდა მოწინააღმდეგეს.

ბურთი მოედნის ცენტრში ნაკლებად ჩერდებოდა და ძირითადად ერთი ან მეორე კარის მისადგომებთან ვითარდებოდა მოვლენები. პირველი ხიფათი მე-15 წუთზე „მეტალურგმა" შექმნა, როცა **სიხარულიძემ** ახლო მანძილიდან **ბეგაშვილს** ვერ აჯობა. ისე კი, თუ ვინმე იმსახურებდა ამ დღეს გოლის გატანას ორივე გუნდის შემადგენლობაში, სწორედ სიხარულიძე იყო. ხელსაყრელი პოზიციებიდან მის მიერ დარტყმული ბურთები ხან მიზანს მცირედით ცდებოდა, ხან მეკარის ლუკმა ხდებოდა, ხოლო ძელმა ამ ფეხბურთელისგან სამჯერ გადაარჩინა გაგრელები.

გამოკვეთილ ფორვარდ სიხარულიძეს შეტევაში აქტიურად ეხმარებოდნენ ფლანგელები - **ქავთარაძე და კირკიტაძე**. თავის მხრივ, „გაგრას" საგოლედ **ჯონ ჯერემია** ჰყავდა მომართული, რომელსაც ოდნავ უკან დახეული **ოვონიკოკო** ეხმარებოდა.

ვიდრე ნომინალური მასპინძლები დასამახსოვრებელ მომენტს შექმნიდნენ, „მეტალურგი" კიდევ ორჯერ იყო ახლოს მიზანთან. მე-20 წუთზე **ქავთარაძის** შორეული დარტყმა ძელს მოხვდა, კიდევ 8 წუთში სიხარულიძემ 11-მეტრიანის ნიშნულთან ბურთი კარგად ჩამოილო მკერდით, შემოტრიალდა, მაგრამ ბეგაშვილს გაარტყა.

32-ე წუთზე, გაგრელთა სწრაფი კონტრშეტევისას, ჯერემია გაიყვანეს სახეირო პოზიციაზე. მან ვარდნაში სცადა ბურთის კარში გადაგზავნა, თუმცა კარიდან წინ გამოსულმა ბედიაშვილმა შეძლო მოგერიება, უკუგდებული კი **ჭკუასელმა** გაგზავნა დაუცველი კარისკენ, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს.

შესვენების შემდეგ უფრო აქტიურნი ისევ სტუმრები იყვნენ და გოლიც მალევე შეაგდეს. 54-ე წუთზე **ლევან კაკუბავამ** კარის გასწვრივ ჩააწოდა. სიტუაცია ვერც გაგრელმა მცველებმა განმუხტეს და ვერც - მეკარემ, რითიც ისარგებლა **საჯაიამ** და ბურთი ბადეში შეაგორა - 0:1.

მალევე „მეტალურგმა" სახიფათო შეტევა განავითარა. რუსთაველებმა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რაც სიხარულიძის ძლიერი დარტყმით დასრულდა, თუმცა საქმეში ძელი ჩაერია. 67-ე წუთზე, მისივე შორეული დარტყმა ბეგაშვილმა ეფექტური ნახტომით კუთხურზე გადაადგო.

ორ წუთში სიხარულიძე **ფიფიას** პასით კვლავ დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა და... ისევ ძელს გაარტყა ბურთი. ცოტა ხანში ოვონიკოკოსაც მიეცა გატანის შანსი, თუმცა იმ ეპიზოდში ვერ იხეირა, სამაგიეროდ, 86-ე წუთზე მაინც შეძლო გატანა, მის მიერვე მონადირებული 11-მეტრიანით - 1:1.

მატჩის ბოლო აკორდი 90-ე წუთზე, ოვონიკოკოს მიერ ახლო მანძილიდან შესრულებული თავური იყო, რომელიც, ფაქტობრივად, დაუცველი კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## სხვა მატჩები

**1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები**

| | |
|---|---|
| სქური-შუქურა | 1:2 (პ. მ. 0:1) |
| საპოვნელა-გურია | 2:3 (1:5) |
| ლოკომოტივი-ალგეთი | 3:1 (2:1) |
| სტუ-სიონი | 2:5 (1:6) |
| მერცხალი-დინამო (ბთ) | 1:3 (0:6) |
| კოლხეთი (ფ)-სამგურალი | 1:0 (2:1) |
| კოლხეთი (ხ)-ზუგდიდი | 2:1 დ.დ. (1:1) |
| ზესტაფონი-სულორი | 5:0 (5:0) |

17.09. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 200 მაყურებელი

**მერანი 0**

**სამტრედია 0**

**პირველი მატჩი 4:2**

| მერანი 4-4-2 | სამტრედია 4-5-1 |
|---|---|
| შეროზია | მუჯირიშვილი |
| გეგეჭკორი | კაკუშაძე |
| ქარქუზაშვილი | გოგია |
| ფარულავა | მემარნიშვილი |
| გეგია | გამრეკლიძე |
| ფონიავა | მ. ჟვანია |
| გ. მელქაძე | ერისთავი |
| ციკოლია | ბაკურაძე |
| ბაბუნაშვილი | გედენიძე |
| შულაია | ჩალაძე |
| კვანტალიანი | გურეშიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. ჟვანია | უ. სოსიაშვილი |

**მერანი**

25. ციკოლია - **კუჭუხიძე**
55. ბაბუნაშვილი - **კერძევაძე**
79. შულაია - **ლოგუაშიძე**

*სათადარიგოები: ბერია, ლონლაძე, მონიავა, ხუბუა*

**სამტრედია**

46. გამრეკლიძე - **ბაგაშვილი**
84. ერისთავი - კიკნაძე

*სათადარიგოები: ბანძავა, შ.ბაბუნაშვილი, ხვედელიძე, თურმანიძე, გოგიტიძე*

გაფრთხილება: მემარნიშვილი (14)

არბიტრი: ხ. გაგნიძე



# დამსახურებული მერვედფინალი

პირველი მატჩიდან გამომდინარე, წყვილის უდავო ფავორიტად „მერანი" მიიჩნეოდა. პროგნოზი გამართლდა და შემდგომ ეტაპზე, სრულიად სამართლიანად, მარტვილელები გავიდნენ. სხვათა შორის, ეს გუნდები შარშანაც გადაეყარნენ ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება იმერლებს ხვდათ წილად.

შეხვედრა საკმაოდ დაბალ ტემპში და, ფაქტობრივად, რეალური მომენტების გარეშე წარიმართა. როგორც ჩანს, მერანელები ფრეზეც ყაბულს იყვნენ, სამტრედიელებს კი გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისი რესურსი არ აღმოაჩნდათ.

პირველლიგელებმა აქცენტი თავიდანვე შორეულ დარტყმებზე გააკეთეს, თუმცა **მამია ჟვანიასა და ლაშა ჩალაძის** მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. ტაიმის შუაწელისკენ მერანელებმა თითქოსდა ხარისხი გამოასწორეს. მათ ზედიზედ ორჯერ მიეცათ დაწინაურების შანსი: პირველად, როცა **ბაბუნაშვილი-ლი-კუჭუხიძე-გეგეჭკორის** კომბინაციას **შულაია** აგვირგვინებდა, თუმცა ეს უზუსტოდ მოუვიდა. მოგვიანებით, იყო ეპიზოდი, როცა იმავე შულაიას შესანიშნავი სოლო-რეიდის შემდეგ კუჭუხიძეს შეეძლო გატანა, თუმცა მიზანმა მასაც უმტყუნა.

იყო იმედი, რომ მეორე ნახევარში უკეთეს ფეხბურთს ვიხილავდით, მაგრამ ასე არ მოხდა. თამაშის ტემპი კვლავ საშუალოზე დაბალი იყო, დასამახსოვრებელი მომენტები, ფაქტობრივად, არ ყოფილა.

მატჩის გმირობა შეცვლაზე შესულ **ავთანდილ ბეგაშვილს** შეეძლო ეტვირთა. ის ორჯერ დაემუქრა **ჯონი შეროზიას** კარს. პირველ შემთხვევაში „მერანის" მეკარემ ითამაშა დამაჯერებლად, შემდეგ კი კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ძელს მოხვდა...

დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ კუჭუხიძის შორეულ დარტყმას არ ჩავთვლით, რომელიც მეკარემ მოიგერია. საბოლოოდ ნულოვანმა ფრემ მერვედფინალში „მერანი" გაიყვანა.

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან

გურია



დავით მახარაძე

# ვინ შეცვლის მახარაძეს?

## უკრაინიდან მწვრთნელები, ფეხბურთელები და სპონსორი მოდიან

ჩვენი ინფორმაციით, ლანჩხუთის „გურიაში" ცვლილებებია მოსალოდნელი. საუბარია უკრაინელი მთავარი მწვრთნელის, მისი თანაშემწისა და ფეხბურთელების ჩამოყვანაზე. ერთი უკრაინელი მობურთალი უკვე ჩამოსულია. ოთხშაბათს, 15 საათზე, ლანჩხუთის გამგეობაში პრესკონფერენციაა დაგეგმილი და, სავარაუდოდ, იქ გაირკვევა, რატომ გახდა საჭირო ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელის, **დავით მახარაძის** შეცვლა. მან ხომ, ფაქტობრივად, დაშლილი და ჩემპიონატის სტარტზე შეკოწიწებული გუნდით შეუძლებელი შეძლო - ორივე საშინაო შეხვედრაში გაიმარჯვა, მათ შორის, დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამო". წაგებულ შეხვედრებშიც, მახარაძის შეგირდებს ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ.

შეგახსენებთ, რომ მახარაძემ „გურია" მას შემდეგ ჩაიბარა, რაც კლუბში საკადრო ცვლილებები განხორციელდა და დირექტორატთან ერთად, წასვლა მთავარ მწვრთნელ **თემურ ლორიასაც** მოუხდა.

ვინ შეცვლის მახარაძეს? კულუარული ინფორმაციით, ეს ადამიანი, შეიძლებოდა, სსრკ-ის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **ანდრეი ბალი** ყოფილიყო, თუმცა ბოლო მომენტში სიტუაცია შეიცვალა და მას ახლა სამწვრთნელო შტაბში მოიაზრებენ.

ჩვენთვის ცნობილი გახდა ერთი საკადრო ცვლილების შესახებაც - ლანჩხუთელთა დუბლშემადგენლობას „გურიისა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი **გოჩა გუჯაბიძე** გაწვრთნის. ის ამ პოსტზე **დავით იმნაძეს** შეცვლის.

რაც შეეხება ფეხბურთელებს, კიდევ სამი უკრაინელის ჩამოყვანა იგეგმება, თუმცა მწვრთნელებთან ერთად ამჟამად მხოლოდ ერთს ელიან.

ამ ინფორმაციების გადამოწმება ლანჩხუთის გამგებელ **ზაზა ურუშაძესთან** ვცადეთ. თუ გახსოვთ, ის ჯერ კიდევ თვეების წინ აანონსებდა „გურიაში" უკრაინელების ჩამოყვანას:

*„ოთხშაბათს გვექნება პრესკონფერენცია და, ცხადია, „ლელოც" იქნება მოპატიჟებული. ყველაფერს ამ პრესკონფერენციაზე გაიგებთ. ანდრეი ბალი? არა, ის მთავარი მწვრთნელი კი არა, შესაძლოა, მისი თანაშემწე იყოს. ერთი ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ, ერთსაც ველოდებით. ახლა გვარებს ვერ დაგიკონკრეტებთ. ერთს გეტყვით მხოლოდ - მთავარი მწვრთნელი, რა თქმა უნდა, ცნობილი სპეციალისტია. სპონსორები? დიახ, აქაც გვაქვს სიახლეები და ამაზეც ოთხშაბათს მოგახსენებთ"*, - გვითხრა ურუშაძემ.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ინფრასტრუქტურა

# წყალტუბოში სტადიონი უნდა აშენდეს

## მსოფლიო ბანკი და ხელისუფლება ერთად 4 მილიონს დახარჯავენ

წყალტუბოდან კარგი ამბავი მოვიდა - 26 მაისის სახელობის სტადიონის ხელახლა აშენება იგეგმება. ქართული ფეხბურთისთვის ინფრასტრუქტურა რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა, თქმა არ უნდა. პერიფერიებში ფეხბურთის ფედერაციისა და ქვეყნის ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, ახლა კი, როგორც ჩანს, წყალტუბოს ჯერია.

გუშინ წყალტუბოში არქიტექტორთა ჯგუფი და მთავრობის წარმომადგენელი ჩავიდნენ. ეს ინფორმაცია „სამგურალის" დირექტორმა **ამირან ვარდანიძემ** დაგვიდასტურა.

„სამგურალი" ახლა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობს, წყალტუბოში კი - ვარჯიშობს, სადაც ძველი სტადიონიდან ოდენ მინდორი შემორჩა. საშინაო მატჩებს გუნდი სამტრედიაში, ხელოვნურსაფრიან მოედანზე მართავს.

შევიტყვეთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, წყალტუბოს სტადიონის ხელახლა აშენებაზე მომუშავე ჯგუფი სპორტის მინისტრ **ლევან ყიფიანს** ეწვია, ამას გარდა, კონსულტაცია გაიარა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან.**

ვარდანიძემ გვითხრა, რომ ამ დროისთვის არსებობს ორი პროექტი: ერთის მიხედვით, სუფთა საფეხბურთო არენა უნდა აშენდეს, მეორე პროექტი კი ისეთი სტადიონის მშენებლობას ითვალისწინებს, რომელსაც სარბენი ბილიკიც ექნება.

ცხადია, ისიც ვიკითხეთ, თუ რა სახსრებით აშენდება წყალტუბოში სტადიონი. ამ დროისთვის, მთელი საკურორტო ქალაქის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, მწვანეში ჩაფლულ წყალტუბოს ალამაზებენ და ამ პროექტში, მთავრობის გარდა, მსოფლიო ბანკიც მონაწილეობს. როგორც ვარდანიძემ გვითხრა, სტადიონის ასაშენებლად მსოფლიო ბანკი 2,5 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს, მთავრობა კი - 1,5 მილიონის.

4 მილიონი ლარი გრანდიოზულ მშენებლობას ვერ ეყოფა, მაგრამ კოხტა სტადიონის ასაშენებლად ალბათ საკმარისი იქნება. რადგან ინვესტიციების განხორციელება რეალურია, წყალტუბოში საერთაშორისო სტანდარტების სტადიონის აშენებას გეგმავენ. ეს ქალაქი სასტუმროების ნაკლებობას არ უჩივის და თუ კარგ სტადიონსაც წამოჭიმავენ, წყალტუბოში ევრომატჩების ჩატარებაც მოხერხდება. იქვე ახლოს ხომ, ქუთაისში, საერთაშორისო აეროპორტიცაა.

*„ორიდან რომელი პროექტი გაიმარჯვებს, ამას ქვეყნის ხელისუფლება გადაწყვეტს"*, - გვითხრა ვარდანიძემ.

სავარაუდოდ, წყალტუბოს ახალი სტადიონი 3-4 ათას კაცს დაიტევს და თუ ფიფა-უეფას სტანდარტებს გაითვალისწინებენ, ნაგებობას, სულ მცირე, ნაწილობრივი გადახურვა აუცილებლად დასჭირდება.

ორივე პროექტი იმას ითვალისწინებს, რომ სტადიონს სათადარიგო მოედანიც უნდა ჰქონდეს, რათა „სამგურალმა" ხელოვნურ საფარზე ივარჯიშოს და მინდორზე ითამაშოს. სანამ 26 მაისის სახელობის სტადიონი დაინგრეოდა, 12 ათას გულშემატკივარს იტევდა. იმედია, წყალტუბოში სტადიონის აშენებას წინ არაფერი დაუდგება, ის კი საკითხავია, „სამგურალს" თუ ექნება ისეთი დაფინანსება, მნიშვნელოვნად რომ მოლონიერდეს.

**დავით თავართქილაძე**

## A ზონა

### შუქურა-გაგრა 2:2

11.09. ქობულეთი. ჩელე-არენა. 500 მაყურებელი

1:0 გ. ჩელებაძე (8-პენ), 1:1 რ. ნანკრიალაშვილი (28-პენ), 2:1 მ. კაკალაძე (40), 2:2 გ. გადრანი (68)

შუქურა: თ. კაკალაძე, ა. ბრაჭული, ვ. შეროზია, ა. ბაჯელიძე (57. გ. გერმოზაშვილი), ლ. მახარაძე, მ. მამულაძე, გ. ჩელებაძე. ნ. მჭავარიანი (63. ზ. ტულუში), ზ. მალანია, მ. კაკალაძე (71. მ. კოპალიანი), ი. ტაკიძე.

სათადარიგოები: დ. გაბელია, გ. შერვაშიძე, ნ. გოგიტიძე, ვ. ცენტერაძე

მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. კალანდაძე, გ. ფალავანდიშვილი (88. კ. ზარნაძე), გ. გადრანი, ნ. ჭკუასელი, რ. ნანკრიალაშვილი (46. გ. ჯულელი), თ. ყიშკარიანი, ბ. ქარდავა, (46. ვ. ჭაბუკიანი), ა. ოვონიკოკო, ჯ. ჯერემია.

სათადარიგოები: ა. მუსელიანი, გ. დობორჯგინიძე, რ. კაკუბავა, თ. ფერცელიძე

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ლ. მახარაძე; გ. ფალავანდიშვილი, გ. გადრანი, ჯ. ჯერემია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

### ალგეთი-ადელი 5:0

[illegible]

### კოლხეთი (ფ)-იმერეთი 4:1

[illegible]

### კახეთი-მერცხალი 2:1

[illegible]

### მეშახტე-სძური

[illegible]

### ჩხერიმელა-დინამო 2 (ბთ) 2:0

[illegible]

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 3. მეშახტე | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 4. ჩხერიმელა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 5. საპოვნელა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 6. გაგრა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7. შუქურა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-5 | 4 |
| 8. კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 9. დინამო 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 10. სძური | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 11. მერცხალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| 12. ადელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |
| 13. იმერეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

#### მომდევნო ტური

**21 სექტემბერი**

გაგრა-მერცხალი
ადელი-კოლხეთი (ფ)
შუქურა-ჩხერიმელა

**22 სექტემბერი**

სძური-კახეთი
იმერეთი-მეშახტე
დინამო 2-საპოვნელა

## B ზონა

### სტუ-სულორი 5:1

[illegible]

### სამგურალი-კოლხეთი (ხ) 2:2

[illegible]

### ზახმარო-ლოკომოტივი

[illegible]

### საბურთალო-სასკო

[illegible]

### დინამო (ბთ)-დილა 2 3:1

12.09. ქობულეთი. ჩელე-არენა. 500 მაყურებელი

1:0 ბ. ჩიმაკაძე (18), 2:0 ვ. თევდორაძე (62), 2:1 ლ. შენგელია (52), 3:1 ბ. მახარაძე (68)

დინამო (ბ): მ. ალავიძე, ს. თოდუა, ბ. ტეტუნაშვილი, გ. ჟვანია, კ. მაკარიანი, გ. ალავიძე (42. თ. ბერიძე), ვ. თევდორაძე, დ. მახარაძე, ი. ჩირიკაშვილი (66. გ. კვერენჩხილაძე), ბ. ვარშანიძე, ბ. ჩიმაკაძე (75. დ. ადეიშვილი).

სათადარიგოები: ი. პიცანი, ს. ჭილვარია, გ. გოგიტიძე, ა. ბაციკაძე

მწვრთნელი: კ. ჟორჟიკაშვილი

დილა 2: გ. გაბიჩვაძე, კ. ლალანიძე (71. ნ. გაბელია), მ. აფხაზავა, ლ. ქოჩლაძე, გ. კაშია (82. გ. ჯაყელი), გ. კვარაცხელია, ლ. შენგელია, კ. მელაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, გ. ბერიძე, გ. გიორგაძე (86. ი. ბერიძე).

სათადარიგოები: ი. კერძევაძე, ს. ცაბუტაშვილი, თ. ქებურია

მწვრთნელი: გ. დოლიძე

არბიტრი: დ. სანოძე

### ბეთლემი-სამტრედია 0:1

12.09. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

[illegible]

(66. ლ. ბაკურაძე).

სათადარიგოები: გ. ბ. თურმანიძე, გ. ხვედელიძე, გ. კიკნაძე, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: უ. სოსიაშვილი

გაფრთხილება: ლ. ქანთარია, ი. ნაჭყებია

არბიტრი: კ. ჭაჭუა

#### გადატანილი მატჩი

**17 სექტემბერი**

ჭიათურა-მაჭახელა 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. საბურთალო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 3. სამტრედია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 4. დინამო (ბთ) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 5. ჭიათურა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 6. სტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 8-5 | 4 |
| 7. ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 8. დილა 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 10. სამგურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 11. ბეთლემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 12. სასკო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 13. სულორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |
| 14. ზახმარო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

#### მომდევნო ტური

**21 სექტემბერი**

ლოკომოტივი-ჭიათურა
კოლხეთი (ხ)-დინამო (ბთ)
სულორი-სამგურალი
საბურთალო-სტუ

**22 სექტემბერი**

სასკო-ზახმარო
სამტრედია-მაჭახელა
დილა 2-ბეთლემი

## მეორე ლიგა

### დასავლეთის ზონა. III ტური

| | |
|---|---|
| საპოვნელა 2-კოლხეთი-2 | 4:1 |
| შუქურა 2-საირმე | 4:2 |
| რაჭა-მერცხალი | 2:0 |
| მარგვეთი 2006-ეგრისი | 4:2 |
| კოლხეთი 2 (ფ)-ქუთაისი | 5:2 |
| სამეგრელო-ლაზიკა | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარგვეთი 2006 | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2. ლაზიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-0 | 7 |
| 3. შუქურა 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 4. კოლხეთი 2 (ფ) | 3 | 2 | 0 | 1 | 9-8 | 6 |
| 5. რაჭა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-6 | 6 |
| 6. კოლხეთი 2 (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 7. საპოვნელა 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 8. ქუთაისი | 3 | 1 | 0 | 2 | 9-9 | 3 |
| 9. ეგრისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 10. საირმე | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 11. დინამო 2 (ბთ) | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 12. მერცხალი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |
| 13. სამეგრელო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

### აღმოსავლეთის ზონა

| | |
|---|---|
| აბული-საქ. უნივერსიტეტი | 1:2 |
| მარკ სტარი-დურუჯი | 4:0 |
| დინამო (ს)-გოლიადორი | 1:3 |
| ბორჯომი-ივერიონი | 4:1 |
| სასკო 2-არაგვი | 1:3 |
| ფორვარდი-ალაზანი | 0:1 |
| იბერია-რუსთავი | 3:1 |
| ლიახვი-ივერია | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქ. უნივერსიტ. | 2 | 2 | 0 | 0 | 10-4 | 6 |
| 2. მარკ სტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 3. გოლიადორი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 4. ალაზანი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 5. ბორჯომი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 6. არაგვი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 7. ლიახვი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 9. ივერია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 10. ფორვარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 11. დინამო (ს) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 12. ივერიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 13. დურუჯი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 14. აბული | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 15. სასკო 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 16. რუსთავი | 2 | 0 | 0 | 2 | 4-11 | 0 |



ლეგიონერი



ავთანდილ ებრალიძე

# ავთანდილ ებრალიძე:
# ადრე თუ გვიან, საქართველოს ნაკრებში გამომიძახებენ
## ებრალიძეს კონტრაქტს ბრაგაც სთავაზობდა

შაბათს, 14 სექტემბერს, პორტუგალიის პრიმეირა ლიგაში მესამე ქართველის დებიუტი შედგა. ზაზა ზირაქიშვილისა („ფარენსე“) და გოჩა ქოქოშვილის („ბელენენსეში“) შემდეგ, მთავარი პორტუგალიური დივიზიონის ბინადარ „ჟილ ვისენტეს“ ფორმა ჩვენი გულშემატკივრისთვის ჯერაც უცნობმა ფეხბურთელმა, ავთო ებრალიძემ მოირგო.

„პორტუსთან“ სადებიუტო შეხვედრაში ის მოედანზე 77-ე წუთზე გამოჩნდა, თავად მატჩი კი პორტუგალიური ფეხბურთის გრანდმა 2:0 მოიგო.

21 წლის ებრალიძე თბილისშია დაბადებული. ვიდრე პროფესიულ კარიერას დაიწყებდა, 2007-დან 2011 წლამდე „ნორჩ დინამოელში“, პორტუგალიურ „ესპერანსა დე ლაგუშში“ (ორ სხვადასხვა სეზონში) და „ხეტაფეში“ თამაშობდა. უკვე პროფესიულ ასპარეზზე კი ებრალიძეს 2011 წლიდან „ჟუვენტუდე ევორასა“ (27 მატჩი, 2 გოლი) და „ოლივეირენსეში“ (46 მატჩი, 2 გოლი) უთამაშია.

ავთო ებრალიძეს პორტუგალიაში დავუკავშირდით და დავინტერესდით, როგორ მოხვდა პორტუგალიაში, როგორ აიწყო კარიერა და ა.შ.

**- პორტუგალიაში როგორ მოხვდით?**

- დაახლოებით 5 წელია, რაც მშობლებთან ერთად პორტუგალიაში ჩამოვედი და აქვე დავიწყე ვარჯიში. მანამდე საქართველოში, „ნორჩ დინამოელში“, გია ხიტირთან ვთამაშობდი. სხვათა შორის, ჩემი თანაგუნდელები იყვნენ გიორგი ილურიძე და გიორგი დიასამიძე. ხიტირის მერე რეზო გაგუა გვავარჯიშებდა. ეს წლები ძალიან კარგად მახსენდება - გაგუა არა მარტო გამორჩეული მწვრთნელი, ძალიან კარგი ადამიანიც იყო. გული უზომოდ დამწყდა, როცა მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე.

**- პირენეებზე კარიერა როგორ დაიწყეთ?**

- 16 წლის ვიყავი, როცა ჩემი ოჯახი სამხრეთში მდებარე საკურორტო ქალაქ ლაგუშში დასახლდა და II B დივიზიონის, ანუ რანგით მე-4 ლიგის „ესპერანსა დე ლაგუშის“ ასაკობრივ გუნდში ჩავირიცხე. ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა აგენტი და ესპანეთში, „ხეტაფეს“ 19-წლამდელებში სინჯებზე წასვლა შემომთავაზა. მწვრთნელს მოვეწონე, დამტოვა და ერთი წელი ვთამაშობდი, მერე დუბლებში გადამიყვანეს და რამდენჯერმე ძირითად გუნდთან ერთადაც მავარჯიშეს. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ესპანეთში ყველაფერი კარგად მიდიოდა, კონტრაქტიც მზად იყო, მაგრამ პრობლემა იმან შექმნა, რომ არაევროკავშირელი ვიყავი.

**- ანუ, დღემდე საქართველოს მოქალაქე ხართ?**

- რა თქმა უნდა. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, „ხეტაფეს“ 300 ათასი ევრო უნდა გადაეხადა. მაგრამ მდიდარი კლუბი არ არის და 18 წლის ფეხბურთელში ამხელა თანხით ვერ გარისკავდა. იძულებული გავხდი, პორტუგალიაში დავბრუნებულიყავი, სადაც „ესპერანსა დე ლაგუშის“ ძირითად გუნდში ამიყვანეს.

**- პორტუგალიაში იგივე პრობლემა არ შეგექმნა?**

- პორტუგალიაში ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის უფლება მქონდა. „ესპერანსა დე ლაგუშში“ მთელი სეზონი ჩავატარე და ამან ჩემს კარიერაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია - მეოთხე ლიგაში, ძირითადად, ვეტერანები თამაშობდნენ. 2011 წლის ზაფხული იყო, როცა II B დივიზიონის (რანგით მე-3 ლიგა) „ჟუვენტუდე ევორა“ დამიკავშირდა. იქ სეზონი სრულად ჩავატარე. პორტუგალიის თასის 1/8 ფინალშიც კი გავედით და „მარიტიმუსთან“ დავმარცხდით. სეზონი დასრულდა და კონტრაქტი ლიგა დე ორნას (მე-2 ლიგა) რამდენიმე კლუბმა შემომთავაზა, რომელთაგანაც „ოლივეირენსე“ ვამჯობინე, რადგან სულ ალზევებისთვის იბრძოდა. იქ სეზონში 49 მატჩი ვითამაშე - ჩემპიონატში, თასსა და ლიგის თასზე. თასის 1/4 ფინალში „ჟილ ვისენტესთან“ წავაგეთ და მის ხელმძღვანელობას მაშინ მოვეწონე. ზაფხულში მოლაპარაკება მიმდინარეობდა და ეს ინფორმაცია რამდენჯერმე პორტუგალიურ მედიაშიც გავრცელდა. მაგრამ „ოლივეირენსესთან“ კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდებოდა და საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვეს, „ჟილ ვისენტეს“ კი დიდი სახსრები არ ჰქონდა. მოკლედ, კლუბში დარჩენას შევეგუე, სეზონიც ისევ „ოლივეირენსეში“ დავიწყე და აგვისტოში 4 შეხვედრაც ჩავატარე. მაგრამ გუნდები მაინც შეთანხმდნენ და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე, 31 აგვისტოს, „ჟილ ვისენტეში“ გამიშვეს. ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- „ტრანსფერმარკტში“ თქვენს ტრანსფერს 350 ათას ევროდ აფასებენ. რეალურად, რა თანხად შედგა გარიგება?**

- ეს მიახლოებითი ფასია. სინამდვილეში, „ოლივეირენსე“ ჩემში 500 ათას ევროს ითხოვდა. პორტუგალიის პრიმეირა ლიგის მოთამაშეთა მინიმალური ფასი კი 2,5 მილიონი ევროა, მაგრამ „ჟილ ვისენტესთან“ კონტრაქტში წერია, რომ ჩემით დაინტერესებულმა კლუბმა 5 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. სხვათა შორის, ამ გარიგების საფასურად, „ჟილ ვისენტემ“ „ოლივეირენსეში“ სამი ფეხბურთელი გაუშვა და მათ ხელფასს მაინც თავად უხდის. გარდა ამისა, „ოლივეირენსემ“ ჩემი მომავალი სატრანსფერო თანხიდან 20 პროცენტიც დაიკანონა.

**- პრიმეირა ლიგაში სადებიუტო შეხვედრაც ჩაატარე, თანაც „პორტუსთან“ - ალბათ, 21 წლის ფეხბურთელისთვის ეს მოვლენა იყო.**

- „დრაგაუს“ სტადიონზე „პორტუს“ მოგება ძალიან ძნელია, რადგან ამ გუნდს ბოლო წლებში შინ არ წაუგია და ჩვენც დავმარცხდით. ეს საწყენი იყო, მაგრამ დებიუტით მაინც წარმოუდგენელი სიხარული განვიცადე. სხვათა შორის, მანამდე „ოლივეირენსეში“ პირველად საკონტროლო მატჩი დაბალი ლიგის „დესპორტივო დე აგეშთან“ სრულად ჩავატარე და გოლიც გავიტანე. მაგრამ გუნდში სულ 9 ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც ჩემს პოზიციაზე თამაში შეუძლია. არიან „პორტუს“ ყოფილი მოთამაშეები, პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრებისა და განის ნაკრების წევრები. მოკლედ, დიდი კონკურენციაა და არ მეგონა, რომ მწვრთნელი მათამაშებდა. საბედნიეროდ, ჰენრიკ ნუნიესმა მაინც შემიყვანა და დამატებითი წუთების ჩათვლით, მოედანზე სულ 16 წუთი ვიყავი. „ჟილ ვისენტე“ ძლიერი კლუბია და მიმაჩნია, რომ პრიმეირა ლიგაში თამაშიც კარიერაში დიდი ნახტომია. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისია და ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ბევრი შრომა დამჭირდება. სხვათა შორის, ახლა „ჟილ ვისენტეში“ რომ არ გადავსულიყავი, დეკემბერში, კონტრაქტის გაფორმებას „ბრაგაც“ მთავაზობდა. მაგრამ პრიმეირა ლიგაში თამაშის ისეთი დიდი სურვილი მქონდა, ზამთრამდე ველარ მოვითმინე.

**- თქვენი ამპლუის თაობაზეც სხვადასხვა ინფორმაციაა - ზოგან თავდამსხმელად მოგიხსენიებენ, ზოგან - ნახევარმცველად...**

- მარცხენა ფლანგის შემტევი ნახევარმცველი ვარ.

**- ბოლო დროს, თქვენზე ქართული ბეჭდვითი მედია ბევრს წერდა. ალბათ, საქართველოს ეროვნული ან ახალგაზრდული ნაკრებების ხელმძღვანელებიც დაინტერესდებოდნენ...**

- ადრე 19-წლამდელთა ნაკრებში გელა შეყილაძემ გამომიძახა. ახლა არავინ დამკავშირებია. ალბათ, არ მიცნობენ, ან მათ ინტერესზე მე არ მაქვს ინფორმაცია. სხვათა შორის, შარშან, „ოლივეირენსეში“ გამოსვლის პერიოდში, პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს - მაშინ ისინი თურქეთს, ირლანდიასა და შვედებს ხვდებოდნენ. მაგრამ აქაური პასპორტის არქონისა და სხვა მიზეზების გამო, შეკრებაზე არ წავედი. პირდაპირ ვიტყვი და ეს ცარიელი სიტყვები არ არის - საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიას ბევრად ძლიერი და სახელოვანი ნაკრები ჰყავს, ქართველი ვარ და თუ ნაკრებში თამაში მომიწევს, ეს ჩემი ქვეყნის სახელით მსურს. არა მგონია, რომ დაბალი დონის ჩემპიონატში ვთამაშობდე. იმედია, კარგად ვითამაშებ და ადრე თუ გვიან, საქართველოს ნაკრებში გამომიძახებენ. ცხოვრებაში ბევრი სირთულე გამომივლია, ყველაფერს მოთმინებითა და შრომით მივაღწიე და ლოდინი ახლაც არ გამიჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ქ. ფოთის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი-1913“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კლუბის ვეტერანი ფეხბურთელი, ფოთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი

**ბაიდურ კაკაჩია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საფეხბურთო კლუბი „ საბურთალო“ ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თენგიზ სულაქველიძეს ძმის

**ბონდო სულაქველიძის**

გარდაცვალების გამო.

---

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. VII ტური

# ნიუელსმა ლიდერობა დაიბრუნა

**ლანუსი-არ. ხუნიორსი 4:0**

გოლები: 1:0 ლ. აკოსტა (24), 2:0 ს. სილვა (56), 3:0 სომოსა (66), 4:0 მელანო (81)

**ბელგრანო-ველესი 3:0**

გოლები: 1:0 ე. გონსალესი (35), 2:0 ფ. მარკესი (62), 3:0 ს. პერეირა (65)

**ნიუელსი-ოლიმპო 2:1**

გოლები: 0:1 მუსტო (36), 1:1 ტრეზეგე (52), 2:1 მაქსი როდრიგესი (75-პენ)

**ოლ ბოისი-კილმესი 4:0**

გოლები: 1:0 მატოსი (7), 2:0 მატოსი (47), 3:0 მატოსი (67), 4:0 გ. ესპინოსა (80)

გაძევება: აბეკასისი (90. კილმესი)

**ატლ. რაფაელა-ესტუდიანტესი 1:0**

გოლი: 1:0 ალბერტენგო (16)

**ტიგრე-როსარიო 2:0**

გოლები: 1:0 ლეონე (51), 2:0 ელაკოპულოსი (64)

**ბოკა-რასინგი 2:0**

გოლები: 1:0 სანჩეს მინიო (17), 2:0 ჟიგლიოტი (68)

**არსენალი-რივერი 1:1**

გოლები: 0:1 მერკადო (11), 1:1 ფურჩი (66)

სან ლორენსო-გოდოი კრუსი 0:0
ხიმნასია-კოლონი გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 2. არსენალი | 7 | 3 | 4 | 0 | 8-3 | 13 |
| 3. სან ლორენსო | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 4. არ. ხუნიორსი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-7 | 13 |
| 5. ლანუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-4 | 12 |
| 6. ბოკა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 7. ესტუდიანტესი | 7 | 2 | 4 | 1 | 7-5 | 10 |
| 8. ხიმნასია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| 9. კოლონი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 10. ატლ. რაფაელა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 11. ოლ ბოისი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-5 | 9 |
| 12. გოდოი კრუსი | 7 | 2 | 3 | 2 | 4-3 | 9 |
| 13. ველესი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 14. კილმესი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-10 | 9 |
| 15. რივერი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-5 | 8 |
| 16. ბელგრანო | 7 | 2 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| 17. ტიგრე | 7 | 2 | 1 | 4 | 6-8 | 7 |
| 18. როსარიო | 7 | 2 | 0 | 5 | 5-10 | 6 |
| 19. ოლიმპო | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 20. რასინგი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-13 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - კაუტერუჩიო (სან ლორენსო); 4 - კარილიო (ესტუდიანტესი), მატოსი (ოლ ბოისი), რ. რამირესი (კოლონი), ს. სილვა (ლანუსი)

**ტორნეო ინისიალის მე-7 ტურში ჩემპიონატის ლიდერი შეიცვალა. „არსენალმა“ და „სან ლორენსომ“ 2-2 ქულა დაკარგეს, „არგენტინოს ხუნიორსი“ კი საერთოდ დამარცხდა. ამ ყველაფრით ისარგებლა მოქმედმა ჩემპიონმა „ნიუელს ოლდ ბოისმა“, რომელიც კვლავ პირველ ადგილზე დაბრუნდა...**

### ვეტერანებმა გაიბრწყინეს

„ნიუელსს“ საკმაოდ გაუჭირდა. „ძველი ბიჭების“ მეტოქე ის „ოლიმპო“ იყო, რომელმაც წინა ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა და შინ „ბოკა ხუნიორსი“ შეარცხვინა (3:0). როგორც ჩანს, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის განადგურებამ ბაიაბლანკელებზე კარგად იმოქმედა და **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე დაწინაურება სწორედ „ოლიმპომ“ მოახერხა. მასპინძლებმა მეტოქეს სათანადო პასუხი მხოლოდ მეორე ტაიმში გასცეს. „ნიუელსის“ მხრიდან თავი ვეტერანებმა გამოიჩინეს. ჯერ, შეხვედრის 52-ე წუთზე წონასწორობა **დავიდ ტრეზეგემ** აღადგინა, 75-ე წუთზე კი „ოლიმპოს“ კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც გოლად **მაქსი როდრიგესმა** აქცია.

„ნიუელსმა“ წინა ტურში „ველესთან“ განცდილი მარცხის შემდეგ ხასიათი გამოიკეთა და კონკურენტების ცუდი თამაშის გამო პირველი პოზიციაც დაიბრუნა.

### ყოფილი ბოკელების ბენეფისი

„ლანუსმა“ ჩემპიონატის ლიდერ „არგენტინოს ხუნიორსს“ უმასპინძლა და როგორც მოსალოდნელი იყო, იოლადაც იმარჯვა. კი, **კარუსო ლომბარდის** კრებული პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ „არგენტინოსი“ ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს და მისი დაუმარცხებელი სერიაც უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. **გილერმო ბაროს შელოტოს** შეგირდებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და რომ მოენდომებინათ, ოთხზე მეტ გოლსაც გაიტანდნენ.

„ლანუსის“ შემადგენლობაში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება იმ ფეხბურთელებმა დატოვეს, ვინც გუნდში ამ სეზონის დაწყების წინ, „ბოკა ხუნიორსიდან“ მივიდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ **კარლოს ბიანკიმ** სელექცია მაინც და მაინც გონივრულად ვერ წარმართა.

პირველ ტაიმში „ლანუსმა“ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა - **ლაუტარო აკოსტამ** ბურთი **სანტიაგო სილვასგან** მიიღო და **პაოლო მილიორეს** შანსი არ დაუტოვა. მეორე ნახევრის დებიუტში კი გოლი უკვე თავად სილვამ გაიტანა, ვისაც ასისტენტობა **ლეანდრო სომოსამ** გაუწია. ლოგიკურად, შემდეგი ბურთი სომოსას უნდა გაეტანა და ყველაფერი ასეც მოხდა - 66-ე წუთზე, სტუმართა კარის აღებას უკვე მესამე ყოფილი „ბოკელი“ ზეიმობდა.

შეხვედრას წერტილი კიდევ ერთმა ახალწვეულმა, 20 წლის **ლუკას მელანომ** დაუსვა, რომელიც „ლანუსში“ „ბელგრანოდან“ გადავიდა. საბოლოოდ, 4:0 და „არგენტინოსმა“ 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, რაც გუნდს ლიდერობის დათმობად დაუჯდა.

### კლასიკოში ბოკამ იმარჯვა

„ბოკამ“ წაგებას კვლავ მოგება შეუნაცვლა. არგენტინული ფეხბურთის კლასიკო ამჯერად „ბომბონერაზე“ გაიმართა. „ბოკა ხუნიორსის“ და „რასინგის“ 162-ე დაპირისპირებაში, მასპინძლებმა 77-ე გამარჯვება მოიპოვეს. მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა **ხუან სანჩეს მინიომ**, რომელმაც მატჩის დებიუტში თავური დარტყმით გაიტანა და ანგარიში გახსნა.

შეხვედრის მეორე ნახევარში **კარლოს ბიანკის** გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, რაც ლოგიკურად მეორე გოლითაც დასრულდა - **მანუელ ჟიგლიოტიმ** ახალ გუნდში თავი პირველად გამოიჩინა. „რასინგს“ მწვრთნელის შეცვლაც არ შველის - **კარლოს ისკიამ** სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და გუნდიც ლოგიკურად იკავებს ბოლო ადგილს.


ჟიგლიოტიმ (მარცხნივ) „ბოკაში“ პირველი გოლი გაიტანა

ამ ჩემპიონატში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, როდესაც „ბოკა“ იგებს - „რივერი“ მარცხდება. მართალია, ამჯერად „მილიონარიოსი“ არ დამარცხდა, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა. სარანდიში თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ **ხულიო ფურჩმა** მორიგი გოლი გაიტანა და სარანდელებს ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ „არსენალს“ მეტოქე უკვე 6 მატჩია არ დაუმარცხებია.

**ტატო ბაციკაძე**

---

ჰამბურგი

# ფინკი დაითხოვეს!
## ჰამბურგს დროებით კარდოსო და ადო მიხედავენ

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 45 წლის სპეციალისტის გაშვება არა მარტო დორტმუნდში განცდილი სამარცხვინო მარცხის (2:6), არამედ ზოგადად გუნდის ძალიან ცუდი თამაშის შედეგია (5 ტურის შემდეგ „ჰამბურგი“ ბუნდესლიგაში მე-15 ადგილზეა).

კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ოლივერ კროიცერმა** ფინკს მისი გათავისუფლების ამბავი ორშაბათს საღამოს, პირადად შეატყობინა, გუშინ კი ეს ინფორმაცია უკვე გერმანულ პრესაშიც გავრცელდა. ფინკი შეგირდებს ოფიციალურად გამოეთხოვა, რის შემდეგაც პრესკონფერენციაც გამართა.

„მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ორ წელიწადში ბევრი რამ შევძელით. ვამაყობ, რომ ისეთ გუნდში მუშაობის საშუალება მომეცა, როგორიც „ჰამბურგია“. ეს გუნდი, მისი ფეხბურთელები და გულშემატკივრები ძალიან შემიყვარდა და მთელ კოლექტივს წარმატებებს ვუსურვებ. მუშაობის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ ხელმძღვანელები სხვანაირად ფიქრობდნენ და ეს საკმაოდ კონსტრუქციულად, არგუმენტებით ამიხსნეს,“ - უთხრა ფინკმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

კროიცერის თქმით, ახალი მწვრთნელის პოვნამდე და მის დანიშვნამდე ჩრდილოგერმანულ კლუბს ძველი ჰამბურგელები, **როდოლფო ესტებან კარდოსო** და **ოტო ადო** უხელმძღვანელებენ.

**გოტფრიდ ლენცი**


ტორსტენ ფინკი გააგდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტურის შეჯამება

# შეცდომათა კასკადი გუდისონზე

**IV ტურის უმთავრესი მოვლენა პრემიერლიგაში „ჩელსის" პირველი მარცხი იყო. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ ტურის წინა მიმოხილვაში გამოვყავით, როგორც უქმეების ცენტრალური თამაში და ახლა უკვე ტურის შეჯამებაში გვინდა მასზე ვრცლად მოგითხროთ.**

## ჟოზემ ვერაფერი გამოიცნო

საინტერესოა, თუ რას მიიჩნევენ სპეციალისტები ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის მარცხის მიზეზად. უპირველესად იმას, რომ დედაქალაქელებს, მიუხედავად ძირითადში სამი შემტევი ნახევარმცველის (**აზარი-მატა-შიურლე**) ყოლისა, გამამწვავებელი პასის კეთება უჭირდათ; უცნაური იყო, რომ შეტევების ორგანიზება ახალტრავმამოშუშებულ ორ ფეხბურთელს, ედენ აზარსა და ხუან მატას დაევალა. თუკი ბელგიელის პაუზა ხანგრძლივი არ ყოფილა, მატამ წინა ორი შეხვედრა სწორედ ამ მიზეზით გაატარა სათადარიგოთა სკამზე; ძირითადში ვერ მოხვდა სანაკრებო თამაშებში დაღლილი **ფრენკ ლამპარდი**, არადა, 35 წლის ვეტერანს „გუდისონ პარკზე" გოლების გატანა არ უჭირს. კარიერის განმავლობაში მას ეს ბედნიერება 4-ჯერ ჰქონდა. მათ შორის 2-ჯერ შარშანდელ სეზონში; **ჟოზე მოურინიომ** ვერც შეცვლები გამოიცნო. **ოსკარმა** და ლამპარდმა თამაშში ჩართვის შემდეგ თავი ვერაფრით გამოიჩინეს, თუ არ ჩავთვლით ბრაზილიელის სიმულაციას, როდესაც ის პენალტს ითხოვდა. ვერაფერი გააწყო **ფერნანდო ტორესმაც**; არ გაამართლა სასტარტოში **სამუელ ეტოოს** დაყენებამ. 32 წლის კამერუნელის მისამართით ძალიან ბევრი გრძელი გადაცემა გაკეთდა, რომელთა დიდი ნაწილი მასპინძელი მცველებისა და საყრდენი ნახევარმცველების იოლი ლუკმა აღმოჩნდა.

ჟოზე მოურინიო („ჩელსის" მწვრთნელი): *„მომენტები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. გულშემატკივარს ესმის, რომ მსგავსი რამ ნებისმიერ სტადიონზე შეიძლება დაემართოს ნებისმიერ გუნდს. საბოლოო შედეგის გარეშე მარტო მომენტების შექმნას აზრი არ აქვს, ისევე როგორც უშედეგოდ ნათამაშებ ლამაზ ფეხბურთს. დღეს მკვლელის ინსტინქტი არ გვქონდა. თუნდაც რამირესისა და ეტოოს მომენტი გაიხსენეთ. თავდამსხმელს მხოლოდ კარის ჩარჩოში უნდა მოეხვედრებინა და ვერ მოახერხა. მერე შიურლემ გააკეთა მეტისმეტად ნელი პასი ეტოოზე და ბერიმ დარტყმა დაბლოკა. მსგავს ეპიზოდებს ვარჯიშებზე გამუდმებით ვხვეწთ. ფეხბურთელების პოტენციალიდან გამომდინარე ის შედეგს აუცილებლად მოიტანს."*

რობერტო მარტინესი („ევერტონის" მწვრთნელი): *„დღეს გამორჩეულ მეტოქესთან გამორჩეული თამაში ჩავატარეთ. ჩემმა ფეხბურთელებმა დაცვაში დიდებულად ითამაშეს, თუმცა ყურადღება არც შეტევებისთვის მოუკლიათ. ვამაყობ მათით. იმედია, გულშემატკივარს ესმის, რომ „ევერტონისთვის" ეს ერთგვარად გარდამტეხი ეტაპია. განსაკუთრებულად უნდა გამოვყო გარეთ ბერი, ვისაც დიდი ხანია არ ღირსებია რეგულარული სათამაშო პრაქტიკა, თუმცა ამის მიუხედავად მან დაამტკიცა, რომ ნაღდი პროფესიონალია. ის, რაც მან დღეს მოედანზე უჩვენა, ნამდვილი მასტერკლასი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ის ჩვენს რიგებში თამაშობს."*

### ტურის ფაქტები

#### იუნაიტედი-კრისტალ პალასი 2:0

„კრისტალ პალასმა" „მანჩესტერ იუნაიტედთან" პრემიერლიგაში მე-9 თამაში ჩაატარა და ჯერ ერთიც არ მოუგია. ორჯერ ფრედ ითამაშა და შვიდჯერ დამარცხდა.

ლონდონელებმა უკანასკნელად „ოლდ ტრეფორდზე" „ეშმაკების" დამარცხება 1989 წელს შეძლეს (2:1).

„იუნაიტედმა" „პალასთან" 3 ქულის აღებით 530 მოგება იზეიმა პრემიერლიგაში, მაშინ, როცა უკანასკნელს ისტორიაში სულ 38 მოგება აქვს.

#### ასტონ ვილა-ნიუკასლი 1:2

„ასტონ ვილამ" ზედიზედ მეორე სეზონში ვერ მოახერხა „ნიუკასლის" დამარცხება. იქამდე კი ტაინსაიდელებს „ვილა პარკზე" მიჯრით ოთხი მარცხი ჰქონდათ.

2012/13 წლების სეზონის მსგავსად „ნიუკასლმა" ამჯერადაც 2:1 იმარჯვა.

#### ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი 1:1

„ფულჰემმა" „ვესტ ბრომვიჩთან" ზედიზედ მე-6 საპრემიერლიგო შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად - 3 მოგება, 3 ფრე.

პრემიერლიგის ეგიდით გამართულ შეხვედრებში „ვესტ ბრომვიჩს" ჯერ ერთხელაც არ მოუგია ლონდონელებთან.

ჩემპიონატში უკანასკნელად „ვესტ ბრომვიჩმა" მეტოქეს 1967 წელს სძლია, თუმცა ერთხელ მაინც მოახერხა ლიგის თასიდან მისი გამოგდება (3:2). ეს 2005 წელს მოხდა და მაშინ ამისთვის დამატებითი დრო გახდა საჭირო.

#### ჰალ სიტი-კარდიფი 1:1

„კარდიფმა" „ვეფხვებთან" უკანასკნელი 8-დან 4 თამაში მოიგო, თუმცა კი მასთან გასვლაზე დაპირისპირება ტრადიციულად უჭირს. 8 გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ერთხელ მოიგო. ეს 2011 წლის თებერვალში მოხდა.

#### სტოკ სიტი-სიტი 0:0

პრემიერლიგაში „სტოკს" „მანჩესტერ სიტისთან" 6 საშინაო შეხვედრაში 1 მოგება და 5 ფრე აქვს და თანაც ხუთივე ფრე ზედიზედ ითამაშა. „ქალაქელებმა" „ბრიტანიაზე" წინა სეზონში კი იმარჯვეს, თუმცა ეს ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპზე მოხდა.

აქამდე მეტოქეთა შორის „ტრადიციული ანგარიში" 1:1 იყო. ასე დასრულდა ზედიზედ 4 შეხვედრა ამ არენაზე.

მანკუნიანელებმა გასვლაზე ბოლოს „სტოკს" 1999 წელს 1:0 მოუგეს.

#### სანდერლენდი-არსენალი 1:3

„არსენალი" „სანდერლენდთან" უკანასკნელი 20 შეხვედრიდან მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ეს 2009 წლის ნოემბერში მოხდა.

„შავი კატები" „მეთოფეებთან" განსაკუთრებულად სუსტად ატარებენ პირველ ტაიმებს. 25 შემთხვევიდან მხოლოდ ორჯერ მოახერხეს გოლის გატანა პირველ 45 წუთში.

უკანასკნელად „სტედიუმ ოფ ლაითსზე" მასპინძლებმა 2012 წლის თებერვალში იმარჯვეს 2:0, თუმცა ეს თამაში ასოციაციის თასის V ეტაპზე გაიმართა.



„გუდისონ პარკზე" მატჩის ერთადერთი გოლი სტივენ ნეისმიტმა გაიტანა

#### ტოტენჰემი-ნორვიჩი 2:0

„ტოტენჰემმა" შარშანდელის გამო შური იძია. 2012/13 წლების სეზონში მან „ნორვიჩთან" სამჯერ ითამაშა და ერთხელაც ვერ მოიგო. პრემიერლიგაში მეტოქეებმა ორჯერვე 1:1 ითამაშეს, ლიგის თასის IV რაუნდში კი „იადონებმა" 2:1 იმძლავრეს.

„ნორვიჩისთვის" „უაით ჰართ ლეინი" აქამდე კომფორტულ სტადიონად მიიჩნეოდა. უკანასკნელი 7 სტუმრობიდან „დეზებმა" მხოლოდ სამჯერ მოახერხეს მოგება.

შაბათის მარცხი მეშვიდე აღმოჩნდა მეტოქეთა დაპირისპირების ისტორიაში. ამაზე მეტჯერ „ნორვიჩი" პრემიერლიგაში მხოლოდ „ლივერპულთან" (8) და „მანჩესტერ იუნაიტედთან" (9) დამარცხებულა.

#### ევერტონი-ჩელსი 1:0

„ჩელსი" ერთადერთი გუნდი იყო 2012/13 წლების სეზონში, რომელმაც „გუდისონ პარკიდან" 3 ქულა წაიღო (2:1), თუმცა ბოლო წლებში მერსისაიდელები ლონდონელებთან შინ შედეგიანად თამაშობენ, 6 თამაშში - 4 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება.

„ევერტონი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფერნანდო ტორესმა 2013 წელს გაუტანა. ამის შანსი ესპანელს ახლაც ჰქონდა, თუმცა ვერ გამოიყენა.

#### საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი 0:0

„საუთჰემპტონისა" და „ვესტ ჰემის" ბოლო 4 დაპირისპირებიდან 3-ჯერ ფრე დაფიქსირდა.

შაბათს ეს გუნდები ერთმანეთს 99-ედ შეხვდნენ. სტატისტიკა „ჩაქუჩების" მცირე უპირატესობაზე მეტყველებს: 37 მოგება, 29 ფრე, 32 მარცხი.

ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა მიჯრით მე-10 შეხვედრა არ წააგო „საუთჰემპტონთან".

#### სუონსი-ლივერპული 2:2

**გოლები:** 1:0 შელვი (2), 1:1 სტარიჯი (4), 1:2 მოზესი (36), 2:2 მიჩუ (64)

**სუონსი (4-2-3-1):** ვორმი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი - შელვი, ბრიტონი - რუტლეჯი, მიჩუ, დაიერი (46. დე გუზმანი) - ბონი (66. პოსუელო)

**ლივერპული (4-2-3-1):** მინიოლე - ენრიკე, სახო, შკრტელი, უისდომი (69. კ. ტურე) - ჯერარდი, ლეივა - ჰენდერსონი, კოუტინიო (54. ასპასი), მოზესი (80. სტერლინგი) - სტარიჯი

**გაფრთხილება:** უილიამსი, შელვი - ლეივა, ჰენდერსონი, უისდომი

**კარში დარტყმა:** 28-17 (10-5) **კუთხური:** 3-7 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 8-10 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 20 000

პრემიერლიგაში ეს გუნდები მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს და პირველად მოხდა, რომ ორივე გუნდმა გაიტანა. ორჯერ თამაში 0:0 დასრულდა, ერთხელ კი „ენფილდზე" მასპინძელმა იძალა 5:0 (შარშანდელ სეზონში) და მეორედ კი „გედებმა" მშრალად 1:0 მოიგეს.

**დენიელ სტარიჯმა** ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში მოახერხა გატანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 5-2 | 10 |
| 2. არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 4. სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 5. იუნაიტედი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 6. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 7. სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 8. ნიუკასლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-5 | 7 |
| 9. ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 10. ვესტ ჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-1 | 5 |
| 11. საუთჰემპტ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12. კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13. სუონსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 14. ფულჰემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15. ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 16. ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 17. ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 18. კრ. პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 19. ვესტ ბრომვ. | 4 | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| 20. სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

ბომბარდირები: 4 - კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), ოლივიე ჟირუ (არსენალი) დენიელ სტარიჯი (ლივერპული); 3 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)

საუკეთესო ასისტენტები: 2 - დინ კოუი (კარდიფი), პაბლო ერნანდესი (სუონსი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი)

### მომდევნო ტური

21 სექტემბერი: ნორვიჩი-ასტონ ვილა, ვესტ ჰემი-ევერტონი, ნიუკასლი-ჰალ სიტი, ლივერპული-საუთჰემპტონი, ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი, ჩელსი-ფულჰემი

22 სექტემბერი: არსენალი-სტოკი, კრისტალ პალასი-სუონსი, მანჩესტერ სიტი- მანჩესტერ იუნაიტედი, კარდიფი-ტოტენჰემი

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




### ამბები



## დი კანიოს პირველი სასჯელი

„სანდერლენდი"-„არსენალის" მატჩის მიმდინარეობისას მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **პაოლო დი კანიომ** მეოთხე არბიტრი თავისი პრეტენზიებით შეაწუხა, რის გამოც **მარტინ ატკინსონმა** მას წითელი ბარათი აუფრიალა. საფეხბურთო ასოციაციამ ეპიზოდი განიხილა და დაასკვნა, რომ დისკვალიფიკაციის გარდა აპენინელმა 8 ათასი ფუნტის ჯარიმაც უნდა გადაიხადოს. „სანდერლენდს" ასოციაციის გადაწყვეტილების გასაჩივრება ხვალ შუადღემდე შეუძლია.

## შელვი ბოდიშს იხდის

ორშაბათს „ლივერპულმა" სუონსის „ლიბერთი სტედიუმზე" ჩემპიონატში პირველი ქულები დაკარგა, რაც სტუმართა მონდომებაზე მეტად მასპინძელთა მიერ დაშვებული ბავშვური შეცდომების წყალობით მოხდა. „გედებს" შეეძლოთ მრისხანე მეტოქის დამარცხება. დამნაშავეს საკუთარ თავში ეძებს 21 წლის ნახევარმცველი **ჯონჯო შელვი**, ვის არაზუსტ პასსაც **ვიქტორ მოზესის** გოლი მოჰყვა. აი, რას ამბობს „ლივერპულის" ყოფილი მოთამაშე: *„მინდა, ჩემს გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო იმისთვის, რომ მეტოქეს ქულის მოპოვებაში ხელი გავუმართე. რომ არა შეცდომები, ვფიქრობ, თავისუფლად შეგვეძლო 2:0-ის მოგება. როცა მსგავს შეცდომებს უშვებ, იმ წამს გირჩევნია, რომ მიწამ ჩაგყლაპოს. ძნელია, როცა აანალიზებ, რომ გუნდსაც ღალატობ და ტრიბუნებზე შეკრებილ ადამიანებსაც. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ უკეთ ვითამაშებდი".*

შეცდომების გარდა შელვის იმის აღნიშვნა დაავიწყდა, რომ მან გოლის გარდა ფანტასტიკური საგოლე გადაცემაც გაუკეთა მიგელ მიჩუს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტურის შეჯამება

# ბასკებისა და ბეილის წარმატებული დებიუტი

ლა ლიგის მეოთხე ტურის შეჯამება ორშაბათს გამართული მატჩებით დავიწყოთ. უფრო სწორად, ერთი მატჩით, რადგან „ელჩე“-“ვალიადოლიდის“ დაპირისპირებაზე სათქმელი ბევრი არაფერია...


თემურ ფარულავა

## წარმატებული სტარტი ახალ „სან მამესზე“

16 სექტემბერი ბილბაოს „ატლეტიკისთვის“ ისტორიული დღე იყო. ბასკების სიამაყე ახალ სტადიონზე პირველ შეხვედრას ატარებდა. „სან მამეს ბარია“ ბოლომდე გაივსო (ერთი ტრიბუნა ჯერ კიდევ არ აშენებულა) და რა თქმა უნდა, მასპინძელთა ქომაგები საკუთარი გუნდისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ. საბოლოოდ, „ბილბაოს“ გულშემატკივრებმა სასურველი კი მიიღეს, მაგრამ რომ არა **შარლესის** მიერ გაფუჭებული 11-მეტრიანი, კაცმა არ იცის, მოახერხებდა თუ არა „ატლეტიკი“ სამი ქულის აღებას. სეგუნდა დივიზიონის შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა ანგარიში მატჩის დებიუტში გახსნა და ახალ სტადიონზე პირველი გოლიც გაიტანა, თუმცა მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს - **მიკელ სან ხოსემ** ჯარიმის შემდეგ იხეირა. შეხვედრის ერთ-ერთი გადამწყვეტი ეპიზოდი კი 27-ე წუთზე მოხდა - შარლესმა 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა და მატჩის გმირიდან უმალ ანტიგმირად გადაიქცა.

მეორე ნახევარში უპირატესობას „ატლეტიკი“ ფლობდა, რაც ორ გოლშიც აისახა - თავი ჯერ **ანდონი ირაოლამ** გამოიჩინა, რამდენიმე წუთში კი **ბენიატმა** „ბილბაოს“ მაისურით სადებიუტო გოლი შეაგდო. მართალია, „სელტამ“ სხვაობის შემცირება შეძლო, მაგრამ **ლუის ენრიკეს** შეგირდებმა ქულის გადარჩენა ვერ მოახერხეს და სეზონში პირველი მარცხი განიცადეს.

## მსაჯობით უკმაყოფილო სევილიელები

„სევილიას“ ფეხბურთელები **სესარ მუნის ფერნანდესის** გარჯით უკმაყოფილონი დარჩნენ და მათ ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდათ. „ბარსელონა“-“სევილიას“ მატჩის არბიტრმა რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო, რომელთაგანაც ყველაზე უცნაური **ხუან კალას** მიერ წესების სრული დაცვით გატანილი გოლის გაუქმება გახლდათ. ესპანელი ჟურნალისტები დღემდე მსჯელობენ იმაზე, თუ რა გახდა გოლის არჩათვლის მიზეზი, მაგრამ უშედეგოდ - მუნის ფერნანდესი დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც იმ ეპიზოდში წესების დარღვევა დაინახა.

ამ ეპიზოდის გარდა, კიდევ რამდენიმე საკამათო მომენტიც იყო. მაგალითად, სტუმრებს მიაჩნიათ, რომ გადამწყვეტი გოლის ეპიზოდში, **ლიონელ მესიმ ალბერტო მორენოს** ხელით დაქაჩა და თამაშის წესები დაარღვია. კალას გოლის ეპიზოდისგან განსხვავებით, ამ სიტუაციაში ერთმნიშვნელოვნად რაიმეს თქმა რთულია...

## რომ ითამაშოს, მერე რას იზამს

იმავე შეხვედრაში, **ალექსის სანჩესის** გოლის შემდეგ, „ბარსელონას“ სათადარიგოთა სკამზე მყოფ ფეხბურთელებსა და „სევილიას“ სათადარიგო მოთამაშეებს შორის შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც, „ბარსას“ სარეზერვო მეკარემ, **ხოსე პინტომ** ყვითელი ბარათი მიიღო.

საინტერესოა, რომ პინტოს „ბარსელონაში“ სულ 3 ყვითელი და 1 წითელი ბარათი აქვს მიღებული და აქედან, მინდორზე ყოფნის დროს მხოლოდ ერთი გაფრთხილება დაიმსახურა, დანარჩენი ორი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი კი სკამზე მჯდომმა მიიღო.

## ბეილის გოლიანი დებიუტი

**გარეთ ბეილმა** პირველივე შეხვედრაში გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა ვერ მოიგო. უელსელის გარდა, დებიუტი ჰქონდა **ასიერ ილიარამენდისაც** - ორივე ახალწვეულმა მინდორზე თითო საათი გაატარა.

„რეალს“ ძალიან გაუჭირდა და რომ არა **დიეგო ლოპესის** შესანიშნავი გარჯა, „ელ მადრიგალიდან“ ქულასაც ვერ წაიღებდა. ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა მასპინძელთა ერთ-ერთმა ლიდერმა **კანიმ** - 31 წლის ნახევარმცველმა ორივე გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო და გარდა ამისა, „სამეფო კლუბის“ კარს არაერთხელ დაემუქრა.

შეხვედრის შემდეგ ლოპესი **კარლო ანჩელოტიმაც** გამოარჩია, რომელმაც ისიც განაცხადა, რომ მეკარეთა როტაციას მიმართავს და ჩემპიონთა ლიგაში კლუბის კარს **იკერ კასილიასი** დაიცავს.

## ელ ჰამდაუი

ტურის საუკეთესო ფეხბურთელი უდავოდ **მუნირ ელ ჰამდაუი** გახდა. „მალაგას“ ახალწვეულმა, რომელსაც აქამდე ანდალუსიელთა რიგებში სულ ერთი მატჩი, ისიც რამდენიმე წუთით ჰქონდა ნათამაშები, ჰეთთრიქი შეასრულა და გარდა ამისა, აქტივში საგოლე გადაცემაც მიითვალა. მაროკოელის შესანიშნავი გარჯის წყალობით მისმა გუნდმა 5:0 მოიგო და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ელ ჰამდაუიმ ერთ შეხვედრაში სამი გოლი ბოლოს 2010 წელს გაიტანა, როდესაც „აიაქსის“ რიგებში მოთამაშე ფორვარდმა „ვაალვაიკი“ დაიბრიყვა. წინა სეზონი 29 წლის ფეხბურთელმა ფლორენციის „ფიორენტინაში“ გაატარა და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თავი ზუსტად სამჯერ გამოიჩინა.

### ელჩე-ვალიადოლიდი 0:0

**ელჩე (4-2-3-1):** მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ლომბანი, ედუ ალბაკარი - რუბენ პერესი, ხავი მარკესი (81. კ. სანჩესი) - კარლეს ხილი, კორომინასი, ფიდელი (65. მანუ დელ მორალი) - ბოაკიე (69. აარონ ნიგესი)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დიეგო მარინიო - რუკავინა, მარკ ვალიენტე (55. რამა), ხესუს რუედა, პენია - სასტრე, ალვარო რუბიო - ო. რამოსი (71. ფ. როსი), ოსკარ გონსალესი, ბერგდიხი - ხავი გერა (81. მანუჩო)

**გაფრთხილება:** კორომინასი, ბოტია, აარონ ნიგესი, რუბენ პერესი - ალვარო რუბიო

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 23 570

### ბილბაო-სელტა 3:2

**გოლები:** 0:1 შარლესი (14), 1:1 სან ხოსე (18), 2:1 ირაოლა (61), 3:1 ბენიატი (68), 3:2 სანტი მინა (79)

**ბილბაო (4-2-3-1):** იაგო - ირაოლა, სან ხოსე, გურპეგი, ლაპორტი - ერიკ მორანი, ბენიატი (82. დე მარკოსი) - სუსაეტა, ანდერ ერერა (70. მიკელ რიკო), მუნიაინი (74. იბაი გომესი) - ადურისი

**სელტა (4-4-1-1):** იოელი - უგო მალიო, ფონტასი, დავიდ კოსტასი, ტონი - ა. ფერნანდესი (72. სანტი მინა), ბორხა ოუბინა, ალექს ლოპესი (72. მადინდა), ნოლიტო (77. ორელიანა) - რაფაელ ალკანტარა - შარლესი

**გამოუყენებელი პენალტი:** შარლესი (27. სელტა)

**გაფრთხილება:** იაგო, სან ხოსე - ნოლიტო, რაფაელ ალკანტარა, უგო მალიო

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 7-18; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 16-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 53 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 2. ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 3. ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-5 | 10 |
| 4. რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| 5. ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| 6. ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 7. სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 8. სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 9. ლევანტე | 4 | 1 | 2 | 1 | 2-8 | 5 |
| 10. მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-4 | 4 |
| 11. ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 12. ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 13. გრანადა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 14. ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 15. ელჩე | 4 | 0 | 3 | 1 | 3-6 | 3 |
| 16. ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 17. ვალეკანო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 3 |
| 18. ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 8-11 | 2 |
| 19. სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5-8 | 2 |
| 20. ოსასუნა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - მესი (ბარსელონა); 4 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), როდრი (ალმერია); 3 - ისკო (რეალი), ჯოვანო დოს სანტოსი (ვილიარეალი), რაულ გარსია (ატლეტიკო), ელდერ პოშტიგა (ვალენსია), ელ ჰამდაუი (მალაგა), შარლესი (სელტა)

### მომდევნო ტური

21 სექტემბერი: ოსასუნა-ელჩე, სოსიედადი-მალაგა, ალმერია-ლევანტე, რაიო ვალეკანო-ბარსელონა, ვალიადოლიდი-ატლეტიკო

22 სექტემბერი: ბეტისი-გრანადა, სელტა-ვილიარეალი, რეალი-ხეტაფე, ვალენსია-სევილია

23 სექტემბერი: ესპანიოლი-ბილბაო

ტატო ბაციკაძე

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ვარსკვლავი

## ჯოს თავი დაანებეთ

ბრიტანული პრესა მუდმივად ამტკიცებს, რომ ბოლო წლებში **ჯო ჰარტის** თამაშში პროგრესი არ შეიმჩნევა. ჩვენი ინგლისელი კოლეგები მას ყოველი წვრილმანი შეცდომის გამო სასტიკად აკრიტიკებენ და გარკვეულწილად ეს გასაგებიც არის, რადგან „სიტის“ მეკარეს უფლება არ აქვს, რომ თამაშს მოუკლოს. ის ერთადერთია თანამემამულე მეკარეთა შორის, ვისი იმედიც აქვს ინგლისის ნაკრების გულშემატკივარს.

ჯო ჰარტმა იცის, როგორ უნდა უპასუხოს კრიტიკოსებს. ფეხბურთელმა პრემიერლიგის საწყის ოთხ ტურში სამჯერ კარი მშრალად შეინახა. ამასთან, მას არ გაუშვია არც სანაკრებო შეხვედრებში. „მანჩესტერ ივნინგ სტანდარდის“ ჟურნალისტ **სტიუარტ ბრენანს** მიაჩნია, რომ დროა, გაზეთებმა ჯო ჰარტს მშვიდი ცხოვრების საშუალება მისცენ. ბრენანი ამ თემაზე საინტერესო პერსონებს შეხვდა და მათი აზრით დაინტერესდა. მათ შორის ჰარტის თანაგუნდელებსაც. „ჯო მის კრიტიკოსებს წერის სურვილს უქრობს ზედიზედ ჩატარებული მშრალი მატჩებით. „ჰარტიმ“ „სტოკთანაც“ ძალიან კარგად ითამაშა იმის მიუხედავად, რომ უზომო საყვედური წელსაც მიიღო. ერთადერთი, რითაც ის პასუხობს, მოედანზე ნაჩვენები შედეგებია. მიხარია, როცა მის ვარჯიშს ვადევნებ თვალს. მას ყოველდღიურად ეტყობა უკეთესობა. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ დიდი გზა ელის, რადგან მეკარისთვის ის ჯერ კიდევ მეტისმეტად ახალგაზრდაა,“ - აცხადებს **ჯეიმს მილნერი**.


ჯო ჰარტის პოტენციალში ეჭვი არავის ეპარება, მით უფრო მის თანაგუნდელებს

მოსაზრება

## ლივერპული პირველია, მაგრამ...

„ლივერპულის“ უელსელი ლეგენდა **იან რაში** კმაყოფილია პრემიერლიგაში ყოფილი გუნდის პროგრესით. ეს სხვანაირად ვერც იქნება, რადგან მერსისაიდელებს უკანასკნელ 19 წელიწადში საუკეთესო სტარტი გამოუვიდათ. 51 წლის ვეტერანი აცხადებს, რომ ამის მიუხედავად, საჩემპიონო რბოლაში „წითლების“ დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ნაადრევია. მისი აზრით, სერიოზულად ამ თემაზე მსჯელობა უახლოესი 3 ტურის შემდეგ გახდება შესაძლებელი: „ყველაზე საინტერესო შეკითხვებზე პასუხის მისაღებად „საუთჰემპტონთან“, „სანდერლენდთან“ და „კრისტალ პალასთან“ მატჩებს უნდა დავუცადოთ. ეს ზუსტად იმ კატეგორიის თამაშებია, რომლებშიც ფავორიტმა გამარჯვებები უნდა ისწავლოს. უკანასკნელ წლებში ხომ მრავალჯერ მომხდარა, როცა აუტსაიდერებთან ქულები გაგვინიავებია. „იუნაიტედთან“ და „სიტისთან“ თამაშების არასოდეს მეშინია, რადგან მათთან სათანადო მოტივაციას ყოველთვის ვპოულობთ“.


იან რაში

ლევან ბიბილაშვილი

ერთიანი ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის წინ

# ნეაპოლში დიდ სპექტაკლს ველით

## დღეს, სან პაოლოზე: გადასარევი ფეხბურთი გადარეული გუნდების შესრულებით



მარეკ ჰამშიკის (მარცხნივ) ნაპოლი ჰენრიხ მხითარიანის დორტმუნდს ომს უცხადებს



ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მეორე სათამაშო დღის უმთავრესი მშვენება, იმედია, დაგვეთანხმებით, „ნაპოლისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" დაპირისპირებაა. არც პირველია სუპერგრანდი და, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ითამაშა, არც მეორე, მაგრამ ნეაპოლელებიცა და დორტმუნდელებიც იმდენად ემოციურ, სწრაფ და თავზე ხელაღებულ ფეხბურთს თამაშობენ, რომ წესით, დღეს „სან პაოლოზე" კარგი საფეხბურთო სპექტაკლი უნდა ვნახოთ, რომლითაც ყველა ისიამოვნებს. თუმცა, არც სხვა შეხვედრებია უინტერესო.

### E ჯგუფი:
### ჩელსიმ უნდა მოიგოს! შალკემაც...

E ჯგუფს „ჩელსისა" და „შალკეს" სახით ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამობრძმედილი „ბაზელი" და თბილისის „დინამოს" გამამწარებელი „სტიაუა" არც ერთ გრანდს არაფერს დაუთმობენ. დღეს ფავორიტები საკუთარ მოედნებზე თამაშობენ და შესაბამისად, ვალდებულები არიან, მოიგონ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს" ჯგუფის ყველაზე მარტივი მატჩი პირველივე ტურში უწევს, რადგან „სტიაუა" ამ ეტაპზე „ბაზელზე" სუსტ გუნდად მიიჩნევა. გელზენკირხენელები ამიტომაც აცხადებენ თამამად, ბუქარესტელები შინ ხელცარიელები უნდა გავუშვათო და კარგად ესმით, რომ თუ ჯგუფიდან გასვლა უნდათ, საკუთარ მოედანზე „სტიაუას" აუცილებლად უნდა მოუგონ. თუმცა რუმინეთის მოქმედი ჩემპიონი ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის - „სტიაუას" ამ სეზონში ერთი ოფიციალური თამაშიც კი არ წაუგია, შაბათს კი, **ლაურენციუ რეგეკამპფის** შეგირდებმა „ნავოდარი" 5:0 გაანადგურეს. რაც ამ „სტიაუას" მართლა აკლია, ეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილებაა, რითაც მხოლოდ **კაპეტანოსი** თუ დაიკვეხნის, რომელიც „კლუჟში" გატარებული სამი სეზონის შემდეგ ბუქარესტულ კლუბში დაბრუნდა.

„შალკეს" დისკვალიფიკაციის გამო კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი** დააკლდება, რომელსაც „დორტმუნდიდან" გადაბირებული ცენტრალური მცველი **ფელიპე სანტანა** შეცვლის. დისკვალიფიცირებულია საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსიც**.

პარალელურ შეხვედრაში **ჟოზე მოურინიო** „ჩელსიში" მეორე საჩემპიონთალიგო ერას იწყებს. ლონდონელთა ძველ, ახალ მწვრთნელს ჩემპიონთა ლიგის თასი „პორტუსა" და „ინტერში" აქვს მოგებული, „ჩელსიში" და „რეალში" კი ეს ვერ მოახერხა და ახლა ისევ „არისტოკრატებში" დაბრუნდა. „ბაზელთან" შეხვედრის რეპეტიცია ჟოზეს ბიჭებმა ჩააფლავეს - „ჩელსი" პრემიერლიგაში „ევერტონთან" 0:1 დამარცხდა. „ბაზელმა" თასზე „მიუნსინგენს" 1:0 მოუგო, ხოლო შვეიცარიის ჩემპიონატში კი **მურატ იაკინის** გუნდი მესამე ადგილზეა.

### F ჯგუფი:
### ბორუსია ჯოჯოხეთში, იოზილი და კომპანია მარსელში

წინა სეზონის უმთავრეს აღმოჩენას, „დორტმუნდს" პირველივე მატჩი ნეაპოლის „სან პაოლოზე", ანუ, ჯოჯოხეთში ელის. გერმანელები ამოცანის სირთულეს აღიარებენ - „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** „ნაპოლის" „იტალიის მინიმუმ მეორე გუნდი" უწოდა. „დორტმუნდს" პოლონელი ნახევარმცველი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** გამოუჯანმრთელდა და „კუბას" დღეს მოედანზე გასვლა შეუძლია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ჰამბურგთან" 6:2-ის შემდეგ, დორტმუნდელთა თავკაცმა **იურგენ კლოპმა** „შესანიშნავი ოთხეული" (**ობამეიანგი, მხითარიანი, როისი, ლევანდოვსკი**) შეცვალოს. თუ ეს იურგენმა მაინც გააკეთა, მაშინ, სკამზე ალბათ ობამეიანგს დასვამს.

თუმცა, შესაძლოა, ეს არც ისე ცუდი იდეა იყოს, რადგან ბლაშჩიკოვსკის მეტოქე გუნდის იერიშების ჩაშლა ობამეიანგზე გაცილებით უკეთ ეხერხება. ვფიქრობთ, „დორტმუნდს" ახლა სიფრთხილე უფრო სჭირდება, რადგან „ნაპოლი" იტალიის ჩემპიონატს ლიდერობს და შესანიშნავ ფორმაშია. ეს დიდწილად ნეაპოლელთა ახალწვეულების, „რეალიდან" გადაბირებული **ხოსე კალეხონისა** და **გონსალო იგუაინის** დამსახურებაა - „ატალანტასთან" 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში გოლები სწორედ მათ გაიტანეს, საერთო ჯამში კი, ამ წყვილის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 5 გოლი და 2 საგოლე გადაცემაა. **რაფა ბენიტესის** გუნდის შედარებით სუსტ წერტილად დაცვის ხაზი მიიჩნევა.

„რეალიდან" მთავარი ვარსკვლავი ლონდონის „არსენალმა" წაიყვანა - „მეთოფეების" გულშემატკივრებს **მესუთ იოზილზე** უკვე აბოდებთ, რადგან გერმანიის ნაკრების გამთამაშებელმა „არსენალში" თავისი შესაძლებლობების დამტკიცება უკვე მოასწრო: „სანდერლენდთან" (3:1) მან ორი საგოლე პასი გააკეთა. ცხადია, რომ **არსენ ვენგერს** დღეს, მარსელის „ოლიმპიკთანაც" სწორედ იოზილის იმედი ექნება. ფრანგულმა კლუბმა გასულ უქმეებზე „ტულუზს" ვერ მოუგო - 1:1.

### G ჯგუფი:
### ვენის აუსტრიას დებიუტი დიდ სცენაზე

ჩემპიონთა ლიგაში სულ 32 გუნდი თამაშობს და აქედან 31 გუნდი ამ ტურნირს უკვე იცნობს. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირს ერთადერთი დებიუტანტი ჰყავს: ვენის „აუსტრია". ბიელიცას გუნდმა პლეი ოფში ზაგრების „დინამო" დაიფრინა (2:0, 2:3). ავსტრიელები სადებიუტო შეხვედრაში საკუთარ „გენერალი-არენაზე" უაღრესად გამოცდილ „პორტუს" მასპინძლობენ, რომელიც პორტუგალიის მოქმედი ჩემპიონია და გათამაშების ცხრილს ახლაც ლიდერობს (4 მოგება 4 ტურის შემდეგ).

ასეთივე შედეგი აქვს პრიმერადივიზიონში მადრიდის „ატლეტიკოსაც", რომელმაც გასულ უქმეებზე „ალმერიაც" დაამარცხა (4:2) - ოღონდ, მადრიდელები ლიდერობას აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებლით „ბარსელონასთან" იყოფენ. ესპანეთის ჩემპიონატის საწყის ტურებში „ატლეტიკოს" თავდამსხმელები **დიეგო კოშტა** და **დავიდ ვილია** იმდენად კარგად გამოიყურებოდნენ, რომ გულშემატკივრებს „მონაკოში" გადაბარგებული **რადამელ ფალკაო** ლამის დაავიწყდათ. თუმცა, ამ შემთხვევაში მადრიდული კლუბისთვის ცუდი ის არის, რომ დიეგო კოშტას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. მას სავარაუდოდ **ადრიანი** შეცვლის, მაგრამ კანდიდატად **ლეოც** განიხილება.

„ესტადიო ვისენტე კალდერონზე" სტუმარი სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" იქნება - **ანდრეი არშავინითა** და „ბაიერნიდან" დაბრუნებული **ანატოლი ტიმოშჩუკით**. საეჭვოა **ჰალკის** თამაში, თუმცა „ზენიტის" იტალიელ თავკაც **ლუჩანო სპალეტის** იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი დღეს საღამომდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს და მოედანზე გასვლას მოახერხებს.

### H ჯგუფი:
### აიაქსი ნოუ კამპზე, მილანი კაკას გარეშე

როგორც ზემოთაც ვთქვით, „ატლეტიკოსთან" ერთად, ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონამაც" ოთხივე თამაში მოიგო, თუმცა კატალონიელებს გასულ უქმეებზე „სევილიას" დამარცხება დიახაც გაუჭირდათ: ანდალუსიელებმა მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს (2:2), მაგრამ **ლეო მესიმ** 94-ე წუთზე ტურბო ჩართო და **ალექსის სანჩესს** გაატანინა - 3:2. დღეს „ბარსას" მეტოქე ამსტერდამის „აიაქსი" იქნება - **ფრანკ დე ბურის** გუნდი ჰოლანდიაში კი ბატონობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ვერაფერს ახერხებს ხოლმე. ამსტერდამელები მერვედფინალში ბოლოს 2005/2006 წლების სეზონში გავიდნენ.

„ნაპოლისა" და „არსენალის" დარად, „რეალიდან" „მილანმაც" წაიყვანა ფეხბურთელი - უფრო სწორად, დაიბრუნა და „კაკამანიაც" გაჩაღდა, მაგრამ 31 წლის ბრაზილიელი „ტორინოსთან" (2:2) შეხვედრაში დაშავდა და ლაზარეთში 3 კვირას გაატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **კაკა** „როსონერის" „სელტიკთან" ვერ დაეხმარება. მიუხედავად ამისა, „მილანის" თავკაცი **მასიმილიანო ალეგრი** თავისი შეგირდებისგან გაცილებით უკეთესი ფეხბურთის ჩვენებას ითხოვს - „ტორინოსთან" საზარლად ვითამაშეთო.

საერთო ჯამში „მილანს" 13 ფეხბურთელი აკლია. აქედან ათი მოთამაშე (მათ შორის **რიკარდო მონტოლივო, სტეფან ელ შაარავი** და **ინაციო აბატე**) ტრავმირებულია, **ნიანგი** და ახალწვეულები, **საპონარა** და **ვერგარა** კი განაცხადში არ არიან შეყვანილი.

**გოტფრიდ ლენცი**



კაკა დაშავდა და მილანს ვერ დაეხმარება

### E ჯგუფი

**ჩელსი-ბაზელი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, დავიდ ლუისი, კოული - ლამპარდი, მიკელი - ოსკარი, მატა, აზარი - ტორესი.

**ბაზელი (4-4-1-1):** ზომერი - დეგენი, ივანოვი, შერი, საფარი - სალა, ელნენი, ფრაი, ანდრისტი - შტოკერი - შტრელერი.

**არბიტრი:** დანიელე ორსატო (იტალია)

**შალკე-სტიაუა 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ფელიპე სანტანა, მატიპი, აოგო - ნოიშტედტერი, ჰიოგერი - ფარფანი, კ. ბოატენგი, დრაქსლერი - სალაი.

**სტიაუა (4-2-3-1):** ტატარუსანუ - გეორგიევსკი, სუკალა, გარდოსი, ლატოვლევიჩი - ბურჩეანუ, პინტილი - პოპა, სტანჩუ, ტანასე - პიოვაკარი.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

### F ჯგუფი

**ნაპოლი-დორტმუნდი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, რაულ ალბიოლი, ბრიტოსი, სუნიგა - ინლერი, ბეჰრამი - ხოსე კალეხონი, ჰამშიკი, ინსინიე - იგუაინი.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სოკრატისი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ობამეიანგი, მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** პედრო პროენშა (პორტუგალია)

**მარსელი-არსენალი 22:45**

სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ფანი, ნ'კულუ, მენდეში, მორელი - რომაო, იმბულა - აიუ, ვალბუენა, პაიე - ჟინიაკი.

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - ფლამინი, რემსი - უოლკოტი, იოზილი, უილშირი - ჟირუ.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

### G ჯგუფი

**ატლეტიკო-ზენიტი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ლუისი - კოკე, ტიაგო, გაბი, გარსია - ადრიანი, ვილია.

**ზენიტი (4-2-3-1):** ლოდიგინი - ანიუკოვი, ნეტო, ჰუბოკანი, სმოლნიკოვი - ვიტსელი, ფაიზულინი - არშავინი, შიროკოვი, დანი - კერჟაკოვი.

**არბიტრი:** ვილიამ კოლუმი (შოტლანდია)

**აუსტრია-პორტუ 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აუსტრია (4-3-3):** ლინდნერი - დილავერი, როგული, ორტლეხნერი, ზუტნერი - სტანკოვიჩი, ჰოლანდი, გრიუნვალდი - როიერი, ოკოტიე, ჟუნი.

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, მაიკონი, ოტამენდი, სანდრო - დეფური, ფერნანდო, გონსალესი - ლიკა, ჯექსონ მარტინესი, კვინტერო.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

### H ჯგუფი

**ბარსელონა-აიაქსი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ტელიო, მესი, ნეიმარი.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რინი, მოისანდერი, დენსვილი, ბლინდი - სერერო, შიონე, დუარტე - ფიშერი, ჰუსენი, სანა.

**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**მილანი-სელტიკი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ძაკარდო, საპატა, მექსე, ემანუელსონი - პოლი, დე იონგი, მუნტარი - რობინიო - მატრი, ბალოტელი.

**სელტიკი (4-4-1-1):** ფორსტერი - ლუსტიგი, დიკი, ამბროუზი, ისაგირე - ბურიგტერი, ბრაუნი, ლედლი, სამარასი - კომონსი - პუკი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი I ტური

# ყველა, ბებერი ქალბატონის გარდა

## რას ერჩიან იკერს რეალში?

ნუხელ 2013/14 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გაიხსნა - პირველ ოთხ ჯგუფში პირველი ტურის მატჩები გაიმართა - ლიგის მოქმედმა ჩემპიონმა „ბაიერნმა“ დიდი ანგარიშით მოუგო რუსულ ცსკა-ს, კიდევ უფრო დიდი ანგარიშით იმარჯვა „დესიმაზე“ მეოცნებე „სამეფო კლუბმა“ თურქეთში, თანაც შარშანდელი სეზონის ბომბარდირმა **კრიშტიანო რონალდომ** ახალი სეზონი ჰეთთრიკით დაიწყო.

არც „მანჩესტერ იუნაიტედს“ გასჭირვებია „ლევერკუზენის“ დამარცხება - ინგლისის ჩემპიონის რიგებში დუბლი **უეინ რუნიმ** შეასრულა. სან სებასტიანში **ალექს ტეიშეირას** დუბლმა დონეცკის „შახტარს“ ესპანურ „რეალ სოსიედადზე“ მოაგებინა.

**ლორან ბლანის** „პარი სენ ჟერმენმა“ დიდი ანგარიშით მოიგო ბერძნულ პირეოსში და ეს იმის მიუხედავად, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** პენალტი ვერ გაიტანა. დუბლი ამ შეხვედრაშიც შესრულდა - მისი ავტორი იტალიელი **ტიაგო მოტაა.**

ჩეხეთში **მანუელ პელეგრინის** „მანჩესტერ სიტიმ“ იოლად დაამარცხა „პლზენი“; გოლები **იაია ტურემ, სერხიო აგუერომ** და **ედინ ჯეკომ** გაიტანეს. შინ მოიგო „ბენფიკამაც“.

მოკლედ, ყველა ფავორიტმა იოლად იმარჯვა (ესპანურ მატჩს არ ჰყავდა ფავორიტი)... გარდა ერთისა - ტურინის „იუვენტუსმა“ დღის სენსაცია შემოგვთავაზა. უფრო ზუსტად, მისმა მეტოქე „კოპენჰაგენმა“: დანიელები უგებდნენ კიდევაც „ბებერ ქალბატონს“, მაგრამ **ფაბიო კვალიარელამ** „იუვეს“ წაგება არ დაუშვა.

ალბათ დღევანდელ ფეხბურთში **იკერ კასილიასზე** უილბლო ფეხბურთელი არ არსებობს - „რეალის“ კაპიტანმა, როგორც იქნა, 238 დღის შემდეგ პირველად ითამაშა (საკლუბო ფეხბურთს ვთვლით) და 14 წუთის გასვლის შემდეგ შესაცვლელი გახდა. კასილიასს ჰაერში **სერხიო რამოსი** დაეჯახა და თავის კაპიტანს, სავარაუდოდ, ნეკნი გაუტეხა. შეგახსენებთ, რომ წინა ტრავმაც იკერს თანაგუნდელმა - **ალვარო არბელოამ** მიაყენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**



მანჩესტერი-ლევერკუზნი 4:2. ანგარიში უეინ რუნიმ გახსნა

### A ჯგუფი

**მან. იუნაიტედი-ლევერკუზენი 4:2**

**გოლები:** 1:0 რუნი (22), 1:1 როლფესი (54), 2:1 ვან პერსი (59), 3:1 რუნი (70), 4:1 ვალენსია (79), 4:2 თოფრაქი (88)

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - სმოლინგი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, კაგავა (71. ე. იანგი), კერიკი, ფელაინი (80. კლევერლი) - ვან პერსი, რუნი (84. ერნანდესი)

**ლევერკუზენი (4-3-3):** ლენო - დონატი, სპაჰიჩი, თოფრაქი, ბოინიში - ჩანი, რაინჰარტცი, როლფესი - სამი (78. კრუზე), კისლინგი (78. დერდიოკი), სონი (64. ლ. ბენდერი)

**გაფრთხილება:** ვან პერსი - სონი, რაინჰარტცი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 15-12 (10-8); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 74 000

**სოსიედადი-შახტარი 0:2**

**გოლები:** 0:1 ალექსი (65), 0:2 ალექსი (87)

**რეალ სოსიედადი (4-1-2-3):** ბრავო - ესტრადა, გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა - ჩაბი პრიეტო, პარდო (82. გრანერო) - ველა, სეფეროვიჩი (69. აგირეჩე), გრიზმანი (74. კასტრო)

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, რაკიცკი, კუჩერი, შევჩუკი - ლ. მარტინსი (87. ფრედი), ჰუბშმანი (66. სტეპანენკო) - დუგლას კოშტა (77. ბერნარდი), ალექსი, ტაისონი - ადრიანო.

**გაფრთხილება:** ბერგარა, ი. მარტინესი - ალექსი, რაკიცკი, ადრიანო, დუგლას კოშტა, ფერნანდო

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 15-6 (9-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 32 000

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი**

ლევერკუზენი-სოსიედადი
შახტარი-მანჩესტერ იუნაიტედი

### B ჯგუფი

**კოპენჰაგენი-იუვენტუსი 1:1**

**გოლები:** 1:0 იორგენსენი (14), 1:1 კვალიარელა (54)

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - იაკობსენი, მელბერგი, სიგურდსონი, ბენგტსონი - დელენეი, კლაუდემირი (86. მარგრაიტერი), ბრაატენი, ბოლანიოსი (79. ტუტუ) - იორგენსენი, ადი (70. გისლასონი)

**იუვენტუსი (3-1-4-2):** ბუფონი - კიელინი, ბონუჩი, ოგბონა - პირლო - ვიდალი, პოგბა - ლიხშტაინერი (86. ისლა), პელუზო (73. დე ჩელიე) - ტევესი, კვალიარელა (76. ჯოვინკო)

**გაფრთხილება:** მელბერგი, ბენგტსონი - პელუზო, ლიხშტაინერი, ვიდალი

**კარში დარტყმა:** 14-34 (6-11) **კუთხური:** 3-16 **თამაშგარე:** 3-5 **ჯარიმა:** 16-10 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 38 000

**გალათასარაი-რეალი 1:6**

**გოლები:** 0:1 ისკო (33), 0:2 ბენზემა (54), 0:3 რონალდო (63), 0:4 რონალდო (66), 0:5 ბენზემა (81), 1:5 უ. ბულუთი (84), 1:6 რონალდო (90+1)

**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - ებუე, შეჯუ, ნუნკეუ, რიერა - ბაითარი (62. ბრუმა), მელო, ინანი - სნეიდერი - დროგბა (46. ამრაბატი), ილმაზი (78. უ. ბულუთი)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი (15. დ. ლოპესი) - კარვახალი, რამოსი, პეპე, არბელოა - მოდრიჩი (72. ილიარამენდი), ხედირა - დი მარია, ისკო (64. ბეილი), რონალდო - ბენზემა

**გაფრთხილება:** მელო, ამრაბატი, რიერა - პეპე

**კარში დარტყმა:** 17-27 (6-12) **კუთხური:** 4-1 **თამაშგარე:** 6-3 **ჯარიმა:** 6-11 **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 47 000

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი**

იუვენტუსი-გალათასარაი
რეალი-კოპენჰაგენი

### C ჯგუფი

**ბენფიკა-ანდერლეხტი 2:0**

**გოლები:** 1:0 დურიჩიჩი (4), 2:0 ლუიზაო (30)

**ბენფიკა (4-3-3):** მორაეში - ა. ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა - მატიჩი, ფეისა, ე. პერესი (69. ო. ჯონი) - მარკოვიჩი, კარდოსო, დურიჩიჩი (75. მ. პერეირა)

**ანდერლეხტი (4-3-3):** პროტო - ჟილე, კუატე, მბემბა, ნსაკალა - მილივოიევიჩი, დე ზეუვი (46. აჩეამპონგი), კლიესტანი - ბრუნო (79. პრაე), მიტროვიჩი (76. გოი), მ. სუარესი

**გაფრთხილება:** ე. პერესი - ბრუნო, დე ზეუვი, მიტროვიჩი, კლიესტანი, მ. სუარესი

**კარში დარტყმა:** 16-12 (7-5) **კუთხური:** 4-7 **თამაშგარე:** 1-4 **ჯარიმა:** 19-13 **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 30 000

**ოლიმპიაკოსი-პსჟ 1:4**

**გოლები:** 0:1 კავანი (19), 1:1 ვაისი (25), 1:2 მოტა (68), 1:3 მოტა (73), 1:4 მარკინიოსი (86)

*82-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა იბრაჰიმოვიჩმა*

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** ხიმენესი - მანიატისი, მედიანი, სიოვასი, ბონგი - სამარისი, მაშადო - ვაისი (84. იატაბარე), დომინგესი (60. ჯ. კემპბელი), ფუსტერი (74. სავიოლა) - მიტროლლუ

**პარი სენ-ჟერმენი (4-4-2):** სირიგუ - ვან დერ ვილი, კორეა, ტ. სილვა, მაქსველი - მოტა, ვერატი (79. რაბიო), მატუიდი, მოურა (46. ლავეცი) - იბრაჰიმოვიჩი, კავანი (90. მენეზი)

**გაფრთხილება:** ბონგი - ვან დერ ვილი

**კარში დარტყმა:** 17-21 (5-10) **კუთხური:** 5-6 **თამაშგარე:** 4-3 **ჯარიმა:** 14-14 **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 30 000

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი**

პარი სენ-ჟერმენი-ბენფიკა
ანდერლეხტი-ოლიმპიაკოსი

### D ჯგუფი

**ბაიერნი-ცსკა 3:0**

**გოლები:** 1:0 ალაბა (4), 2:0 მანჯუკიჩი (41), 3:0 რობენი (68)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი - კროოსი (71. შვაინშტაიგერი), მიულერი, რიბერი, რობენი (79. შაჩირი) - მანჯუკიჩი (75. პისარო)

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - შენიკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ნაბაბკინი - ცაუნია, ვერნბლუმი - ზუბერი (77. მილანოვი), ჰონდა, ვიტინიო (46. ტოშიჩი) - მუსა (74. ბაზელიუკი)

**გაფრთხილება:** *არ ყოფილა*

**კარში დარტყმა:** 31-11 (12-4) **კუთხური:** 3-1 **თამაშგარე:** 5-3 **ჯარიმა:** 13-12 **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 68 000

**პლზენი-მანჩესტერ სიტი 0:3**

**გოლები:** 0:1 ჯეკო (48), 0:2 ი. ტურე (53), 0:3 აგუერო (58)

**პლზენი (4-2-3-1):** კოზაჩიკი - რაიტორალი, ჰეიდა (67. ჰუბნიკი), პროჰაზკა, ლიმბერსკი - ჰორვატი, ჰორავა - კოვარიკი, კოლარი (61. დურისი), პერტუელა - ბაკოში (84. ტეცლი)

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კოლაროვი - ი. ტურე (80. ხ. გარსია), ფერნანდინიო - ნავასი (67. მილნერი), აგუერო, ნასრი - ჯეკო (83. ნეგრედო)

**გაფრთხილება:** ლიმბერსკი - კოლაროვი, ფერნანდინიო

**კარში დარტყმა:** 14-29 (4-11) **კუთხური:** 7-5 **თამაშგარე:** 8-5 **ჯარიმა:** 6-12 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 11 000

**მომდევნო ტური**

**2 ოქტომბერი:**

ცსკა-პლზენი
მანჩესტერ სიტი-ბაიერნი

---

მადრიდი

# რეალი, ბარსელონა, იუვენტუსი... ჟოზე მოურინიოს თასზე!

მადრიდულმა კლუბმა „დეპორტივო კანილიასმა“ გადაწყვიტა **ჟოზე მოურინიოს** სახელობის ტურნირი ჩაატაროს. პირველი ტურნირი 20-22 სექტემბერს გაიმართება - ჟოზე მოურინიოს ტურნირი საერთაშორისოა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის.

საქმე იმაშია, რომ ამ კლუბის ასაკობრივი გუნდის კარს იცავდა ჟოზეს 14 წლის ვაჟი **ჟოზე მარია მოურინიო** და მის თამაშებს ძალიან ხშირად ესწრებოდა ჟოზე მარიას ცნობილი მამა. ჟოზე მოურინიოს სახელობის ტურნირზე მიწვეულია „ფულჰემი“, სადაც გადავიდა ჟოზეს ვაჟი. სხვა მონაწილეები არიან: „რეალი“, „ბარსელონა“, „ატლეტიკო“, „იუვენტუსი“ და „ვერდერი“.

ჟოზე მოურინიო შეუნიშნავთ, „დეპორტივო კანილიასის“ სხვადასხვა ასაკის გუნდების მწვრთნელებს როგორ აძლევდა დარიგებებს. გარდა ამისა, პორტუგალიელმა კლუბის სარეგისტრაციო 8 ათასი ევრო თავად გადაიხადა და ფინანსურად შეეწია იმ ბავშვებსაც, რომელთა მშობლებსაც არ შეეძლოთ სარეგისტრაციო ხაზუთების თანხის გადახდა.

ეს ტურნირი ტრადიციული გახდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჟოზე მოურინიო სიცოცხლეშივე „უკვდავყვეს“



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პეტრიაშვილის მეორე ბრინჯაო

## ქართველთა წარუმატებელი დღე

ჩვენთვის დიდად წარმატებული არც ბუდაპეშტში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე აღმოჩნდა, როცა ლეიბზე ერთბაშად სამი ფავორიტი გავიდა, მაგრამ მხოლოდ ერთ ბრინჯაოს გამოვრჩით - მას გორელი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** დაეუფლა. პირველი დღისგან განსხვავებით, როცა დებიუტანტთა მიერ მეხუთეზე გასვლა კიდევ შეიძლება, დადებითად შევაფასოთ, გუშინდელ შედეგს წარმატებად ვერ მივიჩნევთ, ისეთი ფალავნები დაგვრჩნენ უმედლოდ - ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60) და ევროპის ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **დავით მარსაგიშვილი** (84). ეს შედეგი მისაღები მხოლოდ პეტრიაშვილისთვისაა, თორემ სხვათა გამოსვლა ნამდვილად არაა დადებითად შესაფასებელი. დღეს „თავისუფლებში" კიდევ ერთი წონითი კატეგორია დარჩა - 74 კილოგრამი, სადაც ჩვენგან **იაკობ მაქარაშვილი** იჭიდავებს. დაგვეთანხმებით, დიდი შანსია, დღეს მონაგარს ვერაფერი შევმატოთ ანუ ამ ერთი ბრინჯაოს ამარა დავრჩეთ, ეს კი ჩვენი გუნდისთვის წარუმატებლობა იქნება. გარკვეულ შემთხვევებში იქნებ მსაჯთა შეცდომებზეც ვისაუბროთ, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკრების ლიდერები, მისი წევრების უმეტესობა სეზონის უმთავრეს ტურნირს ფორმის პიკში ვერ შეხვდა.

### 120 კგ

ალბათ, გენო პეტრიაშვილი ერთადერთია, ვისაც ეს ჩემპიონატი აქტივში ჩაეთვლება. 19 წლის გორელი, ალბათ, უფრო გამოუცდელობამ დაალალატა ნახევარფინალში რუსთა სახელოვან **ჰაჯიმურატ გაცალოვთან**, თორემ ვერ ვიტყვით, რომ რაიმე აკლდა, წინა ორი შეხვედრა ისე დამაჯერებლად მოიგო - ინდოელ **ჰიტენდერ ჰიტენდერსა** და რუმინელ **დანიელ პარეს ჩინტოანუს** ვადამდე მოუთავა ხელი. ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ გაცალოვის ტიტულებს ოდნავადაც არ შეუშინებია და მასაც თამამად ეკვეთა, 3:0 დაწინაურდა კიდეც, თუმცა მერე ბავშვურად შეცდა და დამარცხდა. ეს რომ მართლაც უნებლიე შეცდომა იყო და არა ჩავარდნა, ბრინჯაოსთვის შეხვედრაშიც დადასტურდა, სადაც გენომ ჩინელ **ზივეი დენს** იოლად აჯობა.

იმ მარცხის მიუხედავად, ამ ტურნირმა მაინც დაადასტურა პეტრიაშვილის ნიჭიერება. ამ ეტაპზე მას რაც აკლია, ეს გამოცდილებაა, რაც წლებმა და ასაკმა უნდა მოიტანოს, თორემ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მისი მომრევი ამ წონაში არავინაა, იმდენად დამაჯერებლად უგებს ყველას. იმავე გაცალოვს უკვე სადაც შეხვდება, იქ აჯობებს. პეტრიაშვილს რომ ტიტულები არ აშინებს, მასთან შეხვედრაშიც დაადასტურა, მაგრამ მაინც არსებობს მეტოქესთან შეჩვევის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რასაც ამ შეხვედრაში გადალახავდა. თუმცა აქ ერთიც უნდა გავითვალისწინოთ - ჩვენებური ჯერ კიდევ ბავშვია და გამოცდილების გარდა, წონის უმთავრეს ვარსკვლავებთან ტოლსწორად საპაექროდ მაინც აკლია , ფიზიკური ძალა თუ სხვა რაღაც.

აუცილებლად ქებას იმსახურებს თავად გაცალოვი, რომელმაც 35 წლის ასაკში წონა შეიცვალა და მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. აბა, როგორია - ახალ წონაში, ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე გაიმარჯვა! რუსთა თავკაც **მაგომედ ჰუსეინოვს** ალღომ არ უმტყუნა, როცა 96 კილოგრამში ჩამოწერილი ფალავანი მძიმე წონაში გადაიყვანა, უკრაინელთა ოსი **ალან ზასეევი** კი შეგეცოდებათ - წლეულს მეორედ გავიდა უმთავრესი ტურნირის ფინალში და კვლავ ვერცხლს დასჯერდა. ანალოგიურ წარმატებას მან მარტში თბილისში, ევროპის პირველობაზეც მიაღწია.

1. ჰაჯიმურატ გაცალოვი (რუსეთი); 2. ალან ზასეევი (უკრაინა); **3. გენო პეტრიაშვილი (საქართველო),** ტახა აკგული (თურქეთი).

### 84 კგ

დავით მარსაგიშვილს ისევ ძველმა სენმა დარია ხელი - თითქოს მოგებულ შეხვედრაში როგორღაც აიჭრა და დამარცხდა. არადა, იქ წასაგებს არაფერი მოასწავებდა... მართალია, მეტოქეც არ ჰყავდა ხელწამოსაკრავი - ირანელი **ეხსან ნასერ ლაშგარი** მასთან ერთად იდგა ლონდონის ოლიმპიადის კვარცხლბეკზე, მესამე საფეხურზე, მაგრამ ჩვენებურს ის შეხვედრა არ უნდა წაეგო, მით უფრო, რომ იქამდე დამაჯერებლად მივიდა. პირველი ორი შეხვედრა მან, ტრადიციულად, დამაჯერებლად ჩაატარა, მაგრამ ირანელთან ასევე ტრადიციულმა დაღლილობამ იჩინა თავი...

ამ წონაში ყველაზე აღსანიშნავი უკრაინელთა კიდევ ერთი ოსის - **იბრაგიმ ალდატოვის** გამარჯვებაა, ვინც მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

1. იბრაგიმ ალდატოვი (უკრაინა); 2. სალას პერესი (კუბა); 3. ეხსან ნასერ ლაშგარი (ირანი), იშტვან ვერები (უნგრეთი).

### 60 კგ

ხინჩეგაშვილმა პირველი ორი შეხვედრა, მთლიანობაში, მაინც იოლად მოიგო, თუმცა მისი გამოსვლა უკეთესის შთაბეჭდილებას ტოვებდა - პერუელ **აბელ ხერალდ პასტორ ჰერერას** 9:6 მოუგო, კორეელ **სეუნგ-ჩულ ლეეს** - 8:0 და მეოთხედფინალში გავიდა. იქ მისი მეტოქე მონღოლი **ნიამ-ოშირ ენკსაიკანი** იყო, რომელიც არაა ძლიერი ფალავანი და ფავორიტადაც ჩვენებური მიგვაჩნდა. სამწუხაროდ, რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა - მეტოქემ 8:5 იმარჯვა. მართალია, გარკვეულ ეპიზოდებში შეიძლება მსაჯის გადაწყვეტილებებზეც ვიკამათოთ, მაგრამ საკითხავია - იყო კი ხინჩეგაშვილი ბოლომდე მზად მასთან მოსაგებად? არადა, მონღოლი რომ არაა ძლიერი კონკურენტი, მყისვე დადასტურდა (აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია, გავიხსენოთ მსაჯთა ფაქტორი) - მედლამდე დარჩენილი ორივე შეხვედრა წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. შეიძლება ითქვას, მისი გასვლით თავადაც არცთუ მაღალი კლასის ბულგარელ **ვლადიმირ დუბოვს** გაუმართლა, ამ მნიშვნელოვან ეტაპზე, როცა ერთი მოგებით მედალი განაღდებულია, ასეთი საშუალო დონის მეტოქე რომ ერგო. დუბოვი რა შვილიცაა, ფინალში გამოჩნდა, სადაც რუსთა ჩეჩენმა დებიუტანტმა **ბეკხან გოიგერეევმა** უმოწყალოდ ათრია. ეტყობა, აკრობატული ილეთებით ცნობილი ჩეჩენი ამ წონის ლიდერად უმტკივნეულოდ ჩამოყალიბდება.

ამ წონის ამბებიდან აღსანიშნავია ინდოელთა წარმატება. მოგეხსენებათ, ამჯერად არ ჭიდაობდა მათი უმთავრესი ვარსკვლავი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი **სუშილ კუმარი** (66), თუმცა, ეტყობა, **ვლადიმერ მესტვირიშვილის** მიერ შექმნილ სამწვრთნელო-საჭიდაო სკოლას არც ტალანტები ელევა და არც - კუმარები: **ამიტ კუმარის** (55) ვერცხლის შემდეგ გუშინ ბრინჯაო **ბარჯანგ ბარჯანგმა** მოიპოვა.

1. ბეკხან გოიგერეევი (რუსეთი); 2. ვლადიმირ დუბოვი (ბულგარეთი); 3. ბარჯანგ ბარჯანგი (ინდოეთი), მასუდ ესმაილპური (ირანი).

**ირაკლი თავაძე**




გენო პეტრიაშვილმა წლეულს მეორედ მოიპოვა ბრინჯაო

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...



# ღვინიაშვილმა შანსი ამჯერადაც გამოიყენა

ამ დღეებში ქართულ ჭიდაობა გაიმართა სოფელ რუისშიც (ქარელის რ-ნი). ამ სოფლიდანაა **პაატა ღვინიაშვილი,** რომელმაც წლეულს გამართულ ქართული ჭიდაობის შეჯიბრებების ნახევარზე მეტში აბსოლუტურ წონაში იპირველა. მით უფრო მშობლიურ სოფელში როგორ დათმობდა გამარჯვებას. ასეც მოხდა - ფინალში მან ქარელელ **ზვიად კაპანაძეს** აჯობა.

**წონითი კატეგორიების საჩემპიონოები**

**60 კგ.** 1. გიორგი ვარძელაშვილი, 2. ლაშა გიუნაშვილი (ორივე – ქარელი), 3. ოთარ კაიდარაშვილი (გორი);

**70 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. შალვა მურაჩაშვილი (გორი);

**80 კგ.** 1. გიორგი პაპუნაშვილი (გორი), 2. გია გიორგაძე (ხაშური), 3. ზვიად კაპანაძე (ქარელი);

**+ 80 კგ.** 1. პაატა ღვინიაშვილი, 2. ზვიად კაპანაძე (ორივე - ქარელი), 3. გიორგი ნოზაძე (ხაშური).

შეჯიბრება ქარელის რაიონის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორი **გია ბერუაშვილი**) და საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული. გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა თასები და ფულადი ჯილდოები მიიღეს.

**ვასილ ბალახაძე**
რუისიდან

კრივი

# შვიდი მედალი და გუნდური მესამე

მახაჩყალაში დამთავრდა მაგამედ უმახანოვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კრივში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა. საქართველოს მეორე ნაკრები (დელეგაციის ხელმძღვანელი **კოტე ბერძენიშვილი,** მთავარი მწვრთნელი **შალვა დუნდუა**) ცხრა სპორტსმენით ჩაება შეჯიბრებაში. ჩვენმა ბიჭებმა შვიდი მედალი და გუნდური მე-3 ადგილი მოიპოვეს მასპინძლებისა და ფრანგების შემდეგ.

სამმა ქართველმა ზედიზედ მოიგო რამდენიმე ორთაბრძოლა და ფინალში გავიდა, იქ კი ოქროსთვის პაექრობაში დამარცხდნენ **სევერიან ჭილაძე** (თბილისი, 52 კგ) ფრანგ ელი კონკისთან, **გიორგი გიორგაძე** (თბილისი, 52 კგ) რუს ვლადისლავ ფედიურინთან და **ირაკლი გვენეტაძე** (ქუთაისი, 91) ფრანგ აბულაი დიანთან. ოთხმა ჩვენებურმა - **გიორგი კულუმბეგაშვილმა** (გორი, 56), **გელა აბაშიძემ** (ბათუმი, 75), **გოჩა ბადურაშვილმა** (თელავი, 75) და **რომან თავაძემ** (ქუთაისი, 81) მესამე ადგილები დაიკავეს.

როგორც კოტე ბერძენიშვილმა გვითხრა, ეს ბიჭები ეროვნულ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვიან და მახაჩყალაში მიღწეული წარმატებით ნაბიჯი გადადგეს მიზნის მისაღწევად. წლეულს 11-27 ოქტომბერს ალმათი მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ნაკრები, ალბათ, 9 სპორტსმენით იასპარეზებს. მათ შორის მოსახვედრად კი დიდი კონკურენციაა. 27 სექტემბრიდან ჩვენი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოსთვის ბოლო საწვრთნელ შეკრებას თბილისში გამართავს და გუნდის საბოლოო შემადგენლობაც მერე გახდება ცნობილი.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# სხვაობა ნახევარი ქულაა

თურქულ ქოჯაელში 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე შვიდი ტურის შემდეგ შვიდ გოგონას 3.5-3.5, ხოლო ექვსს 3-3 ქულა ჰქონდათ, მათ შორის - **მერი არაბიძეს**, რომელმაც გუშინ თეთრი ფიგურებით მონიშას (ინდოეთი) მოუგო. ლიდერთა დანარჩენი შეხვედრებიც შედეგიანი აღმოჩნდა: აულია მედინა (ინდონეზია)-ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) 1:0, დინარა სადუაკასოვა (ყაზახეთი)-ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) 0:1, ჟაო მო (ჩინეთი)-ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 0:1, დეიზი კორი (პერუ)-ირინა პეტროვა (უკრაინა) 1:0, ვან იუე (ჩინეთი)-პაულა ანდრეა როდრიგესი (კოლუმბია) 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ მედინამ, ბულმაგამ, კაშლინსკაიმ - 4.5-4.5, ხოლო ვან იუემ, კორიმ და არაბიძემ 4-4 ქულა მოაგროვეს. არაბიძე დღეს მე-6 ტურში ვან იუეს შეხვდება, ხოლო **ანა კუჭავა,** რომელიც გუშინ ლანიტა სტეცკოსთან (ბელარუსი) დამარცხდა და 2.5 ქულა აქვს, მონიკა სიპიტეს (ინდონეზია) დაუპირისპირდება.

ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძე** სიმონე დე ფილიმენოს (იტალია) დაუზავდა და 3 ქულას მოუყარა თავი, 4.5-4.5 ქულით კი იუ იანი (ჩინეთი) და სეტურამანი (ინდოეთი) დაწინაურდნენ. ჯავახაძე დღეს ხავიერ ბენიტესთან (მექსიკა) გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**



მერი არაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი. ჭადრაკი

# ციცინათელადან - ნონამდე

**ბათუმში** მოსწავლე ახალგაზრდობის პარკს ერთ დროს ორსართულიანი სახლი ამშვენებდა, რომელშიც წარმატებით მუშაობდა ჭადრაკის წრე „ციცინათელა". 2003 წელს, როცა ეს შენობა დაინგრა, ბრძენთა თამაშის მოყვარულები პარკის ადმინისტრაციამ შეიფარა - ორი ოთახი დაუთმო. მოჭადრაკეებმაც იქ კლუბი ჩამოაყალიბეს და სახელოვანი ქართველი დიდოსტატის ნონა გაფრინდაშვილის სახელი უწოდეს. წლეულს ეს კლუბი (დირექტორი გიორგი ჭანტურია, მწვრთნელები - გურამ ჭანტურია და მარიკა ჯაფარიძე, მენეჯერი გიორგი ბაბილოძე) თავიანთ დაფინანსებაზე აიყვანეს ბათუმის საკრებულომ და მერიამ, სოლიდური თანხაც გამოუყვეს როგორც ღონისძიებების, ისე კლუბის წევრების დასაფინანსებლად.


მარცხნიდან - გაიოზ ნიგალიძე, ხვიჩა სუპატაშვილი, მირანდა მიქაძე, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია

- მას შემდეგ, რაც კლუბს საკუთარი ბიუჯეტი გაუჩნდა, უპირველესად სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე ვიზრუნეთ - ამორტიზებული შენობიდან ბათუმის სასპორტო სკოლაში გადავედით, სადაც ორი დიდი ოთახი გამოგვიყვეს. ნორმალური მუშაობისთვის საჭირო ინვენტარის ნაწილიც შევიძინეთ, - გვითხრა გიორგი ჭანტურიამ. - თანხის უდიდესი ნაწილი კლუბის წევრთა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის მომზადებას მოხმარდება. დღეისთვის 15 წევრი გვყავს. მათ შორის არიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივი პირველობების არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული სალომე მელია, თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების პრიზიორი დიდოსტატი ნინო ბაციაშვილი, საერთაშორისო ოსტატები - გაიოზ ნიგალიძე და მირანდა მიქაძე (სხვადასხვა ასაკში ორივე საქართველოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია) და სხვები. კლუბმა საქართველოს და ევროპის ჩემპიონატებისთვის სამი მოჭადრაკის მოსამზადებლად საკუთარი სახსრებით მოიწვია მწვრთნელები. კლუბის წევრებმაც იმედები გაგვიმართლეს: სალომე მელიამ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ქალთა შორის ვერცხლის მედალი დაიმსახურა, მსგავსი წარმატება ქართული ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს. გაიოზ ნიგალიძემ მამაკაცებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. კლუბი მას აზერბაიჯანის დიდ საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლადაც დააფინანსებს. ნინო ბაციაშვილმა საბერძნეთში კავალის საერთაშორისო ტურნირზე ქალებში პირველი ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ღონისძიებებს, ჯერჯერობით ერთი შეჯიბრების გამართვას შევუწყვეთ ხელი - ეს იყო უსინათლოთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველებთან ერთად სომხებმა და აზერბაიჯანელებმაც იასპარეზეს.

**- სამომავლოდ რას აპირებთ?**

- ქალაქის საკრებულო და მერია დახმარებას და ფინანსურ მხარდაჭერას საგაისოდაც გვპირდება. შესაძლოა, მომავალ წელს კლუბს საკუთარი შენობაც აუშენონ მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში. გადაწყვეტილი გვაქვს, „ნონას" წევრებს ვარჯიშისა და აქტიური დასვენების კარგი პირობები შევუქმნათ, დიდოსტატებსა და ნორჩ პერსპექტიულ მოჭადრაკეებს სტიპენდიები დავუნიშნოთ, ლექციებისა და მეცადინეობების ჩასატარებლად მოვიწვიოთ პროფესიონალი მწვრთნელები. აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ ქალთა გუნდს, რომელიც აჭარის სახელით ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში იასპარეზებს, რაც მოზარდი თაობისთვის სტიმული იქნება. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გვაქვს ჩაფიქრებული ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ.

**ვაჟა დანელია**

# ნონას თასი პაიჭაძემ მოიგო


ლუკა პაიჭაძე

9 ქვეყნის 154 წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში „ნონას თასზე", რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. ბოლო ტურის წინ შეჯიბრების 7 ქულით საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია** მეწინავეობდა. ბოლო ტურში იგი ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ოლეგ კორნეევს (ესპანეთი) დაუზავდა და 7,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ პირველობისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან მეორე ადგილზე მყოფმა **ლუკა პაიჭაძემ** მძიმე პაექრობაში ქალთა შორის საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **ნინო ხურციძე** დაამარცხა და ქულებით ფანცულაიას გაუთანაბრა. დამატებითი მაჩვენებლები პაიჭაძეს უკეთესი აღმოაჩნდა და ნონას თასიც მას გადაეცა.

ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: დავიდ შაჰინიანი (სომხეთი) - **მერაბ გაგუნაშვილი** 0:1, **მაია ლომინეიშვილი - გიგა ყუფარაძე** 0:1, შოთა აზალაძე - ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი) 0:1, სალიხ აკარ ალ სალიხი (ერაყი) - **ივერი ჭილაძე** 1:0, **ირაკლი ბერაძე - მაკა ფურცელაძე** 0,5:0,5.

საბოლოოდ პირველი მეათე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ლუკა პაიჭაძე (7,5), ლევან ფანცულაია (7,5), გიგა ყუფარაძე (7), ტიგრან პეტროსიანი (7), მერაბ გაგუნაშვილი (7), ოლეგ კორნეევი (7), სალიხ აკარ ალ სალიხი (7), დავით მალალაშვილი (6,5), ირაკლი ბერაძე 6,5), დავით ბენიძე (6,5). ქალებში პირველ მეხუთე ადგილებზე გავიდნენ: მაკა ფურცელაძე (6,5), ლელა ჯავახიშვილი (6,5), ნინო ხურციძე (6), მაია ლომინეიშვილი (6) და ინგა ჭარხალაშვილი (6).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ერთეულებს მხოლოდ შაფათავა შემორჩა

**ბათუმში** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) სასტარტო შეხვედრები გაიმართა. ერთეულებში ოთხი ქართველი ჩაება და პირველი წრის შემდეგ ასპარეზობას მხოლოდ ერთი შემორჩა - **სოფიო შაფათავა**, რომელიც მე-6 ნომრადაა განთესილი. თბილისელმა სპორტსმენმა კვალიფიკაციიდან აღზევებული გერმანელი ქრისტინა შაკოვეცი დაამარცხა 2 სეტში - 6:3, 6:2 და მეორე წრეში, ასევე, ალემანს - ანა ცაიას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ **მარგალიტა ჩახნაშვილს** აჯობა - 6:4, 7:5. **სოფიო ქვაცაბაიამ** მე-5 ნომერ ილონა კრემენთან (უკრაინა) წააგო - 2:6, 3:6, ხოლო **ეკატერინე გორგოძე** სამსეტიანი პაექრობის შემდეგ დანებდა რუს მარგარიტა ლაზარევას - 6:4, 3:6, 3:6.

წყვილებში მარგალიტა ჩახნაშვილმა და სოფიო ქვაცაბაიამ სტარტზე მარგარიტა ლაზარევას (რუსეთი) და ლაურა პიკოშის (ბრაზილია) აჯობეს - 6:4, 7:6, სოფიო შაფათავას და ეკატერინე გორგოძის დუეტმა კი მე-4 ნომრად განთესილი ირინა ხრომაჩევას და ეკატერინა იაშინას (ორივე - რუსეთი) ტანდემი ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:4. მეოთხედფინალში ქართველთა წყვილები გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ტურნირში მონაწილეობდა **თამარ ჭალაგანიძისა** და **ბაბილინა მაჩაიძის** დუეტიც, რომელმაც უშანსოდ წააგო მე-3 ნომერ იაპონელებთან - მისა ეგუჩისა და აკიკო ომაესთან - 1:6, 0:6. **მარიამ ბოლქვაძე** ამინა ანშბასთან (რუსეთი) ერთად იბრძოდა მეოთხედფინალში გასასვლელად, მაგრამ ალონა ფომინასა (უკრაინა) და ქრისტინა შაკოვეცთან (გერმანია) ვერაფერი გააწყო - 2:6, 2:6.

**ანა ტატიშვილი,** რომელიც რეიტინგში 227-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა,


სოფიო შაფათავა

დღეიდან აბლუკერკის (აშშ) ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარი) ჩაებმება. სტარტზე იგი მე-4 ნომერ ამერიკელ მარია სანჩესს შეხვდება. წყვილებში ანა და ირინა ფალკონი (აშშ) პირველ ნომრად არიან განთესილი და შეჯიბრება ჰსუსა და მელიჩარის (აშშ) გამოცდით დაიწყებენ.

**ვაჟა დანელია**

რას წერდა „ლელო" 40 წლის წინათ




## 18 სექტემბერი, 1973 წ.




**საბჭოთა** კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მასპინძლობა წილად ხვდა ბაკურიანს. ეს დიდი პატივიც იყო და დიდი პასუხისმგებლობაც, მაგრამ რაც მთავარია, სპარტაკიადისთვის მზადებას მთლიანად უნდა შეეცვალა ბაკურიანის ინფრასტრუქტურა და გაეთანაბრებინა იგი ზამთრის საუკეთესო კურორტებთან. „ლელო" თავს მოვალედ თვლიდა ბაკურიანში სამუშაოების მიმდინარეობაზე დაეწესებინა მკაცრი კონტროლი - გახსნა კიდეც რუბრიკა „ლელოს" საგუშაგო".

1973 წლის 18 სექტემბრის „ლელოს" მე-2 გვერდი მთლიანად ხსენებულ რუბრიკას ეთმობა. ვრცელი კრიტიკული წერილის ავტორი **ოთარ გელაშვილი** სათაურით „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია" (ხომ არ გეცნობათ?!), მკითხველს აცნობს ხარვეზებს, სამუშაოების მიმდინარეობის ნელ ტემპს და სტატიას ფოტობრალდებებსაც ურთავს.

ნომერში დიდი ადგილი ეთმობა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მიმოხილვას. **ბიჭიკო ქორქია** ვრცლად მიმოიხილავს „ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისისა და მინსკის დინამოელთა შორის გამართულ მატჩს. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს 4:0 (2:0), დუბლებმა კი სტუმრებთან 0:2 წააგეს. სატურნირო ცხრილში 24 მატჩის შემდეგ 30 ქულით ლიდერობდა ერევნის „არარატი", თბილისის „დინამო" კი ამდენივე თამაშიდან მე-6 ადგილზე იყო 23 ქულით.

მიმოხილულია რაგბის საკავშირო ჩემპიონატიც. თბილისში ასკ-ის სტადიონზე ჩვენმა დინამოელებმა მოსკოვის „ფილი" მიიღეს და 4:3 (4:0) სძლიეს. „სინათლის" სარბიელზე კი თბილისის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის შეხვედრაში 8:4 (4:4) ქართველებმა იმარჯვეს. ამ დროისთვის გუნდებს 10-10 მატჩი ჰქონდათ ჩატარებული. 18 ქულით ლიდერობდა „ფილი", თბილისის გუნდები „ლოკომოტივი" და „დინამო" გათამაშების ცხრილში 9 და 6 ქულით შესაბამისად მე-5 და მე-6 ადგილებს იკავებდნენ.

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი



# გაგამარუს პირველი გამარჯვება

26 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ტოკიოს სექტემბრის ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა. გაგამარუმ არ დაარღვია ტრადიცია და **ფუჯიაზუმას** კიდევ ერთხელ, კარიერაში მეხუთედ მოუგო. დოჰიოს ცენტრში მან ღონით აჯობა მეტოქეს, რომელიც ზურგზე დაეცა.

გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს, დღეს მე-9 მაეგაშირა ქართველი **მასუნოიამას** შეხვდება, რომელთანაც ასევე დადებითი ბალანსი აქვს ურთიერთშეხვედრებში - 5:1.

შეგახსენებთ, რომ ძურიოს დივიზიონში დაქვეითებული **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** მძიმე ტრავმის გამო ტოვებს ბაშოს და მას კიდევ ერთი დაქვეითება ელის.

ბაშო ძალიან კარგად დაიწყეს დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**, ჩემპიონებმა **კოტოოშუმ, კაკურიუმ** და **კოტოშოგიკუმ**, მათ ჯერ არ წაუგიათ „კოკუგიკანში".

### III დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-შოჰოზანი (ოშიტაოში), ჰარუმაფუჯი-იკიოი (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ტაკარაფუჯი (იორიკირი), კოტოოშუ-ჩიოტაირიუ (იორიკირი), ოკინოუმი-კისენოსატო (იორიკირი), **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა (ოშიტაოში).

### IV დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-აოიამა, ჰაკუჰო-ოკინოუმი, კოტოოშუ-მიოგირიუ, კისენოსატო-იკიოი, კაკურიუ-ტოჩიოძანი, **გაგამარუ**-მასუნოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი შერმადინთან



# ქომაგის გასახარად

საქართველოს ნაკრების 216 სმ სიმაღლის -(1989 წელსაა დაბადებული) ცენტრი **გიორგი შერმადინი** ევრობასკეტის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და მალევე გაემგზავრა ესპანეთში, სადაც არაგონულ „სარაგოსაში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. როგორც წესი, ახალი კალათბურთელის ჩასვლასთან დაკავშირებით მოეწყო პრეზენტაცია და ესპანურ საიტ eisibi-ზე გამოქვეყნდა გიორგის ინტერვიუ.

**- რატომ მაინცდამაინც „სარაგოსა"?**

- ვიცი, რომ საკალათბურთო ქალაქში ჩამოვედი, კალათბურთელებმა ისიც მითხრეს, რომ დიდი ტრადიციების გუნდია, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა მწვრთნელს, რომელსაც სჯერა ჩემი. ვეცდები იმედები გავუმართლო. ყველაფერს ვილონებ, რომ „სარაგოსას" წარმატების მიღწევაში დავეხმარო, მოვიგოთ ყოველი მატჩი ევროთასსა თუ ესპანეთის ჩემპიონატში.

**- თქვენგან არაგონში ბევრს ელიან...**

- გუნდის გულშემატკივრების მოსაზრებებს „ტვიტერში" ვეცნობოდი. მათ მიაჩნიათ, რომ შემიძლია გუნდს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში დავეხმარო. ვეცდები ქომაგი გავახარო.

**- თანაგუნდელთაგან ვის იცნობთ?**

- ჰენკ ნორელს ორი წლის წინათ შევხვდი. იგი ჰოლანდიის ნაკრებში თამაშობს. ასევე სანაკრებო დონეზე დავუპირისპირდი ბელგიელ ჯონათან ტაბუს. ახლახან, სლოვენიაში ხორვატი დამიან რუდეზის წინააღმდეგ ვითამაშე. მას გამოველაპარაკე და მითხრა, რომ „სარაგოსა" შესანიშნავი გუნდია და ქალაქიც დიდებულია.

**- ახალ გუნდში სათამაშო დრო როგორ გექნებათ, როგორც საქართველოს ნაკრებში, თუ როგორც „ოლიმპიაკოსში"?**

- საინტერესო შეკითხვაა. თუმცა პასუხს მე ვერ გაგცემთ, ეს „სარაგოსას" მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ევრობასკეტის ექო

ინტერვიუ დავით ბერეკაშვილთან

# ზაზა და თორნიკე რომ გვყოლოდა, ევრობასკეტზე კვარტეტში მოვხვდებოდით



ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტის მასპინძელი ქვეყანა სლოვენია პირველი ეტაპის შემდეგ დატოვა. ამავე ეტაპის მერე გამოემგზავრა საქართველოში ევროპის ჩემპიონატზე მომუშავე ქართველი არბიტრი **დავით ბერეკაშვილი,** რომელსაც, ისევე როგორც ჩვენს ნაკრებს, დიდი შანსი ჰქონდა, დღესაც სლოვენიაში ყოფილიყო და მეორე ეტაპზე ემუშავა.

როგორ? ამას ქართველი არბიტრის ინტერვიუში წაიკითხავთ.

- მეორედ მომიწია ევროპის ჩემპიონატის მატჩების განსჯამ. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავრჩი, სლოვენიიდან კმაყოფილი ჩამოვედი. მეტად დაძაბული და საინტერესო შეხვედრები განვსაჯე.

**- რა პრინციპით აარჩიეს არბიტრები პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ?**

- ყოველ ჯგუფს ათი არბიტრი ემსახურებოდა. თავიდან ითქვა, რომ ათიდან რვა მეორე ეტაპზე გადავიდოდა. დღემდე მეც ვიცოდი, რომ სლოვენიაში ვრჩებოდი, მაგრამ მოულოდნელად მსაჯების რაოდენობა გაანახევრეს, 40-დან 20 დატოვეს. თუმცა ამის გამო ნამდვილად არ მწყდება გული, რადგან ევრობასკეტზე კარგი შეხვედრების არბიტრი ვიყავი და ჩემი ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არ დარჩენილან.

**- ლიუბლიანის ჯგუფში მსაჯობდით. რომელ მატჩებს მოემსახურეთ?**

- გახსნის დღეს დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის დაპირისპირება განვსაჯე. შეჯიბრება თავიდანვე საინტერესოდ დაიწყო - შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა და ოთხი ქულის სხვაობით ბრიტანეთმა მოიგო. მომდევნო დღეს უკრაინა-ისრაელზე ვიყავი, შემდეგ - საფრანგეთი-ბელგიაზე.

**- ფრანგ ვარსკვლავ ტონი პარკერს რამდენი შენიშვნა მიეცით?**

- პარკერს არა, მაგრამ ორი წლის წინათ ლიტვის ევრობასკეტზე დირკ ნოვიცკის მივეცი ტექნიკური შენიშვნა. უნდა გენახათ, რაოდენ მშვიდად შეხვდა ჩემს მოქმედებას. საქართველოში მსაჯობა სხვაა, ევროპაში - სხვა. იქ ნერვიულობის საფუძველი არ არსებობს. პირიქით, თამაშში იმდენად ერთვები, იმდენად სასიამოვნოა, რომ გინდა 40-ის ნაცვლად 80 წუთი გაგრძელდეს.

**- ფიბა-ევროპის წარმომადგენლებისგან რა შეფასება მიიღეთ?**

- დადებითი. სხვათა შორის, ხშირად გვიჩვენებდნენ ეპიზოდს, რომელიც 2011 წლის ევრობასკეტზე შემემთხვა: თამაშში ისე ვიყავი ჩართული, რომ მოედნის მილმა გადავედი და ბანერებს გადავაფრინდი. ხსნიდნენ - მსაჯი ასე უნდა ემსახუროს თამაშს და სასტვენი არ უნდა გააგდოსო. ამ ეპიზოდის შემდეგ სლოვენიაში „ჯორჯიან აირლაინსს" მეძახდნენ. იყო უარყოფითი მაგალითიც: ერთ მსაჯს თასმა გაეხსნა, დაიხარა და შეკვრა დაიწყო. ამ დროს თამაში უნდა გააჩეროს და ისე მიხედოს ფეხსაცმელს.

**- საქართველოს ნაკრების შესახებ რას ამბობდნენ?**

- ევრობასკეტისთვის მსაჯები შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ჩავედით და ქალაქ კრანსკა გორაში დავბინავდით. იქ ინსტრუქტაჟს გავდიოდით. ერთ-ერთი განხილვისას გვიჩვენეს საქართველოს, ფინეთისა და მაკედონიის ნაკრებთა მატჩები და გვითხრეს: ეს პატარა ქვეყნები კარგ კალათბურთს თამაშობენ და ყურადღება მიაქციეთ, ისე იმსაჯეთ, რომ არავინ დაიჩაგროსო. ჩემთან ერთად ხორვატი და სლოვენიელი არბიტრები მუშაობდნენ. ყველას საქართველოს ნაკრების შიში ჰქონდა, უკვირდათ, 5 კალათბურთელით ასე კარგად როგორ თამაშობთო. ჩემი აზრით, გუნდში ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია რომ ყოფილიყვნენ, ევრობასკეტზე კვარტეტში მოვხვდებოდით.

**- სლოვენიასთან მატჩში, ბევრის აზრით, არბიტრებმა უხეში შეცდომები დაუშვეს. შეიძლება არაკორექტულად ჩანდეს, მაგრამ მაინც გკითხავთ იმ შეხვედრაში არბიტრების მოქმედებაზე.**

- ალბათ, მცირე სიმპათია ჰქონდათ სლოვენიის ნაკრების მიმართ. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**- გიწევდათ ევროლიგის დონის არბიტრებთან მუშაობა. მომავალში თუ უნდა ველოდოთ თქვენს, ასე ვთქვათ, დაწინაურებას.**

- სადღეისოდ მსაჯობა დაფასებული საქმეა. ყველას ვურჩევ ამ პროფესიით დაინტერესებას. ახლა დიდი ყურადღება უნდა მივაქციო ინგლისური ენის შესწავლას. ზოგადად ვიცი, მაგრამ სამომავლო წინსვლისთვის ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, მაკა კუპატაძე, რომელიც ქალთა ევროლიგასაც მსაჯობს და უკვე მეორედ მოუწია მუშაობა ევროპის ჩემპიონატზე. წლეულს მაკამ ქალთა ევრობასკეტის მესამე ადგილისთვის მატჩი იმსაჯა.

ვაჟა სიმონიშვილი

ამბები

## სუპერლიგის მონაწილე გუნდებისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სუპერლიგის მომავალ სეზონში მონაწილე გუნდებისა და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა შედგა. ეს რიგით მე-3 შეხვედრა იყო, რომელიც ნაყოფიერი გამოდგა.

კლუბების წარმომადგენლებს სუპერლიგის აღმასრულებელ დირექტორ **გიორგი ზაბახიძესთან** ერთად ამჯერად კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი, მერაბ რატიშვილი ესაუბრნენ. გუნდების მიერ თავდაპირველად წამოჭრილი საკითხების დაახლოებით 90 პროცენტზე მხარეები შეთანხმდნენ. აღნიშნული საკითხები შეეხებოდა ჩემპიონატში ლეგიონერთა ლიმიტს, სეზონის კალენდარს და სხვადასხვა აქტუალურ თემებს, რომლებზეც აქამდე გამართულ ორ შეხვედრაზე აქტუალური მსჯელობა მიმდინარეობდა.

ყველა შეთანხმებული საკითხი სუპერლიგის 2013-14 წლების სეზონის დებულებაში აისახება, რომელიც სუპერლიგის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდება და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება.

www.gbf.ge

შეხვედრა

# სანიკიძე და ბავშვები

გუშინ თსუ-ს დარბაზს საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** სტუმრობდა. იგი შეხვდა სხვადასხვა ასაკის ბავშვებს, რომლებმაც ცნობილ კალათბურთელს შეკითხვებიც დაუსვეს, მასთან ერთადაც ივარჯიშეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

შეხვედრა 122-ე სკოლაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობამ დარბაზში არ შეუშვა. როგორც ბავშვთა მწვრთნელმა **ელდარ კაპანაძემ** გვითხრა, პატარები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ სანიკიძესთან შეხვედრით:

*- გვყავს 30 ბავშვი, რომელთა შორისაც არიან გოგონები. სამი გოგონა იმ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს, რომელიც 2015 წელს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. რადგან 122-ე სკოლის კარს არ გვიღებენ, თსუ-ს დარბაზს ვართ შეკედლებულნი და ვიდრე მდგომარეობა გამოსწორდებოდეს, იქ ვვარჯიშობთ.*

ვაჟა სიმონიშვილი



კალათბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი

**ირინე ბაგრატიონი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 18.09. მისამართი: დიღმის მასივი. V კვ. VII კორპ.

**გამოსვენება:** 19.09. ქაშვეთის ეკლესიიდან 14 საათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართული ლეგიონი

# ლიონი ლიდერობს

ტოპ 14-ისგან განსხვავებით, საფრანგეთის რიგით მეორე სარაგბო დივიზიონმა სტარტი ოდნავ მოგვიანებით აიღო, სადაც გასულ უქმეებზე მესამე ტურის მატჩები გაიმართა. ჯერჯერობით სატურნირო ცხრილს 3 გამარჯვებით **გურამ კავთიძისა** და **ვიტო კოლელიშვილის** „ლიონი" ლიდერობს. გასულ ტურში ავსტრალიელი ტიმ ლეინის განვრთნილმა გუნდმა გასვლაზე **გიორგი თეთრაშვილის, ვახტანგ მაისურაძის, სანდრო თოდუას** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბი" დაამარცხა 30:10, თუმცა ბონუსქულა ვერ დაიმსახურა. სტუმართა რიგებში კოლელიშვილი სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და შეუცვლელად ითამაშა, ხოლო კავთიძემ 49-ე წუთზე ფრანგი ბურჯი ხავიერ ფიარდი ჩაანაცვლა. მასპინძელთა რიგებში თოდუამ 74 წუთი დაყო მოედანზე, თეთრაშვილი კი შეხვედრაში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

უაღრესად დაძაბული შეხვედრა გაიმართა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიესა" და **ტარიელ რატიანიძის** „აჟენს" შორის. მასპინძელთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ შეყლაშვილი და 61 წუთი დაჰყო მოედანზე, იმ დროისთვის „ბეზიე" ფრანგი მარკ ბაჟეს, ავსტრალიელი ჰენარი ვერატუას და ჰამზა ზუჰარის ლელოებით დამაჯერებლად ამარცხებდა მეტოქეს 30:10, თუმცა დასკვნით 20 წუთში რატიანიძის გარეშე მოასპარეზე „აჟენი" გამოფხიზლდა, 64-ე წუთზე ჯერ შეცვლაზე შემოსულმა მარბიელმა რემი ვაქუინმა ერთი ლელო გაქვითა, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე ახალზელანდიელმა გარემარბმა ვაკასედუადუამ ბურთიანად მოახერხა მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა 30:24 „ბეზიეს" სასარგებლოდ. 7 და ნაკლები ქულით წაგებული მატჩისათვის სტუმრებმა ბონუსქულა ჩაიწერეს თავის აქტივში და 4-7 ადგილებს ინაწილებენ „ბეზიესთან", „ბურგუენთან" და „კოლომიერსთან".

**ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი" ძალიან სუსტად გამოიყურება გასვლით მატჩებში. ამჯერად ისინი უშანსოდ დამარცხდნენ „ბურგუენთან" 17:38, სტუმართა შემადგენლობაში 80 წუთი ითამაშა ნაცარაშვილმა, „ჩაქუჩა" კი განაცხადში არ გახლდათ. ამჟამად „ორიაკი" 5 ქულით მეთერთმეტე საფეხურზე იმყოფება.

**თამაზ მჭედლიძისა** და **მერაბ შარიქაძის** „ბურგ ენ ბრესმა" საკუთარ არენაზე ირაკლი **მირცხულავას, გიორგი ნემსაძის** და **გიორგი ჩხაიძის** „ტარბი" მიიღო და რთულ ბრძოლაში 23:16 დაამარცხა მეტოქე. მასპინძელთა რიგებში ქართველი ლეგიონერები განაცხადში ვერ მოხვდნენ, „ტარბის" ღირსებას პირველივე წუთებიდანვე იცავდნენ მირცხულავა და ჩხაიძე, ხოლო ნემსაძე შეხვედრაში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე მატჩში დაძაბულობამ პიკს მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე მიაღწია: 75-ე წუთზე . სტუმართა ახალზელანდიელმა მგეზავმა აშ მოეკემ საკუთარი გუნდის ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა, თუმცა დარჩენილ დროში შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ - მასპინძელთა გამთამაშებელმა ბრუნო ლანცელემ მორკინალთა მიერ მოპოვებული საჯარიმო ზუსტად დაარტყა კარებში, პირადი მონაგარი 18 ქულამდე გაზარდა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. „ბურგენ ბრესს" 3 ტურის შემდეგ 6 ქულა მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მერვე საფეხურზე იმყოფება. ქულათა იმავე რაოდენობით მეცხრეა „ტარბი", რომელიც მხოლოდ გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობით ჩამორჩება მეტოქეს.



**III ტური**

სტად მონტოისი - კოლომიერსი 24:33; აჟენი - ლიონი 10:30; კარკასონი - ოში 30:27; ბეზიე - აჟენი 30:24; ბურგუენი - ორიაკი 30:17; ლა როშელი - დაქსი 23:10; ბურგ ენ ბრესი - ტარბი 23:16; სექშენ პალასი - ნარბონი 25:15;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი -13 ქულა; 2. სექშენ პალასი - 13; 3. ლა როშელი - 10; 4. ბეზიე - 9; 5. კოლომიერსი - 9; 6. აჟენი - 9; 7. ბურგუენი - 9; 8. ბურგ ენ ბრესი - 6; 9. ტარბი - 6; 10. კარკასონი - 5; 11. ორიაკი - 5; 12. სტად მონტოისი - 5; 13. ოში - 5; 14. ნარბონი - 4; 15. დაქსი - 4; 16. ალბი - 1

● ესპუართა ლიგა



# ჯიქები უდანაკარგოდ

უმაღლესი ლიგის პარალელურად ესპუართა ლიგაშიც მეორე ტურის მატჩები მიილია. **გიორგი ამირხანაშვილის** დამოძღვრილი **„ჯიქები"** ახალგაზრდა მორაგბეებით გახლავთ დაკომპლექტებული, რომელთაც უდიდესი მოტივაცია გააჩნიათ და გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ ის ფაქტი, რომ ესპუართა ლიგაში ეს გუნდი წარმატებით ასპარეზობს. მათ პირველი ტურის მსგავსად ამჯერადაც დამაჯერებელი ანგარიშით იმარჯვეს, დაამარცხეს რა **„ბოლნისის ყოჩები"** 49:17 და 10 ქულით სატურნირო ცხრილსაც ლიდერობენ.

ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ **„ლელოში"** დიდი კონკურენციაა და მოთამაშეთა უმეტესობას თავისი სიძლიერის დამტკიცება ესპუართა ლიგაში უწევს. მათ **„აკადემიას"** დაძაბულ ბრძოლაში 9 ქულიანი სხვაობით აჯობეს 21:12, თუმცა ბონუს ქულას ვერ შესწვდნენ და 9-ქულით მეორე პოზიციაზე დამკვიდრდნენ. ქულათა იგივე რაოდენობა აქვს **„აიას"** - ქუთათურებმა ბათუმში ჩატარებულ უმძიმეს ბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება 22:17. აღსანიშნავია ზღვისპირელთა თავდადებული თამაში, მიუხედავად საწყის ტურებში ნაწვნევი ორი დასანანი მარცხისა, 7 და ნაკლები ქულით წაგებებისათვის მათ 2 პრემიალური ქულა დაიმსახურეს და მეშვიდე პოზიციამდეც ამაღლდნენ.

**„არმაზისა"** და **„ლოკომოტივის"** დაპირისპირებამ უშელავათო ბრძოლაში ჩაიარა და ბოლო წუთებამდე ორივე გუნდი წარმატების თითქმის თანაბარ შანსს ინარჩუნებდა, თუმცა საბოლოოდ მაინც სტუმრებმა იმძლავრეს და ორქულიანი სხვაობით - 19:17 დაამარცხეს რკინიგზელები.

**„არმია"** მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვების ერთ ერთი მთავარი პრეტენდენტია, გუნდს ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა გააჩნია და სათადარიგოთა სკამიც საკმაოდ „გრძელია", თუმცა ესპუართა ლიგას კლუბის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს, რაზეც უკვე ზედიზედ მეორე ტურია მათი გუნდის კატასტროფული მარცხები მოწმობს - „აკადემიასთან" 0:85 წაგების შემდეგ, „არმია" ამჯერად კიდევ უფრო დიდი სხვაობით დამარცხდა რუსთავში **„ხარებთან"** 3:112.

**II ტური**

აკადემია - ლელო 12:21; ლოკომოტივი - არმაზი 17:19; ბათუმი - აია 17:22; ხარები - არმია 112:3; ჯიქები - ბოლნისის ყოჩები 49:17

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 10 ქულა; 2. ლელო - 9; 3. აია - 9; 4. არმაზი - 8; 5. ხარები - 5; 6. აკადემია - 5; 7. ბათუმი - 2; 8. ლოკომოტივი -1; 9. ყოჩები - 0; 10. არმია - 0

# ორხელისუფლებიანობა პირველ ლიგაში

პირველი ლიგის მესამე ტური გათამაშების უმთავრესი ფავორიტის - **„თიბისი თსუ"**-ს და **„სტუ"**-ს დაპირისპირებით გაიხსნა. მოლოდინისამებრ „თიბისი" იოლად გაუსწორდა მეტოქეს - 34:0, ბონუსქულაც ირგუნა და დროებით სატურნირო ცხრილის სათავეშიც დამკვიდრდა. მათ უახლოეს მდევარ **„დინამოს"** თავის მხრივ რთული მატჩის ჩატარება უწევდა **„ხულიგანას"** წინააღმდეგ, თუმცა მოულოდნელად „დინამომ" ძალიან იოლად გადალახა მეტოქის ბარიერი და მშრალი ანგარიშით იზეიმა გამარჯვება 25:0, რამაც საშუალება მისცა მათ, პირველ ადგილზე გადასულიყვნენ. პირველი ლიგის გასული სეზონის ტრიუმფატორს და „დინამოს" 3-3 ჩატარებული მატჩის შემდეგ 15-15 ქულა აქვთ მოგროვილი, თუმცა მიღებული და გაშვებული ბურთების სხვაობა ამ უკანასკნელს ოდნავ უკეთესი გააჩნია.

პატარძეულის **„ვეფხვებს"** საკმაოდ სერიოზული შემადგენლობა ჰყავს შეკრებილი, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდა და გამოცდილ მოთამაშეთა მშვენიერ ნაზავს, მათ თავიანთი მაღალი ამბიციები კიდევ ერთხელ დაამტკიცეს გარდაბნის **„მგლებთან"** დაპირისპირებისას - გაანადგურეს რა მეტოქე 78:3. „ვეფხვებს" 3 ტურის შემდეგ 3 გამარჯვება აქვთ და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილს იკავებენ 13 ქულით.

პირველი ლიგის უიმედო აუტსაიდერი **„ნიქარა"** თბილისურ დერბიში **„ჯვაროსნებს"** დაუპირისპირდა და ამჯერად დიდი ანგარიშით დამარცხდა 0:55. 3 ტურის განმავლობაში „ნიქარას" ჯერჯერობით ქულაც კი არ აქვს მეტოქეთათვის გატანილი, საკუთარ კარში კი ერთბაშად 238 მიიღო.

ყველაზე სანახაობრივი **„დევებისა"** და **„ივერიის"** მატჩი გამოდგა. მეტოქეები მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის არიან და უშელავათო ბრძოლაც გაჩაღდა „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე. ორივე გუნდი ცდილობდა ლაღი, გაშლილი რაგბი ეთამაშა და სიამოვნებაც მიეღო, რაღა თქმა უნდა საკმაოდ მაღალი იყო ტექნიკური წუნი, თუმცა დაძაბულობამ და სანახაობრივმა მხარემ ყველაფერი გადაფარა. გარდამავალი უპირატესობით წარმართული შეხვედრის ბოლო წუთებზე „ივერია" წინ გახლდათ 2-ქულიანი სხვაობით 27:25, თუმცა „დევებმა" მოახერხეს სრული კონცენტრაციის მოხდენა, რამდენიმე ფაზიანი შეტევა „აკინძეს", მეტოქემ ველარ გაუძლო ზეწოლას, თამაშის წესები დაარღვია, მოპოვებული საჯარიმო **არჩილ ჭუმბურიძემ** 3 ქულად აქცია და დრამატულ მატჩში საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა 28:27.

**III ტური**

თბს თსუ - სტუ 34:0; ივერია - დევები 27:28; ნიქარა - ჯვაროსნები 0:55; ვეფხვები - მგლები 78:3; ხულიგანა - დინამო 0:25

**სატურნირო მდგომარეობა**

1. დინამო - 15 ქულა; 2. თბს თსუ - 15; 3. ვეფხვები - 13; 4. დევები - 8; 5. ხულიგანა - 6ქ; 6. ივერია -6ქ; 7-8. სტუ - 7ქ; 7-8. ჯვაროსნები - 7ქ. 9. მგლები - 0; 10. ნიქარა - 0;

**მომდევნო ტური**

**22-23 სექტემბერი**

დევები - ვეფხვები; სტუ - ჯვაროსნები; დინამო - ივერია; მგლები - თბს თსუ; ხულიგანა - ნიქარა



დევები-ივერია

● ამბები

# დენ კარტერი 6 კვირას გამოტოვებს

ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავმა დენ კარტერმა, 4 ერის გათამაშების მეოთხე ტურში, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან დაპირისპირებისას ხელის ტრავმა მიიღო და საკუთარ გუნდს 6 კვირის განმავლობაში ველარ დაეხმარება.

შეხვედრის მე-16 წუთზე „სპრინგ ბოქსის" ჰუკერმა - ბისმარკ დუ პლესიმ აგრესიულად შებოჭა კარტერი, რის შედეგადაც „ოლ ბლექსის" ლიდერმა ველარ შეძლო მატჩის გაგრძელება. მოგვიანებით დენმა საკუთარ ვებგვერდზე დაწერა, რომ მისი შებოჭვა წესების სრული დაცვით მოხდა და მიღებული ტრავმა მიწაზე დაცემის მომენტში ხელის ცუდად დაყოლებამ გამოიწვია. კარტერმა კატეგორიულად უარყო ის ვერსია, თითქოს სამხრეთაფრიკელმა კვაჭმა მეტოქის მწყობრიდან გამოყვანის თვალსაზრისით განზრახ იუხეშა მის წინააღმდეგ... თუმცა დუ პლესის ქცევა შეხვედრის მთავარმა არბიტრმა სხვაგვარად შეაფასა და მოთამაშე ყვითელი ბარათით გაასინბინა 10 წუთით.

მოგვიანებით რაგბის საერთაშორისო საბჭომ განიხილა ეს სადავო მომენტი და მთავარი მსაჯის შეცდომა აღიარა, რაც ავტომატურად ნიშნავს ბისმარკისათვის მისჯილი დისკვალიფიკაციის გაუქმებას.

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბარბაქაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1. ინტერვიუ ლეგენდასთან

# ჯეკი სტიუარტი: ჩვენს დროს სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავი იყო

ინტერნეტგამოცემა MSN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯეკი სტიუარტი ჰყვება იმის შესახებ, როგორი იყო რბოლები 60-70-იან წლებში, რომელი პილოტი მიაჩნდა საუკეთესოდ და დღეს რატომ არ მეგობრობენ თანამედროვე პილოტები...

**- სერ ჯეკი, გამოვიდა რონ ჰოვარდის ფილმი Rush, რომელშიც ასახულია ჯეიმს ჰანტისა და ნიკი ლაუდას ბრძოლა 1976 წელს...**

- მათი ბრძოლა არ ყოფილა კლასიკური! ლაუდა გაცილებით უკეთესი იყო. ის ბრწყინვალე პილოტი გახლდათ. ჯეიმს ჰანტი კი კარგი სპორტსმენი იყო, მაგრამ არა დიადი. იაპონიაში ფინალური რბოლა, რომელშიც ტიტულის ბედი წყდებოდა, საშინელი წვიმის თანხლებით მიდიოდა. დღეს ასეთ პირობებში პილოტებს სტარტზე არც გაუშვებდნენ.

ლაუდას გადაწყვეტილება - ორი წრის შემდეგ შეეწყვიტა ბრძოლა, იმას ეფუძნებოდა, რომ მან რამდენიმე თვით ადრე საშინელი ავარია განიცადა და ვერ ხედავდა დიდ რისკზე წასვლის აუცილებლობას. რატომ უნდა წასულიყო ის სიკვდილზე, როცა ძალიან ახლოს იყო ამასთან „ნიურბურგრინგზე"?

**- თქვენ გიწოდებენ ყველა დროის ხუთ საუკეთესო პილოტს შორის ერთ-ერთს. ვინ არის უდიადეს პილოტებს შორის თქვენი პირადი ფავორიტი?**

- იმ პილოტებს შორის, რომლებთან ერთადაც ტრასაზე გავსულვარ, საუკეთესო იყო ჯიმ კლარკი. ჩემი გმირი კი ხუან-მანუელ ფანხიო იყო. მე მქონდა მასთან დამეგობრების ბედნიერება, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ მესმოდა ესპანური, მან კი თითქმის არ იცოდა ინგლისური.

ჩემთვის ფანხიო იყო ყველაზე მრავალმხრივი პილოტი, რომელსაც ოდესმე ვიცნობდი. როცა სპორტიდან წავიდა, მას ჰქონდა საკმარისი ღირსება და სტილი იმისთვის, რომ სპორტის სიმბოლოდ დარჩენილიყო. ის გახდა "მერსედესის" პრეზიდენტი არგენტინაში და აწყობდა თავის ურთიერთობებს გლობალურ დონეზე.

**- თქვენ მეგობრობდით ჯიმ კლარკთან...**

- კლარკი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იყო. ერთ ბინაში ვცხოვრობდით ლონდონში, ორივენი შოტლანდიელები ვიყავით. საკმაოდ მორცხვი და მოკრძალებული იყო, მაგრამ ის გახლდათ ადამიანი, რომელიც მზად იყო ფორმულა 1-ში ბოლომდე ებრძოლა. იმ პერიოდში, როცა ერთად გამოვდიოდით, ჩვენ "ბეტმენსა და რობინს" გვიწოდებდნენ. მაშინ ხშირად განვმარტავდი - ვინ იყო ჩვენ შორის ბეტმენი და ვინ - რობინი. როცა ის 1968-ში დაილუპა, მე დავიკავე მისი ადგილი ფორმულა 1-ში ნომერ პირველი პილოტის რანგში.


ჯიმ კლარკი და ჯეკი სტიუარტი

**- რატომ გააგრძელა ბრძოლა ჰანტმა?**

- ჰანტს ძალიან სერიოზული განწყობა ჰქონდა და ამის წყალობით მოიგო კიდეც ჩემპიონატი. სავარაუდოდ, მას არ უნდოდა ასე გამხდარიყო ჩემპიონი. რომ არა ლაუდას ავარია, ნიკი აუცილებლად მოიგებდა ტიტულს.

**- როგორ აფასებთ დღევანდელობის საუკეთესო პილოტებს - ალონსოსა და ფეტელს?**

- ალონსო და ფეტელი ძალიან სწრაფები არიან, მაგრამ ფერნანდო უკეთ იყენებს გონებას, ფეტელი კი ყველაზე განვითარებული 25 წლის პილოტია ფორმულა 1-ის ისტორიაში. ის განვითარების მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩება ალონსოს – სხვა შემთხვევაში, არ გაუსწრებდა მალაიზიაში თანაგუნდელ უებერს. როცა გუნდის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ არ შეიძლება რალაცის გაკეთება - არ უნდა გააკეთო.

**- როგორ იმოქმედა თქვენზე მისმა სიკვდილმა?**

- ეს იყო ჩემს მეხსიერებაში რბოლებში ერთ-ერთი ყველაზე უარესი მომენტი. გაბრაზებული და იმედგაცრუებული ვიყავი, მინდოდა მებრძოლა იმისთვის, რომ რბოლები მაქსიმალურად უსაფრთხო გამხდარიყო, გვეიძულებინა ტრასების ხელმძღვანელები გადაედგათ საჭირო ნაბიჯები პილოტების დასაცავად. ძალიან რთული აღმოჩნდა მათი დარწმუნება იმაში, რომ ფული დაეხარჯათ უსაფრთხოების ბარიერებისა და სამედიცინო ცენტრების ასაგებად. ეს არის იმ წლების რბოლების შავი მხარე. იმ დღეებში ეტაპების მეპატრონეები ძალიან ჯიუტები იყვნენ. მათი განწყობა ამ საკითხზე ასეთი იყო - თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ შინ წახვიდეთ.

**- რომელი ტრასა იყო იმ დროს ყველაზე სახიფათო?**

- „ნიურბურგრინგი". იქ არ იყო არანაირი ბარიერი, არადა, პილოტები საათში 300 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებდნენ. რბოლის დროს მხედველობის არეალი მხოლოდ 50 მეტრი იყო. ერთ წრეზე 178 მოსახვევის გავლა გიწევდა, კარგ ამინდში მანქანა 13-ჯერ ადიოდა ჰაერში.

„ნიურბურგრინგზე" გამოსვლისას იცოდი, რომ ტრასის მიღმა ვერ გადახვიდოდი ხეების გამო. ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და 1970 წელს დავხურე ეს ტრასა, რადგან მათ არაფრის გაკეთება არ უნდოდათ უსაფრთხოების მიმართულებით.

**- დღეს რატომ არ მეგობრობენ პილოტები ერთმანეთთან? თქვენს დროს პილოტებს ხშირად ხედავდნენ ერთად სადილზე რბოლის წინ.**

- ამბობენ, რომ ამის მიზეზია სასპონსორო ვალდებულებები და პილოტები ველარ იცლიან მეგობრობისთვის, მაგრამ ეს ასე არ არის. თავის დროზე, მე უფრო მეტი საკონტრაქტო ვალდებულება მქონდა, ვიდრე თანამედროვე პილოტებს. 1971 წელს 86-ჯერ გადავლახე ატლანტის ოკეანე, პარალელურად, ფორმულა 1-ში გამოვდიოდი.

დღეს ყოველ პილოტს აქვს საკუთარი მოტორჰოუმი, ჰყავთ მასაჟისტები, გააჩნიათ საკუთარი თვითმფრინავები, მათ გარშემო მუდმივად არიან მრჩევლები. ჩვენს დროში ასეთი კომფორტი არავის ჰქონდა. ჯიმ კლარკი, იოხენ რინდტი, ფრანსუა სევერი, პირს კარიჯი - ერთმანეთთან შინ ვჩერდებოდით და შვებულებაშიც ერთად მივდიოდით. ჩვენ ერთგვარი საძმო გვქონდა და ვგრძნობდით კავშირს, რომელიც, ნაწილობრივ, იქიდანაც მოდის, რომ ბევრი ჩვენგანი ყოველ წელს ილუპებოდა. ამიტომაც, ის დრო, რომელსაც ერთად ვატარებდით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

60-70-იან წლებში ვსაუზმობდით, ვსადილობდით და ვვახშმობდით ერთად. დღეს კი ერთი გუნდის პილოტებს მხოლოდ ბრიფინგებზე აქვთ ურთიერთობა.

**- როგორ ებრძოდით „სიკვდილის მოჩვენებას", რომელიც ყოველი რბოლის დროს თქვენ გვერდით იყო?**

- ჩვენ ვისწავლეთ ამით ცხოვრება... დავითვალე, რომ ზოგიერთ სეზონში ყოველ რბოლაში ჩემი დაღუპვის შანსი ორი მესამედი იყო. სხვანაირად თქმაც შემიძლია: მე დავსწრებივარ უფრო მეტ დაკრძალვას, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ვიცნობ. საშინელი სანახავი იყო, როგორ იწვებოდნენ სხვა პილოტები საკუთარ ბოლიდებში, რადგან ხშირად, ავარიის დროს საწვავი იწვოდა და პილოტი იქამდე ილუპებოდა, სანამ რაიმეს გაკეთებას მოასწრებდა. უილიამსონი, ბანდინი - ისინი თავიანთ მანქანებში დაიწვნენ.

19 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ში ბოლო ადამიანი დაილუპა. ეს იყო აირტონ სენა. ჩემს დროს სხვანაირად იყო: 1968 წელს, 7 აპრილს დაილუპა ჯიმ კლარკი, 7 მაისს - მაიკ სპენსი, 7 ივნისს - სკაფარიო, 7 ივლისს - ჯო შლესერი... მახსოვს, იმ წელს, როცა „ნიურბურგრინგზე" გავიმარჯვე, ბოლიდიდან ამოსვლისთანავე პირველ რიგში ვიკითხე - ვინმე ხომ არ დაღუპულა? ჩვენს დროს სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავი იყო.

# მასა თავისუფალია

## ფელიპე ალონსოს აღარ დაეხმარება

რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ **ფელიპე მასა** აღარ იქნება 2014 წელს „ფერარის" წევრი. ამის გამო, ბრაზილიელი აღარ მიიჩნევს თავს ვალდებულად, ამ სეზონის დარჩენილ რბოლებში დაიცვას გუნდის ინტერესები. ბრაზილიური არხისთვის Globo მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ არ აპირებს თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოსთვის** საჩემპიონო ბრძოლაში დახმარების გაწევას.

*„მე მას არ დავეხმარები, - განაცხადა მასამ. - სინგაპურში პარასკევის თავისუფალი პრაქტიკებიდან მოყოლებული, მხოლოდ საკუთარ თავზე ვიმუშავებ. მუდმივად შეტევაში ვიქნები, ყოველ წრეზე. უნდა ვიზრუნო საკუთარ მომავალზე. ახლა საბრძოლო განწყობა მაქვს. ბევრი მხარდასაჭერი წერილი მივილე გულშემატკივრებისგან და ახლა, გაცილებით მოტივირებული ვარ. თავს გაცილებით თავისუფლად ვგრძნობ".*

ფელიპემ გაიხსენა 2010 წლის გერმანიის გრანპრი, როცა გუნდმა აიძულა, გამარჯვება დაეთმო ფერნანდო ალონსოსთვის. მასას სიტყვებით, მაშინ ეს მისთვის ძალიან მტკივნეული იყო. ამასთან, ფელიპე ამბობს, რომ მისი ურთიერთობა ალონსოსთან ყოველთვის კარგად


ალონსო და მასა

ვითარდებოდა: *„ჩვენ ვმეგობრობთ. ის ყოველთვის კარგად მეპყრობოდა, მაგრამ ეს ცხოვრებაში ხდებოდა და არა ტრასაზე..."*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



# გაისად არასაიმედო ძრავები?

ფორმულა 1-ის მოტორისტებს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ 2014 წლის სეზონისთვის განკუთვნილი 1.6-ლიტრიანი V6 ტურბოძრავების შექმნისას, - იტყობინება გერმანული Auto Motor und Sport. გამოცემის ინფორმაციით, ჯერ ვერც ერთმა კომპანიამ ვერ მიაღწია საიმედოობის საჭირო დონეს: მიიჩნევა, რომ ყოველმა ძალისმიერმა აგრეგატმა უნდა დაფაროს მინიმუმ 3600 კილომეტრი, მაგრამ დღეისთვის, ვერც ერთმა ვერ მიაღწია თუნდაც 3000 კილომეტრის ნიშნულამდე. შესაბამისად, 2014 წლის დასკვნით ეტაპებზე ბევრი პილოტი მიიღებს ჯარიმას მეექვსე, დამატებითი ძრავის გამოყენებისთვის.

გარდა ამისა, Auto Motor und Sport წერს იმის შესახებ, რომ "ფერარის" სხვა პრობლემებიც შეექმნა - ახალი ძრავა ერთი რბოლის განმავლობაში არ უნდა ხარჯავდეს 100 კილოგრამ საწვავზე მეტს და იტალიელებს გაუჭირდებათ ამ დონეზე გასვლა. 2013 წლის დასაწყისში "ფერარის" ტექნიკურმა ჯგუფმა წამოაყენა საწვავზე ლიმიტის 110 კილოგრამამდე გაზრდა, მაგრამ უარი მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-ის პირველი ტესტები ახალი ტურბოძრავებით 2014 წლის იანვრის ბოლოს გაიმართება.




# ავტოსპორტის ოლიმპიური აღიარება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) აღიარებულია ორგანიზაციად, რომელიც მთლიანად შეესაბამება ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებს, - იტყობინებიან ფედერაციის პრესსამსახურში.

ასე რომ, სოკ-მა დაადასტურა - ავტოსპორტის ფედერაციის დოკუმენტები და მოღვაწეობა მთლიანად პასუხობს ოლიმპიურ ქარტიას, აგრეთვე მსოფლიოს ანტისადოპინგო კოდექსს. ახლა, სოკ-ის გადაწყვეტილება გახდება ფინალური ნაბიჯი FIA-ის ინტეგრაციისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ თანამეგობრობაში - ეს პროცესი ინიცირებული იყო ფედერაციის პრეზიდენტის **ჟან ტოდტის** მიერ ჯერ კიდევ 2010 წელს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგესთან** შეხვედრისას.

2011 წლის დეკემბერში სოკ-მა ოფიციალურად აღიარა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია, მაგრამ დროებით საფუძველზე, ახლა კი ეს აღიარება სრულფასოვანი და ულაპარაკოა.

*„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წამყვანი როლის სრული აღიარება ავტოსპორტის ხელმძღვანელობის და მისი განვითარების საქმეში - ეს არის მნიშვნელოვანი რეფორმების დაფასება, რომელიც ბოლო წლებში წამოვიწყეთ, - განაცხადა FIA-ს პრეზიდენტმა ჟან ტოდტმა. - ეს მნიშვნელოვანი სიახლეა 130 ეროვნული ფედერაციისთვის, რომელთა ინტერესებს წარმოადგენს ჩვენი ორგანიზაცია. ფედერაციის წევრობა მათ საშუალებას მისცემს მხარდაჭერა მიიღონ სოკ-ისგან და სრულად ჩაერთონ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მუშაობაში.*

*ეს ხელს შეუწყობს მათ ქვეყნებში ავტოსპორტის სტატუსის ამაღლებას და ამ საქმეში ბევრი ადამიანის ჩართვას".*

● ჩოგბურთი

# ჩილიჩს არ აპატიეს

## ხორვატი ჩოგბურთელი ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა


მარინ ჩილიჩი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ხორვატი **მარინ ჩილიჩი**, რომელსაც დაუმტკიცდა აკრძალული პრეპარატის მიღება. მაისში აღებულმა დოპინგსინჯმა 24 წლის მოთამაშის ორგანიზმში ნიკეტამიდი აღმოაჩინა, რომელიც აკრძალულია მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ. სინჯი მიუნხენის ტურნირის დროს იქნა აღებული.

როგორც ჩილიჩი ამტკიცებს, ნიკეტამიდი მის ორგანიზმში სხვა პრეპარატისგან მოხვდა, რომელიც ჩოგბურთელმა აფთიაქში შეიძინა. მაგრამ ანტისადოპინგო კომისიამ დააფიქსირა წესის დარღვევა და ჩოგბურთელი ცხრა თვით ჩამოაშორეს ATP-ის ტურნირებს. დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა 2013 წლის პირველი მაისიდან დაიწყო და ძალაში იქნება 2014 წლის 31 იანვრამდე. ასე რომ, ჩილიჩს მოუწევს მომავალ სეზონში "დიდი სლემის" პირველი ტურნირის - ავსტრალიის ღიას გამოტოვება.

ფედერაციამ გააუქმა ჩილიჩის შედეგი მიუნხენის ტურნირზე, ხოლო საპრიზო თანხას, რომელიც მან გერმანიაში გამოიმუშავა, კონფისკაციას გაუკეთებენ.

ამჟამად, ჩილიჩი 24-ე ადგილზეა ATP-ის კლასიფიკაციაში.

# ფულს ნოვაკი ძალიან შეუცვლია

## ჯოკოვიჩი: დევისის თასის მოგებას ვერაფერი შეედრება


ნოვაკ ჯოკოვიჩი

დევისის თასის ფინალში გასვლის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ამ ტურნირის მნიშვნელობაზე ილაპარაკა.

როგორც იცით, სერბეთმა კვირას, კანადასთან ურთულესი ნახევარფინალის შემდეგ გაინალდა ფინალში თამაში. ჯოკოვიჩმა იმ შეხვედრაში ორი ერთეულთა მატჩი მოიგო: პარასკევს დაამარცხა **ვაშეკ პოსპიშილი**, კვირას - **მილოშ რაონიჩი**. ორივე მატჩში ნოვაკმა სამ სეტში გაიმარჯვა.

*„2010 წელს, დევისის თასზე გამარჯვებამ ჩვენი გუნდის ყველა წევრს უდიდესი პროგრესი მოუტანა მომდევნო სეზონში და ეს კარგად აისახა ATP-ის ტურში გამოსვლისას. ამიტომაც უჭირავს დევისის თასს განსაკუთრებული ადგილი ჩემს გულში. „დიდი სლემის" რამდენიმე ტურნირი მაქვს მოგებული, მაგრამ არაფერი შეედრება იმ გამარჯვების სიხარულს, რომელსაც პარტნიორებთან ერთად იზიარებ.*

*ვფიქრობ, კანადასთან მატჩში შესანიშნავად წარმოვაჩინე თავი იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის ღიას შემდეგ კორტის საფრისა და საათობრივი სარტყელის შეცვლამ მომიწია. გულშემატკივრების დახმარებამ დამატებითი ძალა მომცა. რაონიჩთან შეხვედრაში ვცდილობდი ის ხანგრძლივ გათამაშებებში გამომეწვია, რადგან ამ შემთხვევაში თუნდაც გამოცდილების ხარჯზე უპირატესობა მექნებოდა",* - ამბობს ჯოკოვიჩი ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

■ ■ ■

ამასობაში, ლატვიელმა **ერნესტ გულბისმა** არცთუ ისე კორექტულად ილაპარაკა მსოფლიოს პირველ ჩოგანზე. ბალტიისპირელმა აღნიშნა, რომ ჯოკოვიჩი ძალიან შეცვალა წარმატებამ. გულბისის აზრით, დიდმა ფულმა და ტიტულებმა გააფუჭეს მსოფლიოს კლასიფიკაციის ლიდერი.

*„დიდად არ მომწონს ჯოკოვიჩი,* - აცხადებს პრესასთან კომენტარში გულბისი. - *მე მას 12 წლის ასაკიდან ვიცნობ. ადრე, ნოვაკი ნორმალური ბიჭი იყო, მაგრამ იმ წარმატებებმა, რომელსაც მან მიაღწია, ძალიან შეცვალა. არა, ჩვენ არასოდეს გვიჩხუბია. უბრალოდ, ასეთი ტიპის ადამიანები არ მომწონს. მე მიყვარს ადამიანები ძლიერი ხასიათით, რომლებიც არ იცვლებიან მას შემდეგ, რაც წარმატებას მიაღწევენ ან დიდ ფულს იშოვიან. მაგალითად, მე ვცდილობ არ შევიცვალო".*

● ჰოკეი

# ბელარუსმა ბოიკოტი დააზღვია

როგორც ცნობილია, ჰოკეიში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი ბელარუსში გაიმართება. ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო - მან გადაწყვიტა დააზღვიოს ჩემპიონატი მისი ბოიკოტის, გაუქმების ან ფორსმაჟორული გარემოებების მიზეზით სხვა ქვეყანაში გადატანის შემთხვევაში. სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ბრძანება ქვეყნის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ლუკაშენკომ** გასცა.

ვარაუდობენ, რომ ჩემპიონატის ბოიკოტის, გაუქმების ან გადატანის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიისგან თანხას მიიღებენ არა მხოლოდ ბელარუსი ორგანიზატორები, არამედ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციაც. უცნობია, თანხის რა რაოდენობით დააზღვევენ ტურნირს.

გასულ კვირას, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელმაც მოსთხოვა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას - გადახედოს ბელარუსში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილებას, რადგან ამ ქვეყანაში ისევ გრძელდება პოლიტიკური პატიმრების წამება.

ადრე ბელარუსისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩამორთმევის მოთხოვნით გამოვიდნენ პოლიტიკოსები და სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციები. 2012 წლის მაისში ბელარუსში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილების გადახედვისკენ საერთაშორისო ფედერაციას 28 ამერიკელმა კონგრესმენმა მოუწოდა.


მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის თილისმა

ბელარუსმა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება 2009 წელს, ბერნში გამართულ საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მიიღო.

● მძლეოსნობა

# ჩამორთმეული ჩემპიონობა


ტეზჯან ნაიმოვა

ბულგარეთის მძლეოსნობის ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა ქალებს შორის ევროპის ჩემპიონს 60 მეტრზე სირბილში **ტეზჯან ნაიმოვას**. სპორტსმენი ასევე იძულებული იქნება დააბრუნოს იმ ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედალი, - იტყობინება სააგენტო AFP. 26 წლის მორბენალს შეუძლია დისკვალიფიკაცია ლოზანას სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივროს.

დოპინგსინჯში, რომელიც ამა წლის მარტში, გიოტებორგში გამართული ევროპის ჩემპიონატის დროს აიღეს, სტეროიდი დროსტანოლონი აღმოაჩინეს, რომელიც ამტანობის გასაზრდელად გამოიყენება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ნაიმოვა აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში გამოიჭირეს. პირველად ბულგარელი მძლეოსანი ორწლიანი დისკვალფიკაციით 2009 წელს დასაჯეს, როცა გაირკვა, რომ მისი დოპინგსინჯი, რომელიც სოფიაში ჩატარებული ტურნირის დროს იქნა აღებული, გაყალბებული იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| მანჩესტერ იუნ-ლევერკუზენი | 4:2 |
| სოსიედადი-შახტარი | 0:2 |
| კოპენჰაგენი-იუვენტუსი | 1:1 |
| გალათასარაი-რეალი | 1:6 |
| ბენფიკა-ანდერლეხტი | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-პსჟ | 1:4 |
| ბაიერნი-ცსკა | 3:0 |
| პლზენი-მანჩესტერ სიტი | 0:3 |

ინგლისი

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| ბორნმუთი-ბარნსლი | 1:0 |
| ბარნლი-ბირმინგემი | 3:0 |
| ჰადერსფილდი-ჩარლტონი | 2:1 |
| იფსვიჩი-იეოვილი | 2:1 |
| ლესტერი-ბლექბერნი | 2:1 |
| მილუოლი-ბლექპული | 3:1 |
| ნოტინგემი-მიდლსბრო | 2:2 |
| უოტფორდი-დონკასტერი | 2:1 |
| ბოლტონი-დერბი | 2:2 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ბრისტოლი-შრიუსბერი | 1:1 |
| ლეიტონი-ნოტსი | 5:1 |
| ვულვზი-უოლსოლი | 0:1 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ალდერშოტი-ბარნეტი | 3:3 |
| ალფრეტონი-კემბრიჯი | 1:1 |
| ჩესტერი-მაკლსფილდი | 2:1 |
| გეიტშიდი-რექსჰემი | 0:3 |
| ჰალიფაქსი-გრიმსბი | 4:0 |
| ჰაიდი-უოკინგი | 0:2 |
| ლინკოლნი-საუთპორტი | 1:0 |
| ლუტონი-დარტფორდი | 3:0 |
| ნანიტონი-ჰერეფორდი | 2:1 |
| სალისბერი-ბრენტრი | 1:1 |
| ტამუორტი-კიდერმინსტერი | 0:3 |
| უელინგი-ფორესტ გრინი | 5:2 |

გერმანია

| რეგიონალლიგა (ბაიერნი) | |
|---|---|
| ბაიერნ ჰოფი-რაინი | 1:0 |
| მიუნხენი II-შვაინფურტი | 3:0 |
| ბამბერგი-ზელიგენპორტენი | 2:2 |

შოტლანდია

| Challenge Cup | |
|---|---|
| ძუინი-რეინჯერსი | 0:3 |

შვედეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-სუნდსვალი | 0:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კოშიცე-რუჟომბეროკი | 2:2 |
| დ. სტრედა-ტრნავა | 1:4 |
| ტრენჩინი-მორავცე | 5:0 |
| შენიცა-ბისტრიცა | 1:1 |
| მიიავა-ჟილინა | 1:1 |

| ბულგარეთის თასი | |
|---|---|
| ცსკა-ჰესკოვო | 6:2 |

| ლიტვა | |
|---|---|
| ტაურასი-ბანგა | 1:2 |
| ატლანტასი-ჟალგირისი | 3:1 |

| ესტონეთი | |
|---|---|
| სილამაე-ტრანს ნარვა | 2:1 |
| კალიუ-პაიდე | 2:0 |
| ტალინა-ფლორა | 1:1 |
| კურესაარე-ინფონეტი | 0:3 |
| ტამეკა-ლევადია | 0:2 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ბარისი-ავანგარდი | 5:2 |
| ცსკა-დინამო (მ) | 6:3 |
| დინამო (რ)-აკ ბარსი | 1:3 |
| ლევი-ვიტიაზი | 4:1 |
| სლოვანი-ტორპედო | 0:3 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-კოშიცე | 1:2 |
| მარტინი-ზვოლენი | 2:1 |
| ნიტრა-პოპრადი | 4:2 |
| ბისტრიცა-სკალიცა | 1:3 |
| ტრენჩინი-პიეშტანი | 6:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| პელიკანსი-იოკერიტი | 2:1 (ბ) |
| საიპა-ბლუზი | 8:5 |
| ტაპარა-კაიპა | 1:0 |
| ჰპკ-ლუკო | 5:1 |
| იუვიასკიულა-ილვესი | 4:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | 5:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბერნი-ციურიხი | 4:3 (ო) |
| დავოსი-ამბრი პიოტა | 5:2 |
| კლოტენი-ბილი | 6:3 |
| ლუგანო-სერვეტი | 1:4 |
| რაპერსვილი-ლოზანა | 5:8 |
| ფრიბურგი-ცუგი | 1:4 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ბრინასი-შელეფტეო | 2:3 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 3:2 |
| მოდო-აიკ | 3:1 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 2:1 |
| ჰ371-ვექსიო | 3:2 (ო) |
| ორებრო-ლექსანდი | 1:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. მეცი | |
|---|---|
| ჰერბერტი-ფ. მაიერი | 2:6, 5:7 |
| კამკე-ჟიკელი | 6:2, 6:3 |
| დე სხეპერი-ჰუტა გალუნგი | 6:3, 6:2 |
| როჟე ვასელენი-დელ ბონისი | 6:0, 6:2 |
| ლაჩკო-ბერერი | 6:3, 1:6, 6:2 |
| შარდი-ფუკსოვიჩი | 3:6, 6:7 |
| მატიო-სისლინგი | 6:7, 7:5, 7:6 |

| ATP. სტ. პეტერბურგი | |
|---|---|
| ფონინი-ინგლოტი | 6:4, 6:4 |
| ისტომინი-გროტი | 6:4, 3:6, 7:5 |
| გარსია ლოპესი-ბირიუკოვი | 6:4, 6:1 |
| ტურსუნოვი-ბაღდატისი | 7:6, 7:6 |
| ხიმენო ტრავერი-ზოპი | 1:6, 6:3, 3:6 |
| მანარინო-დონსკოი | 1:6, 4:6 |

| WTA. გუანჯოუ | |
|---|---|
| კირსტეა-იოვანოვსკი | 2:6, 1:6 |
| მოისბურგერი-ცურენკო | 6:3, 6:4 |
| უ. რადვანსკა-დოლონცი | 5:7, 2:6 |
| რობსონი-იაკსიჩი | 6:2, 6:4 |
| ს. ჟენგი-კუმხუმი | 6:7, 6:3, 7:5 |
| გოვორცოვა-კორნე | 3:6, 1:6 |
| შვედოვა-ჟ. ჟენგი | 1:6, 4:6 |
| ბაბოში-ლეპჩენკო | 7:6, 7:5 |
| პეერი-პენგი | 3:6, 4:6 |

| WTA. სეული | |
|---|---|
| პეტკოვიჩი-სკიავონე | 1:6, 6:2, 4:6 |
| უოტსონი-დატე | 6:3, 3:6, 4:6 |
| ბეგუ-ჰანი | 6:3, 6:4 |
| ოზაკი-ბეკი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ჩანი-კირილენკო | 3:6, 3:6 |
| ბურნეტი-ჟაბორი | 5:7, 0:6 |
| ზაკოპალოვა-ჟანგი | 3:6, 1:6 |
| ა. რადვანსკა-კადანტუ | 6:4, 6:0 |
| მინელა-კაბესა კანდელა | 5:7, 4:6 |

● TV პროგრამა

**18 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**19:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ესპანეთი. სლოვენია (LIVE).
**22:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-საფრანგეთი. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. კოპენჰაგენი-იუვენტუსი.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბაიერნი-ცსკა.
**14:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტური. პორტო-ჟილ ვისენტე.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. არსენალი-რივერ პლეიტი.
**18:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური ნიიმეგენი-ფეიენოორდი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. Online. ყველა მატჩის სახიფათო მომენტი.
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ბოსტონი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**17:10** რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ბოსტონი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონი-ჰიუსტონი. 1986 წელი.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-სელტიკი (LIVE).
**00:45** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**18:15** სპორტ-NEWS.
**18:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**22:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მარსელი-არსენალი (LIVE).

კრივი


ძმები კლიჩკოები

# ვლადიმერი ნააგებს? ვიტალი რევანშს აიღებს

ცნობილი გახდა უკრაინელი და რუსი სუპერმძიმეწონოსნების **ვლადიმერ კლიჩკოსა** და **ალექსანდრ პოვეტკინის** ბრძოლის კონტრაქტის დეტალები. უკრაინული პრესის ინფორმაციით, კონტრაქტში არის პუნქტი მატჩ-რევანშის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ვლადიმერ კლიჩკო დამარცხდება.

კონტრაქტის ამ პუნქტის თანახმად, პოვეტკინი ბრძოლის ჩატარების მომენტიდან 90 დღის განმავლობაში ვალდებული იქნება, კიდევ ერთხელ გავიდეს რინგზე კლიჩკოს წინააღმდეგ. თანაც, რუსის მეტოქე შეიძლება გახდეს როგორც ვლადიმერი, ასევე მისი უფროსი ძმა - ვიტალი.

სავარაუდოდ, სწორედ კონტრაქტის ამ პუნქტით აიხსნება ვიტალი კლიჩკოს საქციელი, რომლის გუნდს ჯერ არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია მომავალ ბრძოლაზე.

შეგახსენებთ, რომ უფროსი კლიჩკო ბოლოს რინგზე გასული წლის სექტემბერში გავიდა, როცა მოსკოვში დაამარცხა სირიული წარმოშობის გერმანელი **მანუელ ჩარი**.

ვიტალი WBC-ის ტიტულის მფლობელია და ამ საჩემპიონო ქამარზე აუცილებელი პრეტენდენტი - კანადელი **სტივერნი** დიდი ხანია ელოდება უკრაინელის გადაწყვეტილებას. მათი ბრძოლა ჯერჯერობით 2014 წლის მარტისთვის არის გადატანილი.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ კლიჩკოსა და პოვეტკინს შორის ბრძოლა 5 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება.

■ ■ ■

შაბათს, ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერსა** და მექსიკელ **საულ ალვარესს** შორის გამართული ბრძოლის შემდეგ, ავტორიტეტულმა ვებგვერდმა boxrec-მა თავისი პრესტიჟული რეიტინგის მორიგი ვერსია გამოაქვეყნა. როგორც იცით, ამ კლასიფიკაციაში შეჰყავთ მოკრივეები წონითი კატეგორიის გაუთვალისწინებლად.

ალვარესის დამარცხების შემდეგ, მეივეზერმა შეინარჩუნა პირველი ადგილი კლასიფიკაციაში. მეორე პოზიციაზე იმყოფება მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი**, ხოლო სამეულს ასრულებს სუპერმძიმე წონაში IBF-ის, WBA-სა და WBO-ს ჩემპიონი ვლადიმერ კლიჩკო.

აღვნიშნავთ, რომ რეიტინგი ითვალისწინებს როგორც ბრძოლის შედეგებს, ასევე მოკრივეთა მეტოქეების დონეს.

მებრძოლები, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გასულან რინგზე, რეიტინგის მიღმა რჩებიან, ამიტომაც იქ ვერ ვხედავთ ვიტალი კლიჩკოსა და **ანდრე უორდს**. მათი ბოლო ბრძოლები 8 სექტემბერს ჩატარდა.

პორტალ boxrec-ის მიხედვით პლანეტის საუკეთესო მოკრივეთა ათეული ასე გამოიყურება:

1. ფლოიდ მეივეზერი
2. ხუან მანუელ მარკესი
3. ვლადიმერ კლიჩკო
4. საულ ალვარესი
5. სერხიო მარტინესი
6. კარლ ფროჩი
7. ტიმოტი ბრედლი
8. დენი გარსია
9. ბერნარდ ჰოპკინსი
10. გენადი გოლოვკინი

ამბები

ავტოსპორტი

## მონტოიამ სამუშაო იშოვა

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია** მომავალ სეზონში ავტოსაჯინიბო Penske Racing-ის წევრი გახდება. ეს გუნდი ინდიკარის სერიაში გამოდის და მის ანგარიშზეა 377 მოგებული რბოლა და 433 პოული.

*"ძალიან აღელვებული ვარ იმით, რომ მომავალ წელს შევუერთდები ამ ლეგენდარულ გუნდს. ჩემი კარიერის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში მომიწია გამოსვლამ და ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი როჯერ პენსკეთი და მისი საჯინიბოთი. ჩემთვის დიდი პატივია Penske Racing-ის სახელით გამოსვლა"*, - მოჰყავს მონტონიას სიტყვები გუნდის ოფიციალურ ვებგვერდს.

სნუკერი

## ლის სამუდამოდ მოკვეთენ

სერიოზული უსიამოვნება აქვს ცნობილ სნუკერისტს, 38 წლის ინგლისელ **სტივენ ლის**. გუშინ, ის დამნაშავედ ცნეს ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობაში. მისი მომავალი ბედი 24 სექტემბერს გაირკვევა, როცა გამოცხადდება მოთამაშისთვის მინიჭებული სასჯელი. ცნობილი გახდა, რომ სნუკერის მმართველი ორგანო ითხოვს ლის სამუდამო დისკვალიფიკაციას.

მას შემდეგ, რაც ბრიტანელის ბრალი დამტკიცდა, სნუკერის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე **ნაიჯელ მოუერმა** განაცხადა: *„ეს არის ჩემს მახსოვრობაში სნუკერთან დაკავშირებით ყველაზე უარესი საქმე"*.

შეგახსენებთ, რომ ლი სნუკერის ტურნირებს 2012 წლის ოქტომბერში ჩამოაცილეს. როგორც ირკვევა, ის 2008-09 წლებში შვიდ ჩაწყობილ მატჩში მონაწილეობდა.

კალათბურთი

# 80-იანებში თამაშებს აწყობდნენ




სკანდალია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ვინმე **ბრაიან ტუოიმ** თავის ახალ წიგნში დაწერა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში "ნიქსის" რამდენიმე კალათბურთელი კოკაინის აქტიური მომხმარებელი იყო. უფრო მეტიც, ისინი ეხმარებოდნენ საკუთარ ნარკოდილერს ფულის შოვნაში, კერძოდ, საკუთარი მატჩების შეგნებულად წაგებით ამდიდრებდნენ ნარკომოვაჭრეს! მთელი ამ ისტორიის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს გამოძიების ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც ფედერალური უსაფრთხოების ბიუროში მოიძია.

ამბობენ, რომ კოკაინის მიმწოდებელი ერთ-ერთი უმსხვილესი საქმოსანი იყო აღმოსავლეთ სანაპიროზე. თავიდან ის მცირე თანხებს დებდა მატჩებზე, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად, შვიდი ფსონი გააკეთა - თითო 10 ათასი დოლარის ოდენობით და საბოლოოდ, ექვსი ფსონი მოიგო. "ნიუ იორკი" უბრალოდ აგებდა მატჩებს ან ვერ აღწევდა ბუკმეიკერების მიერ დაწესებულ ქულების ტოტალამდე. აღმოჩნდა, რომ ხანდახან კალათბურთელები თავადაც აკეთებდნენ ფსონებს საკუთარი გუნდის წინააღმდეგ.

ლაპარაკია 1981-82 წლების სეზონზე, რომელიც "ნიუ იორკმა" უარყოფითი ბალანსით (33-49) დაასრულა და ბოლო ადგილი დაიკავა ატლანტიკის დივიზიონში.

ფედერალური უსაფრთხოების ბიუროს დოკუმენტებში მოთამაშეთა გვარები შეცვლილია, ასე რომ, შეუძლებელია ზუსტად იმ მოთამაშეების გამოვლენა, რომლებიც ამ მაქინაციების უკან იდგნენ. თუმცა იმ წლებში "ნიქსის" ლიდერი იყო **რეი რიჩარდსონი** და მისი პრობლემები ნარკოტიკებთან დაკავშირებით საყოველთაოდ არის ცნობილი. მეტიც, ის 1986 წელს სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს ნარკოტიკების რეგულარულად გამოყენებისთვის, რის გამოც ლიგის აუცილებელი ტესტები ვერ გაიარა. მაშინ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო საქმე დახურეს.


ტრეისი მაკგრეიდი

# ტი-მაკი ახალ თაობას აკრიტიკებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მცველმა **ტრეისი მაკგრეიდიმ**, რომელმაც ამ ზაფხულს დაასრულა აქტიური კარიერა, ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ მას არ მოსწონს და სწყინს მოთამაშეთა ამჟამინდელი თაობის დამოკიდებულება იმ შანსისადმი, რომელსაც ისინი ლიგაში მოხვედრისას იღებენ.

*"არ მომწონს, როცა ეს ბიჭები არასწორად იქცევიან. არღვევენ კანონს, ღამის კლუბებში ერთობიან, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავენ ავტომობილს, ეწევიან მარიხუანას... და როცა ასეთ უმსგავსობას სჩადიან, ამით ცუდ მაგალითს აძლევენ ახალგაზრდობას. მე მათი არ მესმის.*

*ავიღოთ, მაგალითად, მაიკლ ბიზლი. მას უდიდესი პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ საღი აზრი არ აღმოაჩნდა. ის უბრალოდ ვერ ხვდება, რას აკეთებს და ამით ღუპავს თავის ტალანტს. კიდევ სად შეძლებ ასეთი თანხის გამომუშავებას, თანაც იმ საქმით, რომელიც გიყვარს?! შენ იღებ მილიონ დოლარს და ამასთან, ყველაფერს აფუჭებ. ჩემთვის ეს გაუგებარია"*, - ამბობს მაკგრეიდი The Toronto Star-თან კომენტარში.

# ბოგუტი ჯანმრთელია, გოლდენ სტეიტი ძლიერი



ენდრიუ ბოგუტი

სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს "გოლდენ სტეიტის" გულშემატკივრებმა. ამ გუნდის ცენტრი **ენდრიუ ბოგუტი** საბოლოოდ განიკურნა ტრავმისგან. ალბათ, გახსოვთ, რომ გასულ პლეი ოფში ის ჯერ ისევ ტრავმირებული უმკლავდებოდა **ჯავალ მაკგის**, გარდა ამისა, "დენვერთან" სერიის გადამწყვეტ მატჩში 14 ქულა და 21 მოხსნა (!) მიითვალა.

სხვა საქმეა, შეძლებს თუ არა ის მთელი სეზონის დაზიანების გარეშე თამაშს. თუ მოახერხებს ამის გაკეთებას, "გოლდენ სტეიტს" თავისი სასტარტო ხუთეულით: **კარი-ტომპსონი (ბარნსი)-იგუოდალა-ლი-ბოგუტი** შეუძლია იფიქროს მინიმუმ კონფერენციის ფინალზე.

ახალი სეზონის შემდეგ კი 2005 წლის დრაფტის პირველ ნომერს კონტრაქტი უმთავრდება. "გოლდენ სტეიტის" სახელფასო ბიუჯეტი იმდენად კარგად არის შედგენილი, რომ "მეომრებს" შეუძლია ავსტრალიელს მრავალწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს 11-13 მილიონი ხელფასით.

ამასობაში, ბოგუტი გამოეხმაურა **დუაიტ ჰოვარდის** "ჰიუსტონში" გადასვლას. მისი თქმით, "სუპერმენს" არ უნდა მოეწყო შოუ "როკეტსში" გადასვლისგან და აშკარად ზედმეტი მოუვიდა: *"მას ხუთწუთიანი დიდების მიღება სურდა და მან ის მიიღო"*.


კობი ბრაიანტი

# კობი ვერ მოემზადება

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** აქილევსის მყესის ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს ექიმების მიერ შედგენილი გრაფიკით გადის, - იტყობინება გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმსი".

თუმცა კალიფორნიული გრანდის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს კალათბურთელის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარილის დასახელებას. ამ მომენტისთვის არსებობს ვარაუდი, რომ ბრაიანტი მთლიანად გამოტოვებს წინასასეზონო მომზადებას. შეგახსენებთ, რომ კობიმ ტრავმა აპრილში მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გასულა.

ამას წინათ, ბრაიანტმა განაცხადა, რომ აღდგენითი კურსი დაგეგმილზე სწრაფად მიმდინარეობს, თუმცა ვერც კალათბურთელმა დაადასტურა, შეძლებს თუ არა ახალი სეზონის პირველ მატჩში მონაწილეობის მიღებას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)**, **ერემო მახათაძე (1952-53)**, **ირაკლი უგულავა (1953-64)**, **ანზორ ბასილაია (1976-83)**, **არჩილ გოგელია (1984-85)**, **თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)**.

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608